нятому в Риме, Суд получает юрисдикцию в отношении всех преступлений, которые были совершены на территории государства, ратифицировавшего устав или выразившего свое согласие с юрисдикцией Суда. Более того, если граждане государства, которое ратифицировало устав (или выразило согласие с ним), совершают преступления на территории любой другой страны, их деяния подпадают под юрисдикцию Суда. На практике это означает, что из-под юрисдикции Суда выпадают преступления, совершенные на территории государств, не ратифицировавших устав, их собственными гражданами или гражданами других государств, равно не ратифицировавших устав. Несмотря на это, принятое решение является компромиссом между требованиями государств, опасавшихся, что Суд будет вмешиваться без их согласия, и требованиями международного правосудия. Если устав будет ратифицирован значительным количеством стран, то это ограничение постепенно станет все менее и менее существенным и Суд сможет осуществлять свою юрисдикцию эффективным и независимым образом. Между тем, как известно, даже без ратификации или одобрения Суд сможет осуществлять свою юрисдикцию по мандату Совета Безопасности ООН. Согласно Уставу, Совет Безопасности получает две важные прерогативы. Важнейшей из них является право Совета Безопасности ООН, согласно главе VII Хартии Объединенных Наций, выдавать мандат Суду на начало уголовного преследования даже в случае отсутствия ратификации или согласия со стороны государства, на территории которого было совершено преступление или граждане которого подозреваются в его совершении. Что же касается полномочий Совета Безопасности относительно случаев, находящихся уже в компетенции Суда, то нормы здесь достаточно сложные. Совет может приостанавливать работу Суда на определенный срок. Это решение предусматривает, что в чрезвычайных случаях Совет может потребовать временно приостановить уголовное преследование максимум на 12 месяцев. В этом случае, однако, Суд может принять защитные меры для сохранения доказательств и защиты свидетелей. Нормы, касающиеся приостановки процесса, гарантируют отсутствие возможных злоупотреблений в результате осуществления этой прерогативы Совета Безопасности. Подобная приостановка может быть потребована только единогласно всеми постоянными членами Совета Безопасности. Через 12 месяцев может быть принято решение о новой приостановке процесса, и для этого опять необходимо единогласное голосование всех пяти постоянных членов Совета Безопасности. В этом случае они обязаны аргументировать перед международным общественным мнением свое решение о политическом вмешательстве в международное правосудие в данном конкретном случае. Согласно уставу МУС прокурор по своим процессуальным полномочиям пользуется значительной степенью независимости. Прокурор имеет право действовать «ex officio» и не будет обязан дожидаться заявления со стороны какого-либо государства. Таким образом, процедура может быть начата автоматически на основе заявлений организации жертв или других межправительственных или неправительственных организаций. Ряд государств высказали свое несогласие столь высокой степенью процессуальных полномочий прокурора. Согласно их мнению, полная независимость Прокурора представляет собой риск незаконных преследований, и могут нарушить права определенных лиц. Римский договор предусматривает контроль над деятельностью Прокурора: деятельность Прокуратуры «ex officio» будет находиться под контролем со стороны Палаты предварительного расследования, которая должна контролировать обоснованность и законность действий Прокуратуры. Это решение, с одной стороны, удовлетворило законную озабоченность государств, которые не хотели бы доверять одному человеку принятие без всякого контроля таких важнейших решений, как начало расследования, а с другой стороны, сохранило основополагающий принцип, согласно которому отправление международного уголовного правосудия не должно зависеть от политических решений, и усилило сдерживающую функцию Суда. Интересным представляется позиция ряда государств по отношению к «Римскому статуту» МУС. Так, 6 мая 2002 года США официально уведомили Организацию Объединенных Наций, что не намерены становиться стороной Римского статута, ввиду наличия в нем серьезных недостатков. В последствии Соединенные Штаты Америки подписали договор 31 декабря 2000 года. В то время тогдашний Президент Клинтон заявил, что договор страдает коренными недостатками, и что он не направит его в Сенат в целях рассмот-

рения и дачи согласия на ратификацию. Он также рекомендовал и своему преемнику не направлять договор в Сенат. Основная проблема противодействия США в принятии МУС сводилась к тому, что согласно своему статусу МУС претендует на юрисдикцию в отношении определенных преступлений, совершенных на территории государства-стороны, в том числе гражданами государства, не являющегося его стороной. Тем самым суд имеет юрисдикцию в отношении многочисленных преступлений, которые могут быть инкриминируемы гражданам США, включая военнослужащих США, на территории государства-стороны (статья 12) даже, несмотря на то, что США могут и не являться его стороной. По мнению США также не приемлемо те положения относящиеся к новым преступлениям. Так, государство-сторона договора может исключить себя из преступлений, введенных поправкой к статуту, тем самым, выведя своих граждан из под юрисдикции МУС по этим преступлениям. Государство, не являющееся стороной, не имеет такой возможности указанное положение предусмотрено в статье 121, что является неприемлемым. Дебаты возникли и по поводу компетенции МУС в отношении агрессии. Так, преступления в виде агрессии включено в юрисдикцию суда, но не было определено. Стороны договора внесут в него поправку, чтобы определить это преступление и установить условия для осуществления юрисдикции над ним (статья 5). Согласно статье 121, только государства-стороны договора могут выходить из-под юрисдикции суда в отношении преступления в виде агрессии. В дополнение к этому многие государства оговаривают условия для осуществления юрисдикции МУС, которые могут вызвать конфликт суда с Советом Безопасности и Уставом ООН. Неоднозначно оценено также и права прокурора. Так, прокурор может приступить к расследованию по собственной инициативе с согласия двух судей из списка состоящих из трех судей (статья 15). Это может привести к политически мотивированным уголовным преследованиям. Одновременно, согласно статусу прокурор не отвечает перед выборным органом или Советом Безопасности ООН, и у суда отсутствуют процессуальные возможности по противодействию принятым решениям прокурора. Как правило, в международной практике при присоединении к какому-либо договору государство вправе представить соответствующие оговорки. Между тем, как серьезный отход от обычной практики в договоре о присоединении к «Римскому статуту» государствам не разрешается делать оговорки (статья 120). От МУС требуется прибегать к уголовному преследованию на национальном уровне, если суд не заключит, что государство не желает или неспособно произвести расследование или уголовное преследование (статья 17). Однако, оставляя окончательное решение за МУС, договор разрешает МУС рассматривать и, возможно, отклонять решения суверенных государств о неосуществлении уголовного преследования или решения судов суверенных государств о невыдвижении обвинения по конкретным делам. Явилось бы целесообразным также включение альтернативных механизмов МУС. Альтернативные механизмы МУС должны включать:

- Ответственность на национальном уровне, то есть поощрять государства осуществлять внушающее доверие правосудие на своей территории вместо перекалывания ответственности на международный орган.
- При отсутствии же национальных судебных учреждений, но при наличии воли в стране международное сообщество должно быть готово помочь создать возможности для рассмотрения правонарушений. Это включает политическую, финансовую, судебную и материально-техническую поддержку.
- В случае отсутствия воли в стране международное сообщество может вмешаться через Совет Безопасности ООН в соответствии с Уставом ООН. Могут быть созданы специальные международные механизмы под эгидой Совета Безопасности ООН, как это было сделано при учреждении международных трибуналов по бывшей Югославии и Руанде. Или же может санкционироваться создание комбинированных судов в составе международных участников и участников от затрагиваемого государства, как было сделано в случае со Сьерра-Леоне.²

² (Распространено Офисом международных информационных программ Государственного департамента США. Веб-сайт: <http://usinfo.state.gov>)

Таким образом, суммируя вышеизложенную позицию США в отношении «Римского статута» МУС можно изложить следующие выводы:

- США твердо привержены идее международной ответственности за военные преступления, геноцид и преступления против человечности; США решительно выступают против договора об учреждении МУС, поскольку он страдает серьезными недостатками; США будут сотрудничать с другими странами для предотвращения нарушений, которые могут быть вызваны договором. В настоящее время уже существуют или могут быть созданы альтернативные механизмы для обеспечения международной ответственности за военные преступления, геноцид и преступления против человечности. Наиболее фундаментальным механизмом является ответственность на национальном уровне. В отсутствие ответственности на уровне государства международное сообщество должно принять меры, чтобы помочь государству, или в наиболее критических обстоятельствах от СБ ООН может потребоваться создать механизмы обеспечения правосудия с учетом конкретной ситуации. Это соответствует Уставу ООН, который был принят практически всеми странами.

Нами рассмотрены некоторые проблемы «Римского статута» МУС. Безусловно, что дальнейшее совершенствование рассматриваемого документа будет содействовать усилению с преступлениями международного характера.

რომის სტატუტის დებულებებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის საკითხისათვის

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
მოადგილე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
თავმჯდომარე, სამართლის დოქტორი

შესავალი

1998 წლის ივნის-ივლისში რომში ჩატარებულ სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების დიპლომატიურ კონფერენციაზე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა შორის წარმოდგენილი იყო საქართველოც. მართალია, ამ დროისათვის საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ერთი ათეული წელიც არ იყო გასული, მაგრამ საქართველო, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, ამ დროისათვის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულების, მათ შორის – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში, მონაწილე იყო. რომის კონფერენციაზე სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის – საქართველომ, მხარი დაუჭირა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებას – რომის სტატუტს. მართალია, საქართველო ვერ აღმოჩნდა იმ პირველ 60 სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც დააფუძნეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, მაგრამ საქართველო, ტაჯიკეთთან ერთად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში იყო ის სახელმწიფო, რომელიც თავიდანვე მხარს უჭერდა მსოფლიო საზოგადოების ერთსაუკუნოვან მისწრაფებას, დაარსებულიყო მუდმივმოქმედი ზესახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანო, რომელიც ექს-იუგოსლავიისა და რუანდის ad-hoc ტრიბუნალებისაგან განსხვავებით, იქნებოდა სრულიად ახალი ტიპის მუდმივმოქმედი და დამოუკიდებელი საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანო, შექმნილი პირდაპირ სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ. დსთ-ს ქვეყნებიდან მხოლოდ ამ ორმა სახელმწიფომ – ტაჯიკეთმა და საქართველომ მოახდინეს სტატუტის რატიფიკაცია. საქართველო იყო 92-ე ქვეყანა, რომელმაც სტატუტის რატიფიკაციით თავის სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღიარა საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია.¹

სტატუტის რატიფიკაციას საქართველოსათვის შედეგად მოჰყვა ის, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სტატუტთან. ეს ნიშნავს, რომ მოქმედ კანონმდებლობაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 14 აგვისტოს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“, რათა სახელმწიფოს, ერთი მხრივ, ჰქონოდა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა დასჯადობაც შედის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში, მეორე მხრივ, საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას საქართველოს ტერიტორიაზე არ ჰქონოდა პრობლემები. სტატუტში დეტალურად არის მოცემული თანამშრომლობის პროცედურა, რაც შესაბამისად აისახა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. ამასთან, ვინაიდან სტატუტი წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, მას აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა. უფრო მეტიც: საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიმართ.²

¹ კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა რომის სტატუტი. სარატიფიკაციო დოკუმენტის დებონირება მოხდა 2003 წლის 5 სექტემბერს, რომლის მე-60 დღის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ რიცხვში, ე.ი. 2003 წლის 1 დეკემბრიდან, სტატუტის 126-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იგი საქართველოსათვის ძალაში შევიდა.

² იგივე პრინციპი მოცემულია საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“, კერძოდ, ამ კანონის მე-20 მუხლის მე-2 პარაგრაფში.

1. სისხლის სამართლის სამართალმცოდნეო სასამართლოს იურისდიქცია

სტატუტის მე-12 მუხლით, სახელმწიფო, რომელიც სტატუტის ხელშეკრულების მონაწილე ხდება, აღიარებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ავტომატურ იურისდიქციას ამ სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულების მიმართ (გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული და აგრესია). ეს ე.წ. ავტომატური იურისდიქცია (“inherent jurisdiction”) საერთაშორისო სამართლის კომისიის 1994 წლის პროექტში მხოლოდ გენოციდის დანაშაულისათვის იყო გათვალისწინებული, ხოლო სხვა დანარჩენი დანაშაულებისთვის – არა. ზოგიერთი სახელმწიფო დისკუსიის დროს უფრო შორს წავიდა და წამოაყენა პოზიცია, რომ სასამართლომ შეიძლება თავისი იურისდიქცია მხოლოდ მაშინ განახორციელოს, როდესაც: (ა) სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაული მოხდა, (ბ) სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც ამ ქმედების ჩამდენი პირია, (გ) სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც მსხვერპლია და (დ) სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე ეჭვმიტანილი იქნა დაკავებული, თავიანთ ინდივიდუალურ თანხმობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ თავისი იურისდიქციის განხორციელების შესახებ გასცემენ. ამით სასამართლოს, იმისათვის, რათა კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლისამართლებრივი იურისდიქციის განხორციელება დაეწყო, უნდა მიეღო კუმულაციური თანხმობა ყველა „მონაწილე სახელმწიფოს“ მხრიდან. ასეთი სისტემის შემოღება სასამართლოს ბევრ შემთხვევაში პრობლემებს შეუქმნიდა. სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეკრების დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მიღწეულ იქნა ე.წ. „ავტომატური იურისდიქცია“, რომელიც ეფუძნება ალტერნატიულ და არა კუმულაციურ კრიტერიუმებს, ამასთან წარმომადგენს პრობლემის მარტივ და შედეგიან გადაწყვეტას, რომელმაც ასახვა ჰპოვა სტატუტში.

ამასთან ერთად, სტატუტი ითვალისწინებს, რომ ის სახელმწიფო, რომელიც სტატუტის ხელშეკრულების მონაწილე არ არის, უფლებამოსილია, სასამართლოს იურისდიქცია სასამართლოს რეგისტრატორთან (კანცლერთან) განაცხადის წარდგენის გზით აღიაროს. ამასთან დაკავშირებით, სტატუტი ამბობს, რომ ასეთი აღიარება შეიძლება მოხდეს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით (მუხ. 12, აბზ. 3). ხელშეკრულების არამონაწილე სახელმწიფო, რომელიც სასამართლოს სტატუტს მე-12 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით აღიარებს, ვალდებულია, ითანამშრომლოს სასამართლოსთან, როგორც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფომ. ის ამით იღებს სტატუტის მე-9 ნაწილიდან გამოძინარე ყველა ვალდებულებას.

სტატუტის მე-12 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, განახორციელოს თავისი იურისდიქცია, როდესაც ან სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაული იქნა ჩადენილი (დანაშაულის ჩადენის სახელმწიფო) ან სახელმწიფო, რომლის მოქალაქეობაც აქვს პირს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში (დანაშაულის ჩამდენის სახელმწიფო), სტატუტის ხელშეკრულების მონაწილეა (ან შესაბამისად იურისდიქცია სტატუტის მე-12 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით აღიარა).

ზოგიერთი ევროპული ქვეყანა იმ პოზიციაზე დგას, რომ სტატუტში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი შემხებლობის პუნქტი: სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დაკავებულ იქნა პირი, რომელსაც ბრალად ედება რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (დეტენციის სახელმწიფო). ეს მოთხოვნა რომის კონფერენციაზე უარყოფილ იქნა და სტატუტში ჩადებულ იქნა ე.წ. ავტომატური იურისდიქციის კონცეფცია დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დამნაშავის სახელმწიფოს პრინციპის აღიარებით.

საერთაშორისო სასამართლო არ არის შეზღუდული იურისდიქციის ფარგლებით, კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებით, არამედ თავის იურისდიქციას ახორციელებს აგრეთვე იმ შემთხვევებზე, როცა გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს წესდების მე-7 თავის საფუძველზე, პროკურორს მოახსენებს იმ ვითარების შესახებ, რომლის მიხედვითაც არსებობს ეჭვი, რომ ჩადენილია ერთი ან მეტი ამგვარი დანაშაული (სტატუტის მუხ. 13 „ბ“ ქვეპუნქტი).

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უფლებამოსილება შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლებრივ დევნასთან მიმართებაში არის კომპლემენტარული (სტატუტის მე-17 მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ თვით უძძიმესი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, რომელიც ამ სასამართლოს განსჯადია, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებულ უნდა იქნეს შიდასახელმწიფოებრივი სისხლისამართლებრივი დევნის ორგანოები. ეს დებულება გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ საერთაშორისო სამართლის კომისიის 1994 წლის პროექტში (პრეამბულის მე-3 აბზაცსა და პროექტის 35-ე მუხლში) და იგი რომში გამართული შეხვედრის დროს თითქმის უდისკუსიოდ იქნა მიღებული. ეს დებულება განსხვავდება ყველა წინამორბედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მათ შორის, ორივე – ექს-იუგოსლავიისა და რუანდის ad-hoc ტრიბუნალების მუშაობის პრინციპებისაგან და სამართლებრივი თვალსაზრისით სიახლეს წარმოადგენს. მუდმივმოქმედი მართლმსაჯულების ორგანოს სახით ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ იმ შემთხვევაში აამოქმედოს თავისი სამართლებრივი მექანიზმები, როცა ზესახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოს გამოყენების ნამდვილი საჭიროება დადგება. ეს სასამართლო მხოლოდ მაშინ უნდა ამოქმედდეს, როცა უფლებამოსილი ქვეყანა უუნაროა ან არ სურს თავად სათანადოდ ჩაატაროს გამოძიება, განახორციელოს სისხლისამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება. ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება ჩაენაცვლება ეროვნულ მართლმსაჯულებას.

სტატუტის მე-18 მუხლში აღწერილია ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საქმის წინასწარი დასაშვებობის შესახებ. თუ საერთაშორისო სასამართლოს ბრალმდებელი დაიწყებს გამოძიებას, იგი შეტყობინებას უგზავნის ყველა მონაწილე სახელმწიფოს და სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც ჩვეულებრივ განახორციელებდნენ იურისდიქციას ასეთ დანაშაულზე. ამასთან, საქმის დასაშვებობისა და სასამართლოს იურისდიქციის შესახებ შეიძლება საჩივარი შეტანილ იქნეს არა მხოლოდ ბრალდებულის ან იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც დაპატიმრების ბრძანება (ორდერი) ან სასამართლოს უწყება არსებობს, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ამ საქმეზე გამოძიებას ან სისხლისამართლებრივ დევნას ახორციელებს ან განახორციელებს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქციის ფარგლებზე, რათა ვიცოდეთ, თუ როდის უნდა მიიღოს მან შეტყობინება და როდის აქვს საჩივრის შეტანის უფლება. სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავში, რომელიც ეძღვნება სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებს, მოცემულია საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები. ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსხვავებულად აყალიბებს ამ პრინციპებს, თუმცა, კონტინენტალური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში ჩამოყალიბდა ერთიანი პრინციპები.

სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისა და სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელებასთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარეობს საერთაშორისო სისხლის სამართლის ხუთი პრინციპი: ტერიტორიულობის პრინციპი; აქტიური პერსონალურობის, ანუ მოქალაქეობის პრინციპი; დაცვის პრინციპი (რომელიც მოიცავს ე.წ. პასიური პერსონალურობისა და ე.წ. რეალურობის პრინციპებს); უნივერსალურობის პრინციპი; მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი.

2. კონსტიტუციური ხასიათის პრობლემები, რომლებიც ეხება საქართველოს სასამართლოსათვის პირის გადაცემას და სხვა სახის წინააღმდეგობებს თანამშრომლობისათვის

საქართველოს სინამდვილეში სტატუტის რატიფიკაციისათვის მთავარი იყო კონსტიტუციური ხასიათის დაბრკოლებების აღმოფხვრა, ვინაიდან თვით კონსტიტუციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს, უზენაესი კანონია, რომელიც ყველა სხვა სამართლებრივ აქტზე, მათ შორის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, მაღლა დგას. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას კი, მისი რატიფიკა-

ციის შემთხვევაში, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. აქედან გამომდინარე, სტატუტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემთხვევაში მისი რატიფიკაციისათვის ყოველგვარი შიდასახელმწიფოებრივი ბარიერი მოიხსნებოდა.

ზოგადად, სტატუტის რატიფიკაციის პროცესში მსჯელობა იყო იმაზე, სტატუტის რიგი დებულებები ხომ არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კონსტიტუციურ დებულებებს პრეზიდენტის ან სხვა სახელმწიფო მაღალი თანამდებობის პირის იმუნიტეტთან დაკავშირებით, ასევე ხომ არ წარმოიშობა პრობლემები ისეთ საკითხთან მიმართებაში, როგორცაა საკუთარი მოქალაქის გადაცემა და სხვ.

სახელმწიფოს კონსტიტუციის იმ ნაწილში, რომელიც ეხება იმუნიტეტს, ასევე საკმაოდ მნიშვნელოვან საკონსტიტუციო დებულებას საკუთარი მოქალაქის გადაცემის შესახებ, *Ne bis in idem*-ის პრინციპს და ა.შ. დაკავშირებით ცვლილების შეტანა ყველაზე ადვილი გზაა იმ პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სტატუტის რატიფიკაციასთან დაკავშირებით. პოლიტიკური და პროცედურული თვალსაზრისით, ეს გზა საკმაოდ პრობლემატურია ყველა ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კონსტიტუციის შეცვლის გარეშე, მისი ინტერპრეტაციის გზით მოხდა კონსტიტუციური ხასიათის წინააღმდეგობების აღმოფხვრა, იმდენად, რამდენადაც კონსტიტუციის ცალკეული მუხლების შინაარსი ისეა ჩამოყალიბებული, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სტატუტის ცალკეულ დებულებებს.

საკონსტიტუციო ხასიათის ცალკეულ დებულებებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი:

საქართველოში სტატუტის რატიფიკაციის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, დისკუსია გაიმართა კონსტიტუციის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოს მეთაურისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა იმუნიტეტს. გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ ევროპის სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა დაასკვნა შესწორების აუცილებლობის არარსებობის შესახებ, იმის საფუძველზე, რომ სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ჩაიდენს საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციით გათვალისწინებულ დანაშაულს, საკუთარ თავს დააყენებს კონსტიტუციის ფარგლებს გარეთ. განხილულ იქნა ასევე ის ვარიანტი, რომ თუ აუცილებელია კონსტიტუციის შეცვლა, ეს მომხდარიყო ჩვეულებრივი შესწორების შეტანით, რომელიც ერთდროულად შეეხებოდა რიგ საკითხებს. ამასთან, განხილულ იქნა საკითხის გადაწყვეტის საფრანგეთისეული ვარიანტი. საფრანგეთის კონსტიტუციის 68-ე მუხლის შესაბამისად, რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის წევრები და პარლამენტარები სარგებლობენ იმუნიტეტით. საკონსტიტუციო საბჭოს დასკვნის თანახმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შესწორება (მუხ. 53-2), რომლის მიხედვითაც რესპუბლიკას შეუძლია ცნოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია 1998 წლის 18 ივლისის ხელშეკრულების შესაბამისად. თუმცა მოცემული დებულება მოითხოვს შემდგომ განმარტებას. ის განსაზღვრავს, რომ საფრანგეთის ხელისუფლება უფლებამოსილია, ითანამშრომლოს სასამართლოსთან, მიუხედავად იმ საკონსტიტუციო ნორმებისა, რომლებიც შეიძლება ასეთი თანამშრომლობის დაბრკოლებად იქცნენ. უფრო სრულყოფილად და მისაღებად მიჩნეულ იქნა ლუქსემბურგის საკონსტიტუციო ცვლილების ტექსტი. საბოლოოდ კი საქართველოში კონსტიტუციური ცვლილებების გარეშე მოხდა სტატუტის რატიფიკაცია, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ იმუნიტეტის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუცია არ საჭიროებს აუცილებელ ცვლილებას. საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლი არ ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის აბსოლუტურ ხელშეუხებლობას, არამედ შესაძლებელია იმპიჩმენტის წესით მისი გადაყენება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება. მართალია, ეს ხდება იმპიჩმენტის რთული პროცედურის გავლით, მაგრამ ის იცავს სახელმწიფოს მეთაურს, აუცილებლობის შემთხვევაში კი, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას იმუნიტეტთან დაკავშირებით. თუ იმპიჩმენტის პროცედურა ვერ განხორციელდა, ასეთ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის ან კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა მაღალი საჯარო თანამდებობის პირი-

სათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს, ხოლო მისი გადაცემის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის პირდაპირ არ კრძალავს. ასევე კონსტიტუცია კრძალავს პრეზიდენტისათვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას საგანგებო და საომარი მდგომარეობის ან ომის დროს, თუმცა სწორედ ასეთი მდგომარეობის დროს ხდება ხშირად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ასეთი მდგომარეობის დროს მისი გადაცემის შესაძლებლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის პირდაპირ არ არის აკრძალული.

ის გარემოება, რომ არც ერთ სახელმწიფო თანამდებობის პირს, თვით პრეზიდენტსაც კი, არა აქვს აბსოლუტურად გარანტირებული ხელშეუხებლობა, კარგი წინაპირობა იყო იმისათვის, რომ რომის სტატუტთან შეერთება მომხდარიყო საქართველოს კონსტიტუციის აუცილებელი ცვლილების გარეშე, თუმცა შესაძლებელი იყო ლუქსემბურგის გამოცდილების გაზიარებაც, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში შეიძლებოდა შეტანილიყო შემდეგი შინაარსის ზოგადი დებულება:

„საქართველოს კონსტიტუციის დებულებები ხელს არ უშლის 1998 წლის 18 ივლისს ხელმოწერილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის რატიფიკაციას და მის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებას სტატუტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად“; ან

„საქართველო ცნობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის“ შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილია 1998 წლის 18 ივლისს და მისი რატიფიკაციით აღიარებს, რომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების არც ერთი ნორმა არ არის წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციასთან“.

ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ნებისმიერი შეუთავსებლობა კონსტიტუციასა და სტატუტს შორის.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ხასიათის მეორე დებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ სახელმწიფოში აკრძალულია საკუთარი მოქალაქის გადაცემა. საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემაზე უარის თქმა, დაფუძნებული იმაზე, რომ პირი არის მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს მოქალაქე, მნიშვნელოვნად შეზღუდავდა საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას, რომელიც მას მინიჭებული აქვს რომის სტატუტის შესაბამისად. მართლაც, საერთაშორისო სასამართლო შეძლებდა განხორციელებინა თავისი იურისდიქცია მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც არიან მესამე სახელმწიფოს მოქალაქეები, თუ მოთხოვნის მიმღები ყველა სახელმწიფო უარს იტყობდა თავისი მოქალაქის გადაცემაზე.

საერთაშორისო სასამართლოსთან სრულყოფილი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო, რომ აღნიშნულ აკრძალვას ხელი არ შეეშალა პირის ამ სასამართლოსათვის გადაცემისათვის. ამისათვის ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში საჭირო გახდა მოქმედი კანონმდებლობისა და ზოგჯერ კონსტიტუციის გადასინჯვა³, მაგრამ ეს არ გახდა მრავალ ქვეყანაში აუცილებელი.

საქართველოს კონსტიტუცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის საკუთარი მოქალაქის გადაცემასთან დაკავშირებით არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. საქართველოს კონსტიტუციის მე-13(1) მუხლის თანახმად, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია. მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს: „საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“.

³ მაგალითად, გერმანიაში განხორციელდა აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილება საკუთარი მოქალაქის გადაცემასთან დაკავშირებით, კერძოდ, შეიცვალა ძირითადი კანონის მე-16 მუხლი.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საკუთარი მოქალაქის გადაცემას უცხო სახელმწიფოსათვის და არა საერთაშორისო სასამართლოსათვის, რომელიც შეიქმნა ასევე საქართველოს მონაწილეობით. ამასთან, უშვებს ასეთი გადაცემის შესაძლებლობას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში. საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში საქმე გვაქვს არა უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემასთან. ამასთან, ეს გადაცემა შეიძლება მოხდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებიდან – რომის სტატუტიდან გამომდინარე, რის გამოც კონსტიტუციური ხასიათის პრობლემა არ არსებობს.

ასევე არ არსებობს კონსტიტუციურსამართლებრივი ხასიათის პრობლემა *Ne bis in idem*-ის პრინციპთან დაკავშირებით. სტატუტის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ პირს, ვის მიმართაც საქართველოში გამოგზავნილია თხოვნა გადაცემის შესახებ, შეუძლია განაცხადოს, რომ ქმედება, რომლის გამოც არის მოთხოვნა, უკვე განხილული იყო ეროვნულ სასამართლოში. ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს ასეთი საკითხის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე დაყენებას, როგორც ეს გათვალისწინებულია სტატუტით.

იმ შემთხვევაში, როცა პირი, რომელზეც საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოგზავნილია თხოვნა გადაცემის შესახებ, მიუთითებს *ე ბის ინ იდემ*-ის პრინციპს (სტატუტის 20-ე მუხლი), საქართველო იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ ჩაატაროს კონსულტაციები ამ სასამართლოსთან, იმის გასარკვევად, იყო თუ არა გამოტანილი შესაბამისი დადგენილება საქმის დაშვებადობის შესახებ და არ გადაწყვიტოს ეს საკითხი დამოუკიდებლად (მუხ. 89-ე).

სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს პრინციპი, რომ პირი არ შეიძლება ერთი და იმავე ქმედებისათვის ორჯერ იქნეს დასჯილი. ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნისათვის, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლი.

საქართველოს კონსტიტუციის 42(4) მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. შესაძლებელია კონსტიტუციის ამ ნორმის იმდგვარი ინტერპრეტაცია, რომ იგი არ ეწინააღმდეგება რომის სტატუტს. კერძოდ, კონსტიტუციის ეს დებულება ძალაშია ასევე საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში, გარდა სტატუტის მე-20 მუხლში მოცემული შემთხვევებისა. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების გარეშე, ნორმის ინტერპრეტაციით მოხდა ამ პრობლემის გადაწყვეტა. კერძოდ, ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპი მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში, ხოლო სახელმწიფოთაშორის და საერთაშორისო სასამართლოსთან ურთიერთობაში მოქმედებს სხვა წესი. საკითხისადმი ასეთი მიდგომა უცხო არ არის საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, რაც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის ნორმის ინტერპრეტაციის დროს.

ამრიგად, კონსტიტუციური ხასიათის ცალკეული პრობლემები, რაც უკავშირდება იმუნიტეტს, საკუთარი მოქალაქის გადაცემას, ორჯერ დასჯის დაუშვებლობას და სხვა სახის წინააღმდეგობებს თანამშრომლობისათვის, არ წარმოიშობა. შესაძლებელია კონსტიტუციის ნორმების ინტერპრეტაცია რომის სტატუტის სულისკვეთებიდან გამომდინარე.

3. სისხლის სამართლის სამართალმცოდნეობის სასამართლო, როგორც ეროვნული სასამართლო სისტემის დამატებითი ორგანო

ეროვნული სასამართლო სისტემის პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისათვის შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის და ომის დანაშაულის შემადგენლობები მოცემულია როგორც რომის სტატუტში, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

მართალია, რომის სტატუტი ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს არ აკისრებს პირდაპირ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ ვალდებულებას, შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახოს დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, რაც ჩამოთვლილია სტატუტის მე-5 მუხლში, მაგრამ ეს ვალდებულება გამომდინარეობს ე.წ. კომპლემენტარულობის პრინციპიდან, რაც მოცემულია სტატუტის მე-17 მუხლში. კომპლემენტარულობის პრინციპის ლოგიკიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უმჯობესია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ასევე სისხლის სამართლის იმ ზოგად პრინციპებთანაც, რაც მოცემულია სტატუტში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში აისახა რომის სტატუტის მე-8 მუხლში მოცემული ომის დანაშაულის შემადგენლობა. სტატუტი ყველაზე სრულყოფილად ასახავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის მიღების დროისათვის საქართველოს მხოლოდ ხელი ჰქონდა მოწერილი ამ სტატუტისათვის, მისი რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის მიერ მოგვიანებით მოხდა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს მასში მოცემული დანაშაულის შემადგენლობების სისხლის სამართლის კოდექსში ასახვას და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას. სწორედ ამიტომ სტატუტის მე-6 მუხლში მოცემული *გენოციდის* შემადგენლობა აისახა კოდექსის 407-ე მუხლში, სტატუტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული *ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის* შემადგენლობას შეესაბამება კოდექსის 408-ე მუხლი, რომელიც, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის აღწერის დროს, კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებათა ჩამონათვალში, ზოგადად მიუთითებს *სხვა არაჰუმანურ ქმედებებზე*. ამ ქმედებათა ამომწურავი ნუსხის დასადგენად კი სტატუტის შესაბამისი მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული. რაც შეეხება კონკრეტულად *ომის დანაშაულებს*, სტატუტის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მისი შემადგენლობა მოცემულია კოდექსის 411-ე, 412-ე და 413-ე მუხლებში.

საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობა აგრეთვე შესაბამისობაშია სისხლის სამართლის იმ ზოგად პრინციპებთან, რაც მოცემულია სტატუტის მე-3 ნაწილში („სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები“). ესენია: უნივერსალური იურისდიქცია, კანონიერების და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია, მეთაურის პასუხისმგებლობა მისი უმოქმედობის დროს, დანაშაულის ჩადენა უკანონო ბრძანების შესრულებით, პასუხისმგებლობის აცილების მიზნით თანამდებობრივ მდგომარეობაზე მითითების დაუშვებლობა, თანამონაწილეობის ფორმები, ხანდაზმულობის ვადების გამოყენების დაუშვებლობა და ა.შ.

საერთაშორისო სამართლის კომისიის 1994 წლის პროექტი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესახებ არ შეიცავდა სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს, იგი მხოლოდ მიუთითებდა გამოსაყენებელი სამართლის წყაროებზე: სტატუტი, გამოსაყენებელი ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის პრინციპები და, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სამართლის ნორმები (პროექტის 33-ე მუხლი).

დისკუსიების შედეგად ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ „ზოგადი პრინციპების“ შესახებ ჩამოყალიბებულ დებულებებს მხოლოდ სტატუტში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობისა და საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩატარებული პროცესის მიმართ ჰქონდეს მოქმედება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ უნდა ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რომელსაც ექნებოდა უნივერსალური გამოყენება, რაც სახელმწიფოების მიერ სავალდებულოდ იქნებოდა გამოსაყენებადი. კონკრეტულად რომ ითქვას, სტატუტში მოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებები, როგორც წესი, არ არის სავალდებულო იმისათვის, რომ სიტყვა-სიტყვით აისახოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მომენტზე, რომ შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სტატუტის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, კომპლემენტარულობის პრინციპის ქვეშ იმყოფება, რის გამოც აუცილებელია, რომ სტატუტის ზოგადი ნაწილის დებულებებს შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ისე არ ეწინააღმდეგე-

ბოდეს, რომ საჭირო გახდეს ამ პრინციპის ამოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ სამართალში არ უნდა იყოს დასჯადობის ხარვეზები ან დასჯადობის ისეთი მიუღებელი გამოძირიკველი გარემოებები, რაც აუცილებელს გახდის სასამართლოს მიერ სტატუტის მე-17 მუხლის ამოქმედებას, ვინაიდან სახელმწიფოს „არ სურს“ ან „არა აქვს უნარი“, სათანადო სისხლისსამართლებრივი ღონა განახორციელოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ანალიზით დგინდება, რომ ასეთი ხარვეზები არ არსებობს.

4. კანონი სისხლის სამართლის საქართველოს სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ

საქართველოში შემუშავდა და მიღებულ იქნა სპეციალური კანონი, რომელიც სამართლებრივად აწესრიგებს საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს. ეს თვალსაზრისი მისაღები იყო იმიტომ, რომ საერთაშორისო სასამართლოსთან ურთიერთობაში სახეზე გვაქვს არა სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი ურთიერთთანამშრომლობა კლასიკური გაგებით, არამედ სულ სხვა ტიპის თანამშრომლობა *სუი გენერის*.

კანონი „სისხლის სამართლის საქართველოს სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ დაეფუძნა იმ სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც მოცემულია რომის სტატუტის მე-9 და მე-10 ნაწილებში და სხვა პროცესუალურ ნორმებს, რომლებიც მოცემულია სტატუტის სხვა მუხლებში, რომელთაც თანამშრომლობისათვის მნიშვნელობა აქვთ (იხ. სტატუტის 8ნ-ე მუხლი).

მართალია, რატიფიკაციის გზით სტატუტი საქართველოში უშუალოდ მოქმედი სამართალი გახდა და მთელი რიგი ნორმები, განსაკუთრებით მე-9 ნაწილში ნათლად ჩამოყალიბებული დებულებები, პირდაპირ გამოიყენება, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, რომ ეს ნორმები უფრო ადვილი, ხელმისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო, მოხდა მათი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია: ამით ყველა საკითხი, რომელიც შეეხება საქართველოს თანამშრომლობას საერთაშორისო სასამართლოსთან, თავმოყრილია ერთ სპეციალურ კანონში.⁴

ოპტიმალური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, კანონმა გაითვალისწინა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოს პარტნიორს. ამ ორგანოს შიდასახელმწიფოებრივ პროცესში ეკისრება გადამწყვეტი როლი – როგორც წესი, მხოლოდ ეს ორგანო გასცემს ფორმალურ განკარგულებებს, რომლებსაც შესაბამისი სამსახურები შეასრულებენ.

ამოცანები, რომლებიც უნდა შესრულდეს სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში, იყოფა ორ ნაწილად: კანონი, ერთი მხრივ, შეიცავს გადაცემისა და თანამშრომლობის სხვა ფორმებისათვის საერთო დებულებებს და აწესრიგებს უფლებამოსილებებს, ხოლო, მეორე მხრივ, კანონში მოცემულია გადაცემასთან, თანამშრომლობის სხვა ფორმებთან, სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოში, ისევე როგორც დსთ-ს სხვა ქვეყნებში, ევროპის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ექსტრადიციისა და წინასწარი გამოძიების ეტაპზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების სხვა საკითხებზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოა გენერალური პროკურატურა. რომის სტატუტის რატიფიკაციისათვის მოსამზადებელ პროცესში საუბარი იყო იმაზე, რომ საერთაშორისო სასამართლოსთან ურთიერთობაშიც ანალოგიური უფლებამოსილება მიეღო საქართველოს გენერალური პროკურატურას. საბოლოოდ, კანონის მე-3 მუხლის

⁴ დღეისათვის არსებობს სისხლის სამართლის საქართველოს სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შემუშავების კარგი გამოცდილება. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 2002 წლის 1 ივლისიდან მოქმედებს „კანონი სისხლის სამართლის საქართველოს სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ“ (Gesetz über die Zusammenarbeit mit dem Internationalen Strafgerichtshof). ასეთივე კანონი მიღებულია შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში.

მიხედვით, საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის განხორციელებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.⁵ იგი უზრუნველყოფს თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის მიღებას, თხოვნის შესრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში, თხოვნათა შესრულებისთვის საქართველოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციას.

საქართველოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, საერთაშორისო სასამართლოსთან გამართოს სტატუტის 97-ე მუხლით გათვალისწინებული კონსულტაციები. კანონის მე-5 მუხლი ადგენს ისეთ სავალდებულო შემთხვევებს, როცა თათბირის გამართვა საერთაშორისო სასამართლოსთან აუცილებელია. ეს ის შემთხვევებია, როცა, მაგალითად, თხოვნის შესრულება შეეხება სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების ინტერესებს, შიდასახელმწიფოებრივი ან დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირს.

კანონის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, თუ საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი ქმედება მისი განსჯადია, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებთან შეთანხმებით, იმოქმედოს სტატუტის მე-18 მუხლის შესაბამისად და მიიღოს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნა ან, საჭიროების შემთხვევაში, სტატუტის მე-19 მუხლის შესაბამისად, გაასაჩივროს საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობა. თუ უფლებამოსილი ორგანო საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობას არ ასაჩივრებს ან მის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად მივა დასკვნამდე, რომ საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობას უპირატესობა აქვს შიდასახელმწიფოებრივ იურისდიქციასთან შედარებით, საქმის მთლიანი მასალები გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართალწარმოების უფლებამოსილი ორგანო მის წარმოებაში არსებულ პროცესს შეაჩერებს.

კანონის მე-8 მუხლი განსაზღვრავს საერთაშორისო სასამართლოსათვის ვითარების შეტყობინების წესს. ამ საკითხზე, სტატუტის მე-14 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. იგი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, ეცნობოს თუ არა საერთაშორისო სასამართლოს იმ ვითარების შესახებ, მისი გამოძიების თხოვნით, რომ არსებობს ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლის განსჯადობაც ექვემდებარება საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო მიღებულ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ უგზავნის საერთაშორისო სასამართლოს.

საერთაშორისო სასამართლოს თხოვნა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს უნდა წარედგინოს წერილობით. ამ ორგანოს უფლება აქვს, თხოვნა უშუალოდ საერთაშორისო სასამართლოს ორგანოებისგან მიიღოს. მე-9 მუხლი ადგენს, რომ თხოვნა და თანდართული მასალები უნდა შედგეს ქართულ ენაზე ან მათ უნდა ერთვოდეს სათანადო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო იხილავს მიღებულ თხოვნას და განსაზღვრავს, თუ რომელი სახელმწიფო ორგანოა უფლებამოსილი თხოვნის უშუალო შესრულებისთვის.

თუ უფლებამოსილი ორგანოს აქვს სერიოზული საფუძველი, რომ თხოვნის შესრულება საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ეროვნული უშიშროების ინტერესებს, იგი ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს და საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის სტატუტის 72-ე მუხლის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება თხოვნის აღსრულებასთან დაკავშირებით მოქმედებების შეჩერების თაობაზე. უფლებამოსილი ორგანო, საქართველოს ეროვნული

⁵ თავდაპირველად კანონის პროექტი ითვალისწინებდა იუსტიციის სამინისტროსთან საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის სპეციალური სამსახურის შექმნას, მაგრამ საბოლოოდ კანონით ასეთი სამსახურის შექმნა არ იქნა გათვალისწინებული.

უშიშროების საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნა თანამშრომლობის თაობაზე, იმ მოტივით, რომ თხოვნის შესრულება საქართველოს ეროვნულ უშიშროებას საფრთხეს შეუქმნის.

კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლოს ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის ტრანზიტის წესით გადაადგილებისთვის. საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანო გასცემს ნებართვას დაპატიმრებული პირის სასამართლო მოსმენის გარეშე ტრანზიტით გადაყვანისა და ამისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელების შესახებ. ნებართვის გაცემა არ არის საჭირო, თუ დაპატიმრებული პირი საჭირო ტრანსპორტით, საქართველოს ტერიტორიის გავლით, ხმელეთზე დაშვების გარეშე, უნდა იქნეს გადაყვანილი. გაუთვალისწინებელი დაფრენის შემთხვევაში, ტრანზიტით გადასაყვანი პირი დაკავებულ და გადაყვანილ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დაკავებულ პირთა დროებითი ყოფნის იზოლატორში. უფლებამოსილი ორგანო საერთაშორისო სასამართლოს დაუყოვნებლივ მიმართავს, რათა გამოაგზავნოს თხოვნა ტრანზიტის თაობაზე. თუ დაკავებიდან 72 საათის განმავლობაში ასეთი თხოვნა არ იქნება წარმოდგენილი, დაკავებული პირი უნდა გათავისუფლდეს. თუ თხოვნა დაგვიანებით იქნება წარმოდგენილი, განთავისუფლებული პირი ხელახლა უნდა იქნეს დაკავებული და მისი ტრანზიტით გადაყვანაზე ნებართვა გაცემული.

სხვა მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობა, სტატუტის 89-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ითვალისწინებს გაუთვალისწინებელი დაშვების მომენტიდან 96 საათის სტანდარტს. ქართული კანონის პროექტის თავდაპირველი ვარიანტიც იმავე ვადას ითვალისწინებდა. საბოლოოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტიდან გამომდინარე, იგი შეიცვალა 72 საათით⁶. ვფიქრობთ, სტატუტის 89-ე მუხლი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლს, ვინაიდან ეს ორი ნორმა ერთსა და იმავე სამართლებრივ ურთიერთობას არ აწესრიგებს, რის გამოც საქართველოს კანონს თანამშრომლობის შესახებ შეეძლო, დაეწესებინა 96-საათიანი ვადა. ვინაიდან სტატუტს, როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, უპირატესობა აქვს კანონთან შედარებით, მიუხედავად კანონთან წინააღმდეგობისა, შეიძლება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესი საერთაშორისო სასამართლოსთან ურთიერთობაში პირდაპირ იქნეს გამოყენებული.

თხოვნათა კონკურენციის შემთხვევებს აწესრიგებს კანონის მე-18 მუხლი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ საქართველო ერთდროულად ერთი და იმავე პირის თაობაზე მიიღებს გადაცემისა და ექსტრადიციის თხოვნას საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა სახელმწიფოსაგან, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილმა ორგანომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სტატუტის 90-ე მუხლის შესაბამისად. თუ საქართველო ერთდროულად საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა სახელმწიფოსაგან მიიღებს იდენტურ თხოვნას, რომელიც შეეხება არა პირის გადაცემას, არამედ სხვა საკითხზე თანამშრომლობას, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს სტატუტის 93-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად. თუ ეს ორგანო უპირატესობას მიანიჭებს სხვა სახელმწიფოს თხოვნას, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საერთაშორისო სასამართლოს.

გადაცემის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის მე-20 მუხლში. საქართველო პირს საერთაშორისო სასამართლოს გადასცემს, თუ თხოვნიდან და თანდართული მასალებიდან გამომდინარეობს, რომ ჩადენილი ქმედება საერთაშორისო სასამართლოს განსჯადია. თუ საერთაშორისო სასამართლო, სტატუტის მე-17-19 მუხლების შესაბამისად, იხილავს საჩივარს განსჯადობის თაობაზე, უფლებამოსილი ორგანოს უფლება აქვს, თხოვნის შესრულება იმ ვადით გადადოს, სანამ საერთაშორისო სასამართლო ამ საკითხზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს. თუ საერთაშორისო სასამართლოს გადაცემა საქართველოს მოქალაქე, უფლებამოსილი ორგანო უფლებამოსილია, მიმართოს მას თხოვნით პროცესის დასრულების შემდეგ ამ პირის საქართველოში დაბრუნების თაობაზე.

⁶ ამ კონსტიტუციური დებულების თანახმად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს.

კანონი აწესრიგებს გადაცემის მიზნით დაკავების, დაპატიმრებისა და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საკითხებს.

თუ საქართველოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო თხოვნას დააკმაყოფილებს, იგი მიმართავს საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პირის ძებნის, დაკავების, ჩხრეკის განხორციელებას. დაკავების დროს უნდა მოხდეს იმ საგნების ამოღება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შენახვა, რომლებიც შესაძლებელია, რომ საერთაშორისო სასამართლოში პროცესის დროს მტკიცებულების სახით იქნეს გამოყენებული.

პირის დაკავებამდე ან დაკავების შემდეგ, უფლებამოსილი ორგანო საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარუდგენს წინადადებას, რის საფუძველზეც გენერალური პროკურორი, პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, მიმართავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელიც წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს, საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის მიზნით პირის დაპატიმრების თაობაზე ბრძანების გაცემის შესახებ. სასამართლო მომდევნო 24 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ბრძანების გაცემის თაობაზე. თუ სასამართლო ამ ვადაში არ მიიღებს დაპატიმრების გადაწყვეტილებას, დაკავებული პირი უნდა გათავისუფლდეს.

კანონი მოითხოვს, რომ დაკავებისას უნდა დადგინდეს ამ პირის იდენტურობა საერთაშორისო სასამართლოს თხოვნაში მითითებულ პირთან. ასევე, გადაცემის მიზნით პატიმრობის ბრძანების გამოტანისას უნდა შემოწმდეს სისხლისსამართლებრივად დევნილი პირი ბრძანებაში მითითებული პირის იდენტურია თუ არა. გადაცემის მიზნით პატიმრობის ბრძანების გამოტანისას ამ პირს განემარტება გადაცემის საფუძველი და გადაცემის გამარტივებული პროცედურა. სისხლისსამართლებრივად დევნილი პირი დაიკითხება მისი პირადი მონაცემების შესახებ. კანონის 26-ე მუხლიდან („გადასაცემი პირის უფლებები“) გამომდინარე, მას ასევე ეკითხებიან, გადაცემის მიზნით დაპატიმრების შესახებ ბრძანების და გადაცემის პროცედურის საწინააღმდეგოდ ხომ არ გააჩნია რაიმე არგუმენტები და ისმენენ მის პოზიციას. გადასაცემ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს დაცვის უფლებით, რაც მას უნდა განემარტოს. გადაცემის მიზნით დაპატიმრების შესახებ ბრძანების ასლის წერილობით მიღების მომენტიდან 5 დღის ვადაში გადასაცემ პირს უფლება აქვს, ეს ბრძანება გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში.

თუ საერთაშორისო სასამართლოს თხოვნით გადასაცემი პირი საქართველოში იმყოფება წინასწარ პატიმრობაში ან აქ სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით, არ დაიშვება მისი არც განთავისუფლება და არც საქართველოდან გაყვანა უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის გარეშე. ასევე აუცილებელია ამ ორგანოს თანხმობა ასეთი პირისთვის პატიმრობის პირობების ყოველგვარი შემსუბუქების, მისი ნახვისა და მისი კორესპონდენციის კონტროლის შემთხვევაში.

კანონის 25-ე მუხლი ითვალისწინებს გადაცემის პატიმრობის გაუქმების შესაძლებლობას სტატუტის 92-ე მუხლის საფუძველზე. კერძოდ, თუ საერთაშორისო სასამართლოს თხოვნა გადაცემის თაობაზე, თანდართული მასალებით, პირის დაკავებიდან 60 დღის განმავლობაში უფლებამოსილი ორგანოში არ შევიდა, გადაცემის მიზნით პატიმრობა უქმდება. თუ სისხლისსამართლებრივად დევნილი პირი პატიმრობაში იმყოფება, მაშინ ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, როცა პირი გადაყვანილ იქნება გადაცემის მიზნით პატიმრობაში. თუ პირი პატიმრობიდან გათავისუფლდება კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ეს არ გამორიცხავს მისი შემდგომი დაკავებისა და საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემის შესაძლებლობას, თუ გადაცემის თხოვნა და თანდართული მასალები საერთაშორისო სასამართლოდან მოგვიანებით იქნება გადმოგზავნილი.

გადაცემის თხოვნა და თანდართული მასალები სისხლისსამართლებრივი წესით დევნილ პირს და მის დამცველს უნდა წარედგინოს მათთვის გასაგებ ენაზე. უფლებამოსილი ორგანო სისხლისსამართლებრივად დევნილ პირს განუმარტავს გადაცემის საფუძველს, გადაცემის გამარტივებულ პროცედურასა და მის უფლებებს (მაგალითად, გასაჩივრების უფლება, დაცვის უფლება).

სისხლისსამართლებრივად დევნილი პირი უნდა დააკითხოს მისი პირადი მონაცემების შესახებ და განემარტოს გადაცემის საფუძველი. მას უფლება აქვს, წარადგინოს მისი დაპატიმრებისა და გადაცემის საწინააღმდეგო არგუმენტები. დამცველს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ამ მოქმედებათა ჩატარებაში.

კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, გასცეს ნებართვა სისხლისსამართლებრივად დევნილი პირის დროებით გადაცემაზე.

საერთაშორისო სისხლის სამართლისათვის ცნობილი სპეციალურობის (ექსკლუზიურობის) პრინციპი მოცემულია კანონის 30-ე მუხლში. ამ პრინციპის მიხედვით, საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემული პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, დაპატიმრება ან მსჯავრდება საერთაშორისო სასამართლომ შეიძლება განახორციელოს ყველა იმ ქმედებისათვის, რომლის მიმართაც ვრცელდება საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა მოიცავს სტატუსითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო სასამართლოს განსჯად ქმედებათა გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას, აგრეთვე – დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ამოღებას. კანონის 32-ე მუხლში ჩამოთვლილია ასეთი საპროცესო მოქმედებათა სახეები (მაგალითად, მტკიცებულებათა მოპოვება და საერთაშორისო სასამართლოსთვის წარდგენა, ჩხრეკა, ამოღება, ყადაღის დადება, ასევე მტკიცებულებათა დაცვა). კანონის 32-ე მუხლის ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. იგი უთითებს ნებისმიერი სხვა ფორმის დასაშვებობაზე, რომელიც პირდაპირ აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით და რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო სასამართლოს მის იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში.

კანონის 36-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელიც ეჭვმიტანილია საერთაშორისო სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენაში, დაკითხვის პროცესში უფლება აქვს: დაკითხვის წინ განემარტოს, რომ იგი იმ დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი, რაც საერთაშორისო სასამართლოს განსჯადია; ისარგებლოს დუმილის უფლებით⁷; მოიწვიოს სასურველი დამცველი ან თუ არ ჰყავს იგი, უფლებამოსილი ორგანოსგან მოითხოვოს მისი შერჩევა ან სახაზინო წესით დანიშვნა; დააკითხოს დამცველის მონაწილეობით, თუ იგი ნებაყოფლობით არ ამბობს უარს დამცველზე. თუ პირის დაკითხვა ტარდება იმ ენაზე, რომელსაც იგი არ ფლობს ან არასათანადოდ ფლობს, მას დაენიშნება თარჯიმანი. მას ასევე წარედგინება აუცილებელი თარგმანები, რათა დაცულ იქნეს სამართლიანი მართლმსაჯულების პრინციპი. პირს უფლება აქვს, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე საკუთარი თავის ან იმ ახლობელთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და საერთაშორისო სასამართლოს „პროცედურისა და მტკიცების წესების“ მიხედვით ან თუ ჩვენების მიცემაზე უარის თქმით სურს, სტატუსის 72-ე მუხლის შესაბამისად, არ იქნეს გახმაურებული მისთვის სახელმწიფოს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებით განდობილი ინფორმაცია. ამ უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს იმ გზით, რომ პირს დაკითხვის წინ უნდა განემარტოს ეს უფლება. თუ პირი იყენებს ამ უფლებას, უფლებამოსილი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ასეთ შემთხვევაში პირის დაკითხვის დასაშვებობის შესახებ.

კანონის 39-ე მუხლი უფლებამოსილ ორგანოს აძლევს საშუალებას, საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის საფუძველზე, ამ სასამართლოს წარმომადგენელს, რომელშიც, ბუნებრივია, ბრალმდებელი იგულისხმება, დართოს ნება, საგამოძიებო მოქმედებები ჩატაროს საქართველოს ტერიტორიაზე. აქ

⁷ პროექტისაგან განსხვავებით, კანონის 36-ე მუხლში მითითებულია ეჭვმიტანილისათვის დუმილის უფლების განმარტებაზე, ხოლო პირდაპირ არ არის მითითებული იმის განმარტების ვალდებულებაზე, რომ დუმილი მის ბრალეულობის დადგენისას მის საწინააღმდეგოდ არ იქნება გამოყენებული.

იგულისხმება სტატუტის 99-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე პროკურორის უფლებამოსილებები.

კანონის 43-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება საერთაშორისო სასამართლოს თხოვნასთან დაკავშირებით, თხოვნის განხილვის პროცედურის დასრულების შემდეგ საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში იმ პირის მიერ, ვისაც პირადად და უშუალოდ შეეხო გატარებული ღონისძიება ან აქვს დადგენილების შეცვლის ან გაუქმების კანონიერი ინტერესი. თუ გასაჩივრებისათვის უფლებამოსილი პირი იყენებს გასაჩივრების უფლებას იმ საკითხზე, რომელიც, სტატუტის შესაბამისად, შეიძლება შეაფასოს მხოლოდ საერთაშორისო სასამართლომ, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო საჩივარს უგზავნის საერთაშორისო სასამართლოს, თუ მას ჯერ კიდევ არა აქვს გამოტანილი გადაწყვეტილება.

კანონის 45-ე მუხლში მოცემულია საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები. საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის საფუძველზე საქართველოში შეიძლება აღსრულდეს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული პირი საქართველოს მოქალაქეა ან საქართველოში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან საკუთრება. საქართველოში ფულადი სასჯელი შეიძლება აღსრულდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მსჯავრდებულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საზღვარგარეთ აქვს, მაგრამ საქართველოში ქონება გააჩნია.

კანონის 46-ე მუხლი აწესრიგებს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულების საკითხს. საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შესახებ საქართველოში აღსრულდება მას შემდეგ, რაც უფლებამოსილი ორგანო ამ მოთხოვნის შესრულებაზე დათანხმდება. საერთაშორისო სასამართლოს თხოვნით, უფლებამოსილი ორგანო უგზავნის მას ყველა საჭირო ინფორმაციას სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საქართველოში, რათა მან შეამოწმოს სასჯელის აღსრულების პირობები და შეხვედეს და ესაუბროს მსჯავრდებულს. საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლისა და მსჯავრდებულის ურთიერთობა ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს.

თუ მსჯავრდებულმა დააყენა შუამდგომლობა სასჯელის მოხდისგან ვადამდე პირობით განთავისუფლების, შეწყალების, გასაჩივრების ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლების შესახებ, ასეთ შემთხვევაში ეს შუამდგომლობა გადაეცემა უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც ასეთ შუამდგომლობას, ყველა სხვა აუცილებელ მასალასთან ერთად, დაუყოვნებლივ უგზავნის საერთაშორისო სასამართლოს. მხოლოდ საერთაშორისო სასამართლო არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება სასჯელის შემცირებისა თუ სხვაგვარი შეღავათის თაობაზე.

კანონის 47-ე მუხლი აწესრიგებს საგნის ან ქონებრივი ღირებულების მქონე ნივთის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას. ჩამორთმევის შესახებ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით გამოიყენება საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, თუ საერთაშორისო სასამართლოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება⁸ საგნის ან ქონებრივი ღირებულების ჩამორთმევის შესახებ და საქართველოს სთხოვს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას.

ასეთია ის ძირითადი საკანონმდებლო დებულებები, რომლებითაც მოწესრიგებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხები. თვით რომის სტატუტი და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სპეციალური კანონი სრულყოფილად აწესრიგებენ ასეთი თანამშრომლობის დეტალებს, რის გამოც სამართლებრივი პრობლემები საკანონმდებლო დონეზე არ წარმოიშობა.

⁸ იგულისხმება სტატუტის 75-ე და 79-ე მუხლების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება.

დასკვნა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება – რომის სტატუტი წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის ძალაში შესვლით პირველად კაცობრიობის ისტორიაში ამოქმედდა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო.

საქართველოს მიერ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია დაკავშირებული იყო შიდა-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან, რათა იგი შესაბამისობაში ყოფილიყო რომის სტატუტის დებულებებთან.

ჩვენი დასკვნით, სტატუტის რატიფიკაციის პროცესში საქართველოს კონსტიტუცია და მატერიალური სისხლის სამართლის კოდექსი ცვლილებებსა და დამატებებს აუცილებლობით არ მოითხოვდა, ხოლო რაც შეეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის სფეროს, შემუშავდა სპეციალური კანონპროექტი, რაც საქართველოს პარლამენტს რომის სტატუტის რატიფიკაციასთან ერთად წარედგინა. როგორც აღინიშნა, საქართველოში, უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა და მოქმედებს კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც სრულყოფილად აწესრიგებს ამ ურთიერთობის სამართლებრივ საკითხებს.

ჰუმანიტარული სამართლის რუსულენოვანი პრაქტიკული ლემსიკონის პროექტის ანგარიში

ა. ავტორი და ექიმების საზღვრებს გარეშე

1999 წელს ორგანიზაციამ „ექიმები საზღვრებს გარეშე“ გამოაქვეყნა ჰუმანიტარული სამართლის პრაქტიკული ლემსიკონი. თავდაპირველად, ნაშრომი დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე, მას შემდეგ იგი ითარგმნა ინგლისურ, ესპანურ, თურქულ, პორტუგალიურ და რუსულ ენებზე. ლემსიკონის არაბული ვერსია სავარაუდოდ 2005 წელს გამოვა. რუსულენოვანი ლემსიკონის 4000 ეგზემპლარის გამოცემა მოხერხდა შვეიცარიისა და შვედეთის მთავრობების, ასევე ევროპის საბჭოსა და ინტერნეისის მხარდაჭერით. აღნიშნული ლემსიკონი განკუთვნილია და გავრცელებულია დსთ-ს ყველა სახელმწიფოში.

ლემსიკონის ავტორია ფონდ ეაგ („ექიმები საზღვრებს გარეშე“-ს) კვლევის დეპარტამენტის დირექტორი და ეაგ-ის პასუხისმგებელი სამართლებრივ საკითხებში ფრანსუაზა ბუშე-სოლნიე. იგი 15 წელია მუშაობს ეაგ-ში.

ექიმები საზღვრებს გარეშე საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციაა, რომელმაც თავისი 30 მოღვაწეობისათვის 1999 წელს ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში. ეს ორგანიზაცია მსოფლიოს დაახლოებით 80 ქვეყანაში ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს 1714 ძირითადი და 14900 ადგილობრივი თანამშრომლის საშუალებით. მისიათა ნახევარზე მეტი დაკავშირებულია შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციებთან, ანუ სადაც სიტუაცია პირდაპირ კავშირშია ძალადობასთან, კონფლიქტის შედეგებთან – ლტოლვილები, იძულებით ადგილნაცვალნი პირები, გენოციდის მსხვერპლნი და სხვა.

მისი საქმიანობის დაახლოებით 25% დაკავშირებულია ყველაზე სერიოზულ ეპიდემიებთან და ენდემურ დაავადებებთან (შიდსი, ტუბერკულოზი, პალუდიზმი...). ეს აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე, ძირითადი მედიკამენტების გამოგონებასა და შემუშავებაში (შიდსი, ტროპიკული დაავადებები, ტუბერკულოზი და აშ). ეს-ს საქმიანობის დანარჩენი 25% გულისხმობს მოსახლეობის დაუცველი და მარგინალური ფენების დახმარებას. კერძოდ, მკურნალობისადმი ხელმისაწვდომობა, მაწანწალა ბავშვთა, ლატაკთა და უქომავთა დაცვა და მათი სოციალურ-ეკონომიკური რეინსერცია.

ბ. ლემსიკონის მიზანი:

- დაინტერესებულთ გააცნოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსებობა და მისი შინაარსი. იგი მოქმედებს საერთაშორისო თუ შიდა შეიარაღებული კონფლიქტების დროს.. საერთაშორისო შეთანხმებები კერძოდ განსაზღვრავენ:
 - კონფლიქტში მონაწილე სხვადასხვა კატეგორიის ინდივიდებისა (მშვიდობიანი მოსახლეობა, მებრძოლები, ავადმყოფები, დაჭრილები, პატიმრები) და კონფლიქტის მსხვერპლთა უფლებებსა და მოვალეობებს;
 - შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დახმარებასა და მკურნალობასთან დაკავშირებულ ძირითად გარანტიებს, სამხედრო, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებთან და გენოციდთან დაკავშირებულ სანქციებს;
 - მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საქმეში უფლებებსა და როლს, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებით მიაკუთვნებენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და სხვა მიუკერძოებელ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, როგორცაა ეს სამედიცინო სფეროში.
- ლემსიკონი შეიცავს აგრეთვე, ევოლუციის პროცესში მყოფი საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითად ელემენტებს (რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის სასამართლოებს, მათი იურისპრუდენცია, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო და აშ.)

3. ლექსიკონი შეიცავს ინფორმაციას გაეროს სხვადასხვა ორგანიზაციისა და იმ რეგიონული ორგანიზაციების უფლებამოსილებისა და ფუნქციონირების შესახებ, რომლებიც კონფლიქტების მოგვარებით, მოსახლეობის დაცვითა და დახმარებით არიან დაკავებული.
4. ლექსიკონი ასევე მიზნად ისახავს გააცნოს ყველა ის საერთაშორისო ინსტანცია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები, გააცნოს ადამიანის უფლებათა დარღვევის გასაჩივრების ყველა არსებული მექანიზმი და საშუალება. გარდა ამისა, გააცნოს კიდევ უფრო დაუცველი, მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობის დაცვის მექანიზმები (ქალები, ბავშვები, პატიმრები). ლექსიკონი შედგება 200 რუბრიკისაგან ზუსტად განსაზღვრული სამართლებრივი ტერმინებით. იგი გვთავაზობს ოცდაათამდე საერთაშორისო და რეგიონალური კონვენციის ნუსხასა და ანალიზს, რომლებიც თავიანთი შინაარსითა და მოქმედების არეალით უკავშირდებიან ჰუმანიტარულ სამართალს, ადამიანის, კერძოდ ქალთა, ბავშვთა, ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უფლებებთან, საერთაშორისო სისხლის სამართალთან და მშვიდობის შენარჩუნებასთან.

რა დანიშნულება აქვს ლექსიკონს

ეს არის იურიდიული ლექსიკონი. იგი დააინტერესებს იურისტებს, განსაკუთრებით ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების გამო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

თუმცა, ეს ლექსიკონი უმთავრესად განკუთვნილია არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრების, ჟურნალისტების, სტუდენტების, სამაშველო ორგანიზაციათა წევრებისა და ყველა ჩვეულებრივი მოქალაქისათვის, რომელიც ცდილობს გაიგოს სად გადის შეიარაღებული ძალის გამოყენების კანონიერი ზღვარი და როგორია მოქმედების არსებული საშუალებები მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შესაჩერებლად.

ჰუმანიტარული სამართალი ჩამოყალიბდა II მსოფლიო ომის შემდეგ, რადგან ნათლად გამოჩნდა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა 90% სწორედ მშვიდობიანი მოსახლეობაა. მეორე მიზეზი, რამაც ლექსიკონის შექმნა განაპირობა არის ის, რომ სახელმწიფოებმა გააცნობიერეს, რომ ხშირად შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ სათანადოდ დაეცვათ საკუთარი მოქალაქენი. ამგვარად, შეიქმნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომელსაც სახელმწიფოებმა მიანდეს ზედამხედველობის მისია, თუ როგორ ასრულებენ იგივე სახელმწიფოები ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჟენევის კონვენციასა და მის პროტოკოლებში.

ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებს საომარ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოებში მომუშავე ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა და სამაშველო საქმიანობის განხორციელებისა და მოლაპარაკებების დროს. ამგვარად აუცილებელია, რომ უბრალო მოქალაქეები და ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა წევრები ჯეროვნად ერკვეოდნენ ამ სამართალსა და მასში გამოყენებულ სამართლებრივ ცნებებსა და ტერმინებში.

სიტყვებით თამაში ნიშნავს სამართალთან თამაშს.

ჰუმანიტარული სამართალი გამოყოფს კატეგორიებს – მებრძოლები, მშვიდობიანი მოსახლეობა, სამხედრო ტყვე, პატიმარი, ავადმყოფი, დაჭრილი, სამაშველო ორგანიზაციის პერსონალი.

ყველა აღნიშნულ პირთაგანი სარგებლობს სპეციფიური უფლებებით იმ კატეგორიის მიხედვით, რომელსაც იგი ეკუთვნის. აქედან გამომდინარე სიტყვის არამართებული ხმარებით ესა თუ ის ინდივიდი შესაძლოა თავისი უფლებების მიღმა აღმოჩნდეს.

მაგალითად: საომარი მდგომარეობის პირობებში არსებობს მხოლოდ ორი კატეგორია, მშვიდობიანი მოსახლეობა და მებრძოლები. როცა, მშვიდობიანი მოქალაქე პირდაპირ მონაწილეობს საომარ მოქმედებებში, იგი ხდება მებრძოლი, მანამდე, ვიდრე იგი ამ ქმედებებში მონაწილეობს.

არალეგალური მებრძოლის ცნების გამოგონებით, რაც ჰუმანიტარულ სამართალში საერთოდ არ არსებობს, ამერიკელებმა მათ მიერ დატყვევებული პირები ავლანეთსა და ერაყში დატოვეს იმ სამხედრო ტყვეის სტატუსის გარეშე, რაც მათი უფლებების დაცვას უზრუნველყოფდა. ამ მდგომარეობამ მათ მისცა ამ ტყვეების დაპატიმრებისა და საიდუმლო, უკანონო დაკითხვების საშუალება გვანტანამოს ციხეებსა და სხვა სამხედრო ბაზებში.

იგივე მოვლენას ადგილი აქვს ტერმინ **ტერორისტის** არამართებული გამოყენებისას, რათა არ აღიარონ შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა და მებრძოლის სტატუსი მათთვის, ვინც ძალადობას მიმართავს ასეთ კონფლიქტში. ეს მოვლენა უკვე ცნობილია ჩეჩნეთის მაგალითიდან, სადაც რუსებს არ სურთ სცნონ შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა.

„**ტერორიზმის წინააღმდეგ ომმა**“, რომელიც აშშ-მ წამოიწყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, გამოიწვია ორი სხვა ომი: ერთი ავლანეთში, მეორე კი ერაყში. ადამიანები, რომლებიც ძალას იყენებენ ამგვარ კონტექსტში უნდა იცნენ, როგორც მებრძოლები. მათ წინააღმდეგ აღიძრება სისხლის სამართლის დევნა, თუკი ისინი ჩაიდენენ სამხედრო დანაშაულს, თუ გამოიყენებენ ტერორისტულ მეთოდებს, მაგრამ მათ წინაშე ვერ აღიძრება საქმე, მხოლოდ ძალის გამოყენების ფაქტზე.

უნდა განვასხვაოთ ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული კონფლიქტის დროსა და ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ მშვიდობიან პერიოდში. როგორც კი სახელმწიფოები მიიღებენ გადაწყვეტილებას მიმართონ გარკვეული მოცულობისა და გარკვეული ხანგრძლივობის სამხედრო ძალას, მათ უნდა იხელმძღვანელონ ჰუმანიტარული სამართლით და დაიცვან მისი პირობები.

სამართალი ვერ იტანს სიცარიელეს.

– როცა ადამიანს ერთ რომელიმე სტატუსზე ეუბნებიან უარს, მას სხვა სტატუსს მაინც უნდა სთავაზობდნენ.

მაგალითად: შეუძლებელია ადამიანს არ გააჩნდეს არც მშვიდობიანი მოქალაქის და არც მებრძოლის სტატუსი. იმ პერიოდის განმავლობაში, როცა სტატუსი ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის, ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს მინიმალურ დაცვას, რომელიც ხორციელდება სტატუსის მინიჭების პროცედურული გარანტიების მიხედვით.

სამართლის დაცვა, ამავე დროს შეიარაღებული ძალების ეფექტურობის საწინდარია. „მებრძოლის“ სტატუსი საჩუქრი კი არაა, არამედ ინდივიდთა მიმართ მოპყრობის ჩარჩო-ფორმა, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს გადაცდომები და შენარჩუნდეს დისციპლინა და ეფექტიანობა შეიარაღებულ ძალებში.

ეს ამავედროულად შეიარაღებული ძალების ძირითად მორალურ ასპექტს წარმოადგენს. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ის მებრძოლები, რომელთაც უხემად დაარღვიეს ჰუმანიტარული სამართალი, მოგვიანებით მწვავე სულიერ ტრავმას განიცდიან ; ასევე საუბრობენ „ვეტერანის სინდრომზე“.

სამხედრო დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ანგრევს არა მარტო მსხვერპლის ცხოვრებას, არამედ მისასაც, ვინც ეს ჩაიდინა.

დღევანდელი « **ტერორის წინააღმდეგ გლობალური ომის** » პირობებში, უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ ჟენევის კონვენციისა და მისი პროტოკოლების « რეფორმის » აუცილებლობაზე, იმ საბაბით, რომ ისინი აღარ არიან აქტუალური და აღარ შეესაბამებიან ტერორისტთა ბრძოლის ახალ ფორმებს. ეს ბრალდება რბილად რომ ვთქვათ არაზუსტია.

ჟენევის კონვენციის 1977 წელს მიღებული დამატებითი პროტოკოლები პასუხობენ ყველა პრობლემას, რაც დაკავშირებულია ომის იმ ახალ ფორმებთან და მეთოდებთან, რომლებიც გამოჩნდა ბოლო დროის დეკოლონიზაციასთან დაკავშირებულ გერილებში, თვითგამორკვევისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ომებში.

ტერორიზმი ამ პერიოდთან აღიარებული და დაგმობილია, როგორც ომის ერთერთი მეთოდი, რომლის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ფართო მასებში შიშისა და ტერორის გავრცელება. ტერორიზმი დიდი ზანია არსებობს და ამ სენთან ბრძოლა ვერ იქნება წარმატებული ჟენევის კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვის გარეშე. რამეთუ, სამართლის ნებისმიერი ფორმით უგულველყოფით, ვქმნით ნოყიერ ნიადაგს ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის ძირითადი თავისუფლებების დარღვევისათვის.

ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება სისუსტის ნიშანი კი არა, არამედ პირიქით, ვინც მას იცავს და იყენებს ხდება უფრო ძლიერი. ჰუმანიტარული სამართლის უპირველესი მიზანია: კონფლიქტების დროს შექმნას ადამიანთა თავშესაფრები, რათა დაიცვას არა მარტო მშვიდობიანი მოსახლეობა, არამედ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებიც „ტოტალური ომის“ საშიშროებისაგან.

კონფლიქტის პერიოდში, ჰუმანიტარული საქმიანობა არამც და არამც არ ნიშნავს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას. იგი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია.

ეს მუდამ ზედმიწევნით და ერთგულად იცავდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ მისი დაფინანსების 80%-ს კერძო შემოწირულობები შეადგენს და არა სახელმწიფოთა ან სხვა ინსტიტუტებიდან შემოსული სახსრები.

მართლაც, დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი წარმოადგენს ჰუმანიტარული საქმიანობის წარმატების ძირითად გარანტიას.

ფრანსუაზა ბუშე-სოლნიე francoise.saulnier@paris.msf.org

ლექსიკონის შეკვეთის მსურველები დაუკავშირდით გამომცემლობას მოსკოვში შემდეგ ტელეფონზე: 00.7.095. 921.41.42.

ან ელექტრონული პოსტის მეშვეობით: mic@inbox.ru

ლექსიკონის შეკვეთა ასევე შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდებზე:

http://bestseller.giftbooks.ru/NewBook/Colibri/Colibri_040729c.htm

<http://alfavit.r2.ru/cgi-bin/page.pl?pn=7&query=@209292@&stpos=0&stype=AND>

PRESENTATION OF THE PRACTICAL GUIDE TO HUMANITARIAN LAW IN RUSSIA, ARMENIA, GEORGIA, AZERBAIJAN

(JUNE – DECEMBER 2004)

A. The author and MSF

In 1999, Médecins Sans Frontières published the Practical Guide to Humanitarian Law

This dictionary, initially published in French has since been translated into English, Spanish, Turkish, Portuguese and Russian. The Arabic version should be published in 2005. 4000 copies of the Russian version have been published, with the support of, amongst others, the Swiss and Swedish governments, the European Council and Internews. It is designed for, and will be distributed throughout, the Commonwealth of Independent States.

The author of this dictionary is Françoise Bouchet-Saulnier, Research Director of the MSF Foundation and MSF's legal advisor. She has been working with MSF for 15 years. Médecins Sans Frontières is an humanitarian non governmental organisation, and received the Nobel Peace Prize in 1999 for over 30 years of fieldwork. The organisation runs projects in approx. 80 countries around the world – 1714 expatriates and 14,900 local employees are working in the field. Over half of the missions are linked to situations of armed conflict, either in direct contact with the violence or with the immediate consequences of the conflicts – refugees, displaced people, victims of armed conflict, massive violence and crimes against civilian population etc. About 25% of activities are linked to the treatment of large epidemics and endemics (AIDS, tuberculosis, malaria...). MSF is also involved in the research on essential medicines (AIDS, tropical illnesses, tuberculosis etc.). The other 25% of MSF's activity is devoted to providing medical assistance and care to vulnerable populations suffering from various forms of discrimination, social exclusion and poverty. This involves providing access to treatment and care to street children, prostitutes, detainees or other group of population that have been marginalized for social or economic reasons.

B. Objective of the Dictionary:

1. to provide information on the existence and the content of international humanitarian law, which can be applied in situations of international or internal armed conflict. The international conventions set out :
 - the rights and duties of the different categories of individuals involved in, or victims of, conflicts (civil populations, combatants, the sick and injured, prisoners etc.) ;
 - the fundamental guarantees concerning the treatment and aid for victims of armed conflict, officially recognized in the framework of the repression of war crimes, crimes against humanity and genocide;
 - the rights and the role concerning the aid and protection of victims recognized by the international conventions for the International Committee of the Red Cross and other impartial humanitarian organisations, such as MSF in the medical domain.
2. to provide information on the existence and content of international human rights and refugee law which can be applied in situation of peace as well as situations of internal troubles, tensions and crisis. In those situations, that does not amount to an armed conflict, international law establish basic guarantees and standard of treatment of people. This binding legal framework limits the ways and means government can use to maintain or restore public order
3. The dictionary describes the mandates and the functioning of the different organisations of the United Nations, and the regional organisations involved in the management of conflicts and provision of aid to populations, as well as protection of human rights.

4. It describe the different possible recourses for victims of violations of human rights and humanitarian law, as well as the tools of protection of the most vulnerable categories of the population – women, children, prisoners, sick and wounded, refugees, displaced.
5. The dictionary introduces the main elements of international criminal law, which is undergoing rapid change (the criminal courts for Rwanda and ex-Yugoslavia, their case law, the creation of the International Criminal Court etc.).

The dictionary contains about 200 entries with the corresponding legal notions clearly explained. It lists and analyses approx. thirty international and regional Conventions relating not only to humanitarian law, but also to the human rights, rights of women and children, of refugees and displaced people, and to international criminal law and peacekeeping.

C. The reasons for this dictionary

This is a legal dictionary which will certainly interest lawyers, especially in view of the possibility of filing violations of humanitarian law in front of the various relevant national and international bodies as well as in front of the new international criminal court.

But this dictionary is above all designed for members of NGOs, journalists, students, members of aid organisations, and all the ordinary citizens who are trying to understand the legal limits to the use of armed force and the means or action that exist to limit this violence against civil populations.

Humanitarian law was created at the end of the Second World War because it was plainly clear that 90% of the victims in cases of armed conflict are civilians. The second reason is that the States realized that very often during an armed conflict they were not in a position to protect their own citizens. Thus, the International Committee of the Red Cross was born, and entrusted by the States to contribute direct relief and protection activities and to watch over the application, by the same States, of the Geneva Convention and its Protocols.

Humanitarian law is applied thanks to, and through, the assistance and negotiation initiatives of humanitarian organisations in conflict situations. Therefore it is necessary for ordinary citizens and members of humanitarian organisations to be familiar with this law and the elements it is made up of.

Playing with words is playing with the law

Humanitarian law establishes categories – combatants, civil populations, prisoners of war, prisoners, sick people, injured people, aid organisation personnel. As a result, everyone is entitled to specific rights according to the category they belong to. Consequently, the changing of words or creation of new categories deprives individuals of their rights. For example, in a conflict situation, there are only two categories, civilian or combatant. (when a civilian participates directly in the hostilities, they become a combatant for the duration of that participation). By inventing the category of illegal combatant that does not exist in humanitarian law the Americans have deprived the prisoners they have taken in Afghanistan and Iraq of the protection of the status of prisoner of war. That has allowed them to detain and interrogate them, secretly and illegally, at Guantanamo Bay, and in other military bases.

This is the same phenomenon as the wrongful use of the term ‘terrorist’ as a means of refusing to acknowledge the existence of an armed conflict and the status of combatants to those who are using violence in the framework of that conflict. This is already an old phenomenon in Chechnya where the Russian authorities refuse to recognize the existence of an armed conflict.

The "war against terror" unleashed by the United States after the attacks of 11 September 2001 has led to the outbreak of two wars, one in Afghanistan and the other in Iraq. The people who use violence in this type of context must be recognized as combatants. They can be taken to court if they have committed war crimes and especially if they have used terrorist methods, but they cannot be taken to court for the simple fact of using violence.

The distinction must be made between a war against terrorism in the framework of an armed conflict, and the war against terrorism in a period of peace. When States decide to use armed forces in operations of a certain scale and certain duration they must apply and respect humanitarian law.

Law does not tolerate a vacuum

- When the application of a status is refused to a person, they must be offered another one. For example, it is not possible for a person to be acknowledged as neither civilian nor combatant. For the period where the status is not yet defined, humanitarian law makes provision for a minimal protection that is applied and supplemented by the procedural guarantees for the allocation of status.

Respect for the law is also a guarantee of the effectiveness of armed forces. The status of "combatant" that is given is not a gift, but a framework for the treatment of individuals that ensures that abuses are limited, and to keep a framework of discipline and effectiveness within the armed forces. This is also essential for the morale of the armed forces. It has been recognised that combatants who have participated in serious violations of humanitarian law suffer from acute trauma - "veteran syndrome". War crimes and crimes against humanity destroy the lives of those who suffer them and those who commit them.

In the current "global war against terrorism," some people are calling for a 'reform' of the Geneva Convention and its Protocols, on the grounds that these are now out of date due to the new types of terrorist combat. That accusation is inexact. In 1977 the additional protocols to the Geneva Conventions sought to respond to the problems related to new forms and methods of war that had appeared - decolonisation wars, guerrilla wars, wars of self-determination and national independence. From that date terrorism has been recognised and recognised as a method of war whose principal aim is to spread terror amongst the population. Terrorism has existed for a long time and the battle against it can only be won by means conforming to the Geneva Conventions and its Protocols and to the principles of a state of law. Every time the law is ignored it creates an environment favourable to the violations of humanitarian law and fundamental human rights. The application of humanitarian law is not a sign of weakness, but quite the opposite – those who apply and respect it become stronger. The first objective of humanitarian law is to create humanitarian spaces during conflicts, in order to protect civilians, as well as members of the armed forces, against the dangers of "all-out war"

In periods of conflict, humanitarian action does not constitute interference in the internal affairs of a State, provided that it is independent and impartial. MSF has always scrupulously adhered to the principle of independence and impartiality. That's the reason why 80% of the organisation's activities are financed by private donations and not by States or international institutions. Indeed, independence and neutrality are essential guarantees of the effectiveness of humanitarian action.

Francoise Bouche-Saulnier francoise.saulnier@paris.msf.org

In case if you would like to order the dictionary please contact the publisher in Moscow, Russia at the following telephone number:

00.7.095. 921.41.42.

or at the following email address: mic@inbox.ru

Ordering from following websites is also possible :

http://bestseller.giftbooks.ru/NewBook/Colibri/Colibri_040729c.htm

<http://alfavit.r2.ru/cgi-bin/page.pl?pn=7&query=@209292@&stpos=0&sttype=AND>

წამების, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აპრეჰენსიის არსი და მნიშვნელობა

ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემა თავისი არსით, განვითარების დონით, გავრცელების მასშტაბით და საზოგადოებრივი მნიშვნელობით, კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე (რადიკალური ხასიათის გარდაქმნების პირობებში) ფართო დიაპაზონის მქონე და აქტუალური მნიშვნელობის დამოუკიდებელ სამართლებრივ პრობლემად იქცა. იგი უხსოვარი დროიდან მოდის და ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მუდმივი თანამგზავრი გახდა. ამავდროულად, მას ძალზე დიდი და მდიდარი ტენდენციები და განვითარების განუსაზღვრელი რეზერვი გააჩნია.

ადამიანის უფლებების დაცვა, ამდენად ადამიანთა ურთიერთ თანაცხოვრებისა და მოღვაწეობის ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მეტად დატვირთული საასპარეზო სივრცეა. მის შემდგომ სრულყოფასა და განვითარების საქმეში, დღეისათვის თანაბრად არის ჩართული და სინქრონულად მონაწილეობს მეცნიერების თითქმის ყველა დარგი (ფილოსოფია, ისტორია, მედიცინა და ა.შ.) განსაკუთრებით, დიდი დატვირთვა მოდის იურისპრუდენციაზე, რადგანაც ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი პირველყოვლისა, წმინდა სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებების დაცვის სფერო ბოლო დროს ადამიანთა მიერ სამართლის სწორად აღქმის სულიერი ფორმა გახდა და მათი საქმიანობის კანონმდებლობასთან შეფარდების განმსაზღვრელ ნორმად მოგვევლინა.

აღნიშნული საკითხის წარმოქმნა უხსოვარი დროიდან უკავშირდებოდა და დღესაც კავშირშია სინქრონულად მიმდინარე ყველა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენებთან და მათთან დაკავშირებულ როგორც ბუნებრივ (ცხოვრებისეულ), ისე ხელოვნური ხასიათის (მეტწილად სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფალთა მიერ) თვითნებურად წარმიქმნილ სამართლებრივ ნორმებთან და ადათ-წესებთან. ამ მოვლენათა სამართლებრივმა განსაზღვრამ, მიუხედავად ბევრი მათგანის დიდი ხანდაზმულობისა, ჩვენამდე მოაღწია და ამდენად საშუალება მოგვცა სათანადო შეფასება ამა თუ იმ ეპოქის ისტორიული მოვლენების დამახასიათებელი თავისებურებანი, ასევე იმდროინდელი სამართლებრივი შეფასების სისწორე, მოვლენათა ავკარგიანობა, შეფასების კრიტერიუმები (სამართლებრივი ნორმები), ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი, მხარეთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედების ხასიათი და დონე, მათი არსებულ კანონმდებლობასთან შეფარდება და ა.შ.

ის, რომ ისტორიული მოვლენები, ხალხთა ურთიერთობები და მათ მიერ შექმნილი ღირებულებები თანამედროვე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა, პირველყოვლისა, არნიშნულ სფეროში მოღვაწე მეცნიერთა დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოდ. მათი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად შესწავლა და განზოგადოება საშუალებას იძლევა სწორად განისაზღვროს კაცობრიობისათვის ესოდენ აუცილებელი ჰუმანური მიმართულებების ძირითადი გზები და საშუალებები, აღმოიფხვრას ამ სფეროში დარჩენილი ძველი უარყოფითი ხასიათის გადმონაშთები. პირველყოვლისა, საჭიროდ არის მიჩნეული იმ მიზეზებისა და პირობების დადგენა (შემდგომი აღმიფხვრის მიზნით), რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დარღვევას. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს დამოვიყენოთ ეს მონაცემები ადამიანის უფლებების დასაცავად დაგვემთხროს პრევენციული ხასიათის, როგორც თეორიულ ღონისძიებებში, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში. ახალი მეთოდებისა და ზომების დაწესება-განვითარება უნდა წარიმართოს არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და იგი უნდა აყვანილი იქნეს სახელმწიფოს მიერ მუდმივ და მკაცრ კონტროლზე.

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული ხასიათის რადიკალურმა გარდაქმნებმა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი პირველხარისხოვან, ერთ-ერთ მთავარ და აუცილებელ საკითხად წარმოაჩინა, რამაც თავისი გამოხატულება ქვეყნის ძირითად კანონში-კონსტიტუციაში ჰპოვა. მისი პრეამბულის პირველივე დებულება საქართველოს მოქალაქეთა უწყვეტ ნებად „დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილების“ დამკვიდრებასა „ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების“ უზრუნველყოფას აცხადებს. ეს პრინციპი სამართლებრივი სახელმწი-

ფოს მშენებლობის ქვაკუთხედია და მისი დაცვა უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

კონსტიტუციის მეორე თავი „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი“, ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხადაა წარმოჩენილი. სახელმწიფო – ხალხისათვის და არა პირიქით-ასეთი მოთხოვნაა სახელმწიფოს მიერ გაკეთებული კონსტიტუციის მეორე თავის ყველა მუხლში, რომლებიც ამავედროულად დიდი კატეგორიულობით გამოირჩევიან.

ამავე თავში მოცემულია, თითქმის ყველა ის უფლება-თავისუფლება, რომლებიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებითაა გათვალისწინებული. ესენია: ადამიანის თავისუფლება, მისი პატივისცემისა და ღირსების ხელშეუხებლობა; სიტყვის, აზრის, სინდისის, არმსრულებლობისა და რწმენის თავისუფლება; საკუთრების და მემკვიდრეობის, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება; პოლიტიკურ უფლებათა ფართო სპექტრი; შრომის თავისუფლება; განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლებები; უდანაშაულობის პრეზუმპცია; ადამიანის წამების დაუშვებლობა და ა.შ.

აღნიშნულ უფლებათა დასაცავად საქართველოს კონსტიტუცია მრავალ მექანიზმსა და პროცედურას ითვალისწინებს, რომლებშიც ფართოდაა ჩართული საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოები, სახალხო დამცველის აპარატი და ა.შ. ამავედროულად, აღნიშნული პრობლემის თითქმის ყველა სფეროში მიღწეულია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი თანაფარდობა. კერძოდ, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებისა და სტანდარტების უზრუნველყოფისათვის.

ჩვენი კვლევის საგანს ადამიანის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადანიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ მიმართული მოპყრობის შესწავლა-ანალიზი წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობა ადამიანის წამებისა და სხვა არაჰუმანური მოპყრობის წინააღმდეგ მთელ რიგ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს, თუმცა რიგ შემთხვევებში მათი აღსრულება, კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება.

იმისათვის, რომ სწორად ყოფილიყო განსაზღვრული აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად გაწეული მუშაობის შედეგები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები ჩვენ შევისწავლეთ აღნიშნულ თემატიკაზე არსებული, როგორც თეორიული ხასიათის მონაცემები (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, მეცნიერული შრომები და პუბლიკაციები), ასევე გავეცანით საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკას (როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო საგამომიებო და სასამართლოების პრაქტიკას), რის საფუძველზეც საშუალება მოგვცა (საგნობრივი და შედარებითი ანალიზების ჩატარების შედეგად) წარმოვადგინოთ, გარკვეული ხედვა აღნიშნულ პრობლემაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

წამება ადამიანის ცხოვრების ბოროტი თანამგზავია. იგი წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანის, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სოციალურ ფუნქციონირებაზე. წამების შედეგად განვითარებული ფიზიკურ და ფსიქიკურ აშლილობათა სიმპტომები შესაძლოა გალიკურნოს, მაგრამ ის სულიერი თუ მორალური ზიანი, რასაც პიროვნება წამების შედეგად განიცდის და ის მძიმე კვალი, რაც მის ოჯახზე და არა მარტო ოჯახზე თაობებზეც აისახება, მუდმივ ჩრდილად გასდევს მთელ მის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

აქედან გამომდინარე, წამების აკრძალვა ნებისმიერ სიტუაციაში აკრძალვას არ ექვემდებარება. თვით წამების ფაქტების არსებობა მსოფლიო საზოგადოების ღრმა შემფოთებას იწვევს, რადგანაც „წამებაში“ ჩადებული მიზნები, ხშირ შემთხვევაში გაცილებით შორს მიდის და იგი მიმართულია არა მარტო ცალკეული პირების წინაარმდეგ, არამედ მთლიანად საზოგადოების წინააღმდეგაც, რათა გატეხონ მათი ნებისყოფა.

ადამიანის წამებისა და სასტიკი არაადანიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის ქმედებები ფართოდ არის გავრცელებული, ბოლო დროს კი მან განვითარების საშიში-გლობალური სახე

მიიღო. ამ პროცესის განვითარებას ხელი შეუწყო წამებაზე ამკრძალავი სამართლებრივი დოკუმენტების არ არსებობამ, ამავდროულად ამავე მიზეზმა წარმოქმნა მთელი რიგი გაუგებრობა სამართლებრივ სივრცეში წამების ცალკეული ფაქტების არაადეკვატურად აღქმაში. დიდი ხნის მანძილზე ტერმინ „წამებას“ არ ჰქონდა სრული და ერთმნიშვნელოვანი სტატუსი.

აღნიშნული სამართლებრივი ხარვეზები მოხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლემ 1984 წლის 10 დეკემბრის 39/46 რეზოლუციის მიღებით, რომლითაც ტერმინ „წამებას“ შემდეგი განმარტება მიეცა:

„წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც საშინელი ტკივილი და ტანჯვა, არ აქვს მნიშვნელობა, ფიზიკური თუ სულიერი, განზრახ მიაღვა პირს იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისგან მოპოვებული ინფორმაცია ან აღიარება მისი დასჯისათვის იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან არსებობს ეჭვი, რომ ჩაიდინა, ან დააშინონ ან გამოიყენონ იძულება მის ან მესამე პირის მიმართ, ან სხვა რაიმე მიზნით, რომელიც ეფუძნება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას.“

გაეროს კონვენციის აღნიშნულმა განმარტებამ რადიკალურად შეცვალა სამართლებრივი მიდგომა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ღონისძიებებისადმი. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, კონვენციის მასალებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა მთელი ქვეყნის ძირითად კანონში კონსტიტუციებსა და სისხლის სამართლის კოდექსებში. ამ პერიოდიდან იწყება აქტიური ღონისძიებების გატარება ადამიანის წამების აღმოფხვრის მიზნით და რაც მთავარია ეს ღონისძიებები არა პერიოდულ, არამედ მუდმივ და გეგმიურ ხასიათს ატარებენ. წამების საწინააღმდეგო საერთაშორისო კონვენციას შეუერთდა მრავალი სახელმწიფო და იგი გაეროს 27(1) მუხლის თანახმად ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისიდან.

დღეისათვის, წამების აბსოლუტურ აკრძალვის პირობებში, თვალშისაცემია მისი შეუსაბამობა წამების ფაქტების საყოველთაო გავრცელებასთან, რაც თავის მხრივ ადასტურებს იმას, რომ ამ დანაშაულებრივ ქმედებებს მყარად აქვთ ფეხი გადგმული თითქმის ყველა სფეროში და რომ მის აღმოსაფხვრელად საჭიროა მოწინავე სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, ერთიანი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება და არსებული ნორმატიული აქტების გამოყენებით ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დასაცავად. ამ მიმართებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ წამების წინააღმდეგ არსებულ სამართლებრივი დოკუმენტების გამოყენებით შესძლო სპეციალური სახელმძღვანელოს შექმნა. „სტანბულის პროტოკოლი“, ამ სახელითაა ცნობილი აღნიშნული სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მისი ძირითადი პრინციპების მსოფლიო მასშტაბით ამოქმედებით ხელი შეუწეოს წამების საწინააღმდეგო ბრძოლის ერთიანი სივრცის ჩამოყალიბების და გაეროსა და ევროპის წამების საწინააღმდეგო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუქმნას ამ ფაქტებზე რეაგირების ეფექტური საშუალება. აღნიშნული სახელმძღვანელოს პრინციპებისა და მოთხოვნების შესწავლა საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო პროფესიულ საზოგადოებას დიდ დახმარებას გაუწევს წამებასთან დაკავშირებული ფაქტების გამოძიებასა და ზოგადად წამების საწინააღმდეგო პრევენციულ საქმიანობას.

სტამბულის პროტოკოლი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისიას წარედგინა 1999 წლის 9 აგვისტოს. სტამბულის პროტოკოლმა საფუძველი ჩაუყარა მისი ძირითადი პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. კერძოდ, გარკვეული სამართლებრივი შეფასება ეძლევა იმ პირთა მდგომარეობას, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ განიცადეს წამება და სასტიკი მოპყრობა; ასევე შეფასება ეძლევა წამების შესაძლო გამოყენებას ცალკეული საქმეების გამოძიებისას ან რომელიმე საგამოძიებო ორგანოსათვის ან სასამართლოში საქმეების წარდგენისას აღნიშნულ სახელმძღვანელოში შესულია წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და ეფექტური დოკუმენტირების პრინციპები, რომლებიც მინიმალური სტანდარტების მოკლე დახასიათებას შეიცავს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფოებმა წამების ეფექტურად დოკუმენ-

ტირების უზრუნველსაყოფად. ამასთან ეს ნორმები სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. ისინი უფრო ზემოაღნიშნულ პრინციპებზე დაფუძნებული სტანდარტებია და გამოყენებული უნდა იქნას არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

თავად სახელმძღვანელო და ეს პრინციპებიც სამწლიანი ანალიტიკური, კვლევითი და სარედაქციო მუშაობის შედეგს წარმოადგენს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამართლის, მედიცინისა და ადამიანის უფლებათა სფეროს 75-ზე მეტმა ექსპერტმა, რომლებიც 15 ქვეყნის 40-ორგანიზაციას წარმოადგენენ. კონცეფციის შემუშავება და წარმოდგენილი სახელმძღვანელოს მომზადება- გერმანიის, დანიის, ისრაელის, ინდოეთის, კოსტა-რიკის, ნიდერლანდების, ინგლისის, შეერთებული შტატების, თურქეთის, საფრანგეთის, ჩილის, შვეიცარიის, შრი-ლანკის, სამხრეთ-აფრიკისა და ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიების სასამართლო მედიკოსების, მომუშავე ექიმების, ფსიქოლოგების, სამართალდამცავების კოლექტიური ძალისხმევის ნაყოფია.

სახელმძღვანელოში პირველყოვლისა გამოკვეთილია შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობს.

– ადამიანის უფლებათა არ გახდეს წამების მსხვერპლი, განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლით. წამების აკრძალვას შეიცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემბლაღავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია. გარდა ამისა წამების მსხვერპლად არ გახდომის უფლება გათვალისწინებულია რიგ რეგიონალურ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებშიც. ასე მაგალითად, წამების პირდაპირ ამკრძალავი დებულებები შესულია ამერიკის კონვენციაში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებსა და მის ცალკეულ მოთხოვნებს:

– შეიარაღებულ კომფლიქტებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან ერთად დაწესდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, ანუ ომის კანონები და ჩვეულებები. ამ ხელშეკრულებების თანახმად საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში წამების გამოყენების აკრძალვა ომის ყველა მსხვერპლის უფრო ფართო დაცვის არც თუ ისეთ დიდ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

1949 წლის ომის შესაბამისი კონვენციის რატიფიცირება 188 სახელმწიფომ მოახდინა. ამ კონვენციებში განმტკიცებულია საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსვლელობაში ქმედებებთან დაკავშირებული ნორმები, განსაკუთრებით იმ პირებთან მოპყრობის, რომლებიც ან საერთოდ არ მონაწილეობდნენ, ან აღარ მონაწილეობენ საომარ ქმედებებში, მათ შორის დაჭრილ, ტყვედ ჩავარდნილ და სამოქალაქო პირებთან მოპყრობის ნორმების დარღვევებში. ოთხივე კონვენცია კრძალავს წამების და სასტიკი მოპყრობის სხვადასხვა სახეების გამოყენებას.

1957 წელს მიღებული ომის შესაბამისი კონვენციის ორი დამატებითი პროტოკოლი აფართოებს ამ კონვენციების თანახმად დაწესებულ დაცვას, აგრეთვე მისი გამოყენების სფეროს. პროტოკოლი I-ლი (დრეისათვის 153 სახელმწიფოს მიერაა რატიფიცირებული) საერთაშორისო კომფლიქტებს ეხება. პროტოკოლი II (145 სახელმწიფოს მიერაა რატიფიცირებული), ეხება კომფლიქტებს, რომლებიც არ მიეკუთვნება საერთაშორისოს.

– სახელმძღვანელოსათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს დებულებას, რომელიც ზოგადი მუხლი 3-ით არის ცნობილი, იგი ოთხივე კონვენციაში არის შესული. ზოგადი მუხლი 3 გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტების მიმართებაში, რომლებიც „არ ატარებენ საერთაშორისო ხასიათს“, ამასთან ეს განსაზღვრება არ არის გაშლილი. ითვლება, რომ მასში განსაზღვრულია ძირითადი ვალდებულებები, რომლებიც დაცული უნდა იქნენ ყველა კონფლიქტში და არა მხოლოდ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საომარი ქმედებების მსვლელობის დროს. ჩვეულებრივ ეს იმას

ნიშნავს, რომ ომის ან კომფლიქტის ხასიეთის მიუხედავად, არ შეიძლება არ იქნეს დაცული გარკვეული ფუძემდებელი ნორმები. ერთ-ერთი ასეთი ნორმაა წამების გამოყენების აკრძალვა, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ასევე ადამიანის უფლებების მიმართ ნორმების ზოგად ელემენტს წარმოადგენს.

– ზოგადი მუხლი 3-ი გვაუწყებს: „აკრძალულია და ყოველთვის და ყველგან იქნება აკრძალული შემდეგი ქმედებები: სიცოცხლისა და ფიზიკური ხელუხლებლობის ხელყოფა. კერძოდ, მკვლელობის სხვადასხვა სახეები, დასახინჩრება, სასტიკი მოპყრობა, წამება და წვალება... ადამიანური ღირსების ხელყოფა. კერძოდ, შეურაწმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა...“.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, წამების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გაეროს სპეციალური მომხსენებელი, ნაიჯელ როდლი, მიუთითებს:

„წამებისა და სასტიკი მოპყრობის გამოყენებაზე აკრძალვის ფორმულირება საეჭვოა შეიძლებოდეს უფრო ერთმნიშვნელოვნად, ამ ტექსტთან დაკავშირებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (LCRC) ოფიციალური კომენტარების სიტყვებით, რომ ვთქვათ, დატოვებული არ არის არც ერთი შესაძლო თავდასაძვრენი; ასეთი ქმედებისათვის არ შეიძლება მოინახოს არანაირი გამართლება, არანაირი შემარბილებელი გარემოება“.

– საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებების შესახებ დებულებას შორის არსებობს ურთიერთდამაკავშირებელი რგოლი, რომელიც შეიძლება აღმოვაჩინოთ არასაერთაშორისო შეიარაღებული კომფლიქტების (ისეთების როგორცაა სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ოქმები) მარეგულირებელი პროტოკოლის II პრეამბულაში, სადაც ნათქვამია რომ „... ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები უზრუნველყოფენ ადამიანის პიროვნების ძირითად დაცვას“.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრობლემატიკით მრავალი წლების მანძილზე დაკავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. იგი დაკავებულია წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებულ კონვენციებში, დეკლარაციებში და რეზოლუციებში არ ყოფილიყო დაშვებული წამების აკრძალვის მიმართ არავითარი გამონაკლისი. გაეროს დოკუმენტთა შორის (ამ მიმართებით) ყველაზე მნიშვნელოვანია: ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (დეკლარაცია წამებისაგან დაცვის შესახებ), მართლწესრიგის დაცვაზე, პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, სამედიცინო ეთიკის პრინციპები, რომელიც ჯანდაცვის მუშაკებს, განსაკუთრებით ექიმებს ეხება, წამებისა და სასტიკი მოპყრობისაგან და დასჯისაგან პატიმრების ან დაკავებული პირების დაცვისას გამოიყენება კონვენცია წამების შესახებ, ამავდროულად ნებისმიერი ფორმით დაკავებული ყველა პირის დაცვის პრინციპების კრებული (პრინციპების კრებული დაკავების შესახებ) და პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები.

1. В случаях, предусмотренных в статьях 27(2) и 28(2) настоящего Закона, Ответственный орган может принять решение о временной передаче преследуемого лица, если после проведения консультаций с Судом, будет определено,
 - а) на какой срок лицо будет передано Международному суду;
 - б) что это лицо будет содержаться под стражей на протяжении всего процесса;
 - в) что лицо будет возвращено по окончании процесса по просьбе Ответственного органа.

Статья 30. Принцип специализации

Международный суд может преследовать, наказывать или содержать под стражей лицо, которое ему передается, принимая во внимание совокупность деяний, которые входят в его юрисдикцию.

ГЛАВА VI

ДРУГИЕ ФОРМЫ СОТРУДНИЧЕСТВА

Статья 31. Основной принцип сотрудничества

1. Грузия сотрудничает с Международным судом на основании статьи 32 настоящего Закона, если из просьбы Суда и подкрепляющих ее материалов следует, что соответствующее деяние подпадает под юрисдикцию Суда.
2. Если Международный суд рассматривает протест в отношении своей юрисдикции в соответствии со статьями 17-19 Статута, Ответственный орган может отложить выполнение просьбы до принятия Международным судом решения. В этом случае по решению Ответственного органа могут приниматься меры подготовительного характера.

Статья 32. Формы сотрудничества

К формам сотрудничества по смыслу настоящей статьи может относиться любой предусмотренный Статутом и грузинским законодательством процессуальный акт, который облегчает расследование и уголовное преследование лиц, совершивших правонарушения, относящиеся к

юрисдикции Международного суда, а также наложение ареста на доходы, полученные в результате совершения правонарушения. К таким формам сотрудничества относятся:

- a) Установление личности лиц и их местонахождения;
- b) Сбор доказательств, включая показания под присягой, и предоставление доказательств, необходимых Суду, включая мнения экспертов и заключения;
- c) Допрос любых лиц, находящихся под следствием или подвергающихся судебному преследованию;
- d) Предоставление документов, включая судебные решения;
- e) Временная передача арестованных лиц;
- f) Проведение осмотров мест или объектов;
- g) Проведение обысков, выемок и конфискации;
- h) Предоставление протоколов и документов, включая официальные протоколы и документы;
- i) Защита потерпевших и свидетелей и сохранение доказательств;
- j) Выявление и арест выреченных средств, имущества и предметов, связанных с преступлениями, с целью их возможной конфискации;
- k) Содействие добровольной явке в Суд лиц, свидетелей и экспертов;
- l) Проведение эксгумации, осмотра мест и объектов, включая вскрытие и осмотр захоронений;
- m) Любые другие виды помощи, не запрещенные законодательством Грузии, которые облегчают расследование и уголовное преследование лиц, совершивших правонарушения, относящиеся к юрисдикции Международного суда.

Статья 33. Временные меры

1. В ответ на просьбу Международного суда Ответственный орган может дать распоряжение о принятии временных мер с целью защиты подвергающихся опасности юридических интересов и сохранения доказательств.
2. Если промедление недопустимо, при наличии соответствующих оснований Ответственный орган может принять решение об использовании временных мер, как только он получит просьбу. Он отменяет эти меры, если Международный суд не направляет в его адрес соответствующую просьбу в предусмотренные Ответственным органом сроки.

Статья 34. Соблюдение правил процедуры

Обычно просьбы, исходящие от Международного суда, исполняются в соответствии с правилами процедуры, предусмотренными грузинским законодательством. Тем не менее, если Международный суд просит об этом, могут соблюдаться правила процедуры, предусмотренные Международным судом.

Статья 35. Передача доказательств другому государству

1. Международный суд может обратиться к Ответственному органу с просьбой разрешить ему передать другому государству доказательства, представленные Грузией.
2. Ответственный орган удовлетворит эту просьбу на основании положений настоящей главы, если речь идет о правонарушении, в отношении которого Международный суд обладает юрисдикцией. В противном случае вопрос будет решаться в соответствии с положениями международных договоров Грузии, касающихся сотрудничества по правовым вопросам, и Уголовно-процессуального кодекса Грузии.

Статья 36. Проведение допроса

1. Во время допроса лицо, подозреваемое в совершении преступления, подпадающего под юрисдикцию Международного суда, имеет право:
 - a) быть информированным о том, что его подозревают в совершении преступления, подпадающего под юрисдикцию Международного суда;
 - b) отказаться от дачи показаний;
 - c) получить помощь своего защитника, а при его отсутствии прибегнуть к услугам защитника, назначенного Ответственным органом;
 - d) подвергаться допросу в присутствии своего защитника, если только это лицо добровольно не отказалось от своего права на защиту.
2. Если допрос лица ведется на языке, который оно не понимает или которым оно свободно не владеет, в его распоряжение предоставляется переводчик. Оно имеет также право на получение письменных переводов необходимых материалов.
3. Допрашиваемое лицо имеет право отказаться от дачи показаний против своих близких друзей и родственников, как это предусмотрено в Уголовно-процессуальном кодексе Грузии и Правилах процедуры и доказывания Международного суда, или от дачи показаний с целью неразглашения сведений, касающихся национальной безопасности, в соответствии со статьей 72 Статута. Если допрашиваемое лицо решает воспользоваться этим правом, Ответственный орган принимает решение о приемлемости допроса.
4. Права, предусмотренные в настоящей статье, следует разъяснить преследуемому лицу до того, как его начнут допрашивать.

Статья 37. Передача документов

Международный суд может направлять получателю в Грузии по дипломатическим каналам или по почте свои постановления и другие процессуальные акты, составленные в ходе разбирательства.

Статья 38. Вызов в суд

1. Вызов в Суд в качестве свидетеля или эксперта сопровождается вручением ему текста положения Правил процедуры и доказывания, касающегося самооговора. Этот текст должен быть составлен на языке, понятном для вызываемого в суд лица. Свидетелю и эксперту, вызываемым в Международный суд, будут даны этим судом гарантии в отношении того, что они не будут преследоваться, арестовываться или иным способом лишаться свободы за действия, которые были совершены то того, как его вызвали в Суд.
2. Вызываемое в суд лицо не обязано являться в Международный суд, если он не оплачивает его транспортные расходы.
3. Наряду с рассматриваемой в настоящей статье просьбой Международный суд должен представить Ответственному органу соответствующие документы, гарантирующие, что расходы, связанные со свободным передвижением свидетеля, будут оплачиваться Международным судом.

Статья 39. Проведение следственных действий на территории Грузии

1. По просьбе Международного суда Ответственный орган вправе разрешить представителю Международного суда проведение следственных действий на территории Грузии на основании части 4 статьи 99 Статута.
2. Ответственный орган известит орган государственной власти, в компетенции которого находится осуществление судебного преследования, о том, что представителям Международного суда разрешается проведение следственных действий на территории Грузии.

Статья 40. Временная передача арестованных лиц

1. Лицо, содержащееся под стражей в Грузии, может быть временно передано Международному суду для опознания, проведения допроса, перекрестного допроса или других следственных действий в соответствии со статьей 93 Статута.
2. Это лицо может быть временно передано Международному суду, если он оплачивает расходы, связанные с перевозкой и содержанием лица под стражей, при условии, что оно будет возвращено по окончании действий, с целью проведения которых была организована передача.

Статья 41. Передача доказательств

1. Изъятые в целях следствия вещи, материальные ценности, документы и (или) другие предметы, которые в соответствии со Статутом и Уголовно-процессуальным кодексом Грузии могут использоваться как доказательства, передаются Международному суду по его просьбе.
2. Если третье лицо, организация или потерпевший, находящиеся в Грузии, заявляет о своих правах на конфискованные предметы или другие доказательства, эти предметы могут быть переданы Международному суду, если тот обязуется вернуть их бесплатно по окончании процесса.
3. Передача этих предметов и ценностей может быть отсрочена, если это необходимо в целях ведущегося в Грузии разбирательства и если после консультаций Международный суд даст на это свое согласие.

Статья 42. Конфискация предметов или ценностей

1. По просьбе Международного суда предметы или ценности, на которые наложен арест для обеспечения сохранности доказательств, могут предоставляться в его распоряжение в целях конфискации, передачи в Целевой фонд в интересах потерпевших, учрежденный на основании статьи 79 Статута, или выплаты компенсации.
2. К предметам или ценностям, упоминаемым в настоящей статье, относятся:
 - a) Орудия преступления; объекты преступного поведения.
 - b) Средства, вырученные в результате преступного поведения (денежные средства или ценности), прибыль.
 - g) Пожертвования или денежные средства, которые использовались для совершения преступления и/или были сделаны или выплачены лицу, совершившему преступление.
3. Арест не снимается с предметов и ценностей до тех пор, пока они не будут переданы Международному суду или пока Ответственный орган не известит Международный суд о том, что отказывается их передать ему.
4. Предметы и ценности не будут передаваться в распоряжение Международного суда, если:
 - a) потерпевшее лицо проживает в Грузии, и предметы и ценности должны быть ему возвращены;
 - b) о правах на предметы и ценности заявляет третья сторона;
 - g) лицо, не имеющее отношения к преступлению, приводит доказательства того, что оно законным путем приобрело права на эти предметы, ценности или имущество в Грузии или за границей и что оно проживает в Грузии;
 - d) они необходимы в рамках ведущегося в Грузии уголовного процесса или подлежат конфискации на грузинской территории.
5. Если какое-либо лицо заявляет о своих правах на предметы, ценности или имущество по смыслу пункта 4 настоящей статьи, передача Международному суду этих предметов и ценностей приостанавливается до тех пор, пока не будет установлен их правовой статус.

ГЛАВА VII

ОБЖАЛОВАНИЕ

Статья 43. Обжалование в Суде

1. По окончании рассмотрения просьбы решение Ответственного органа может быть обжаловано в Палате по уголовным делам Верховного суда Грузии лицом, которого непосредственно и лично затронули принятые меры или у которого имеются законные основания добиваться изменения или отмены этого решения.
2. Если лицо, имеющее право на подачу апелляции, воспользуется этим правом в рамках дела, которое в соответствии со Статутом может рассматриваться только Международным судом, Ответственный орган направляет апелляцию Международному суду, если он еще не вынес решения.
4. Апелляция, касающаяся завершения рассмотрения просьбы, может быть подана не позднее, чем через 10 дней после завершения ее рассмотрения.
5. Палата по уголовным делам Верховного суда Грузии выносит решение по вопросу апелляции не позднее, чем через 15 дней после ее подачи.

Статья 44. Приостановление исполнения просьбы Международного суда

1. Обжалование решения об исполнении просьбы может приостановить ее исполнение.
2. В случае представления срочной просьбы, предусмотренном Статутом, Ответственный орган может обратиться в Верховный суд Грузии с просьбой отменить приостанавливающее действие.
3. Если апелляция, касающаяся обжалования исполнения, не поддерживается, исполнение решения будет возобновлено.

ГЛАВА VIII

ИСПОЛНЕНИЕ РЕШЕНИЯ МЕЖДУНАРОДНОГО СУДА

Статья 45. Условия исполнения решений Международного суда

1. По просьбе Международного суда вступившее в силу решение может быть исполнено в Грузии, если осужденное лицо является гражданином Грузии и (или) постоянно проживает и (или) его имущество находится на территории Грузии.
2. Постановление Международного суда о наложении штрафных санкций может быть также исполнено в Грузии, если преследуемое лицо постоянно проживает за границей, но владеет имуществом на территории Грузии.
3. Решения Международного суда исполняются в соответствии с процедурами, предусмотренными законом Грузии о тюремном заключении, законом Грузии о порядке исполнения наказаний или законом Грузии об исполнении приговоров, не влекущих за собой тюремного заключения, и доказательствах.

Статья 46. Исполнение приговора, предусматривающего наказание в виде лишения свободы

1. Вынесенный Международным судом приговор, предусматривающий исполнение наказания в виде лишения свободы, может быть исполнен на территории Грузии после того, как Ответственный орган согласится удовлетворить соответствующую просьбу.
2. После проведения консультаций с компетентным органом государственной власти, ответственным за исполнение наказаний в виде лишения свободы, Ответственный орган принимает

решение об исполнении на территории Грузии вынесенного Международным судом приговора, предусматривающего исполнение наказания в виде лишения свободы. Ответственный орган извещает об этом Международный суд.

3. По просьбе Суда Ответственный орган предоставляет ему любую информацию, касающуюся исполнения приговоров. В любое время Международный суд может направить в Грузию своего представителя для проверки условий содержания под стражей осужденных и проведения с ними бесед. Общение осужденного с Международным судом происходит на конфиденциальной основе.
4. Если осужденный подает ходатайство об условно-досрочном освобождении, просьбу о помиловании или возобновлении разбирательства в связи с вновь открывшимися обстоятельствами, компетентный орган незамедлительно направляет Международному суду такое ходатайство или просьбу вместе с другими необходимыми документами. Лишь Международный суд имеет право сократить срок лишения свободы или каким-либо способом смягчить приговор.
5. Другие вопросы, касающиеся исполнения приговора, решаются в соответствии с действующим грузинским законодательством.

Статья 48. Исполнение постановлений о конфискации предметов или материальных ценностей

Во исполнение постановления Международного суда о конфискации предметов или материальных ценностей, применяются правила, предусмотренные настоящим законом и Уголовно-процессуальным кодексом Грузии, если Международный суд выносит решение о конфискации предметов и материальных ценностей и обращается к Грузии с просьбой принять меры для исполнения вышеупомянутого решения.

Статья 49. Расходы, связанные с исполнением

Транспортные расходы, а также расходы, упомянутые в статье 103(4) Статута, оплачиваются Международным судом. Грузия оплачивает другие расходы, связанные с исполнением приговора на ее территории.

ГЛАВА IX

ЗАКЛЮЧИТЕЛЬНЫЕ ПОЛОЖЕНИЯ

Статья 50. Меры, обеспечивающие вступление настоящего Закона в силу

1. В течение 30 дней после вступления в силу настоящего Закона Министерство юстиции Грузии сделает все необходимое для принятия всех правовых и административных мер, необходимых для обеспечения сотрудничества с Международным судом.
2. Министерство финансов Грузии предусмотрит в государственном бюджете на 2004 г. финансовые средства, необходимые для выполнения Министерством юстиции обязательств, налагаемых на него настоящим Законом, и обеспечения сотрудничества Грузии и Международного суда.

Статья 50. Вступление настоящего Закона в силу

1. Настоящий закон, за исключением статьи 49, вступит в силу одновременно с вступлением в силу Статута для Грузии.
2. Статья 49 вступает в силу в день опубликования настоящего Закона.

Президент Грузии Эдуард Шеварнадзе

ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის საკითხები 1991-2001 წელს მიღებულ მრავალმხრივ სამართაშორისო ხელშეკრულებებში

ოცდაათ წელზე მეტი გავიდა 1972 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სტოქჰოლმის კონფერენციის (გარემო და ადამიანი) შემდეგ. სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენლები შეიკრიბნენ ამ შეხვედრაზე, რათა საფუძველი დაედოთ გლობალური გარემოსდაცვითი მოძრაობისათვის, რაც მიზნად ზოგადი გარემოსდაცვითი პრინციპების ჩამოყალიბებას და მათ საერთაშორისო, სუბრეგიონალურ, რეგიონალურ და ეროვნულ სამართლებრივ დონეზე განხორციელებას ისახავდა. აღნიშნულმა მიზნებმა გაამართლა, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში მაინც რჩება იმგვარი გარემოსდაცვითი პრობლემები, რომლებიც მეტ ძალისხმევას და სათანადო რეგულირებას საჭიროებენ. 1992 წლის რიოს კონფერენციის (გარემოს და განვითარება) შემდეგ გამოიკვეთა გარემოს დაცვის ერთიანი სისტემის ისეთი მიმართულებები, რომლებიც მეტ ყურადღებას მოითხოვენ მდგრადი განვითარებისა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების თანაფარდობის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებების და გარემოს დაცვის საკითხების აქტუალიზაცია მე-20 საუკუნეში მოხდა და ფაქტიურად კაცობრიობის შეხედულებებიც ამ ორი დარგის მიმართ თანადროულად ჩამოყალიბდა. მიუხედავად ათობით საერთაშორისო თუ ეროვნული ლეგალური ისტრუმენტისა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, მაინც რჩება ისეთი საკითხები, რომლებიც უშუალოდ არ არის მოწესრიგებული და კანონის ანალოგიით რეგულირდება. ადამიანის უფლებების საკანონმდებლო დონეზე დაცვა ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს უპირველეს მიზანს წარმოადგენს, ამასთანავე ისეთი პრინციპი, როგორცაა სიცოცხლისა და განვითარების უფლება არ შეიძლება განხილულ იქნას ჯანსაღი გარემოს ქონის უფლების გარეშე. ზოგადად არსებული, თუმცა საერთაშორისო მასშტაბით თითქმის დაუწერელი უფლება ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის შესახებ, სასურველია მკაფიოდ იქნას გამიჯნული და განსაზღვრული თუნდაც ახალი ლეგალური დოკუმენტის სახით. კაცობრიობა მიისწრაფის, რომ შეინარჩუნოს გარემო ჯანსაღი სახით ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების

International Environmental Law and Policy – Davis Hunter, James Salzman, Durwood Zaelke 1999 New-York, Foundation Press

გათვალისწინებით, რაც გარკვეულწილად საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას და სახელმწიფოთა ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს. რიოს დეკლარაცია ადგენს – "ადამიანები მდგრადი განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენენ და მინიჭებული აქვთ გარემოსთან ჰარმონიზირებული ჯანსაღი და პროდუქტიული ცხოვრების უფლება". აღნიშნულ დებულებას პირდაპირი კავშირი აქვს 1948 წლის 10 დეკემბრის "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" 28-ე მუხლთან – "ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურსა და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება".

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების განვითარების საკითხმა ბოლო წლებში მეტი აქტუალურობა შეიძინა და წინ წამოსწია მისი საერთაშორისო საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების საკითხი. 1998 წელს ქალაქ ორჰუსში მიღებულ იქნა კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ. კონვენცია 60-ზე მეტმა სახელმწიფომ აღიარა და ეროვნული კანონმდებლობის დონეზე განსაზღვრა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამართლებრივი მნიშვნელობა. რეგიონალურ დონეზე ადამიანის ეკოლოგიური უფლებები გამოიხატა ორმა დოკუმენტმა – "ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია" და ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციის "ეკონომიკური, კულტურული და სოციალურ სფეროში სან სალვადორის ოქმი".

როგორც ზემოთ აღინიშნა არსებობს ტენდენცია, რომ გლობალური ეკოლოგიური უფლებები გაიმიჯნოს ცალკე უნივერსალური ლეგალური ინსტრუმენტის სახით, რომლის შემუშავებისა და რატიფიკაციის შემდეგ სახელმწიფოები ვალდებული იქნებიან მისი აღსრულებისა და დაცვის მიზნით, რაც თავისთავად ეკოლოგიური უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობით დაცვას ნიშნავს. სავარაუდოდ, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებიან რეალურად უზრუნველყოფილი მომავალი თაობები ჯანსაღი და შესაფერისი გარემოთი.

ზემოაღნიშნული მიმართულებით საქმიანობის განხორციელების პირველ ეტაპზე აუცილებელია გაიმიჯნოს ის კატეგორიები, რომლებიც საერთაშორისო ლეგალური დოკუმენტის შემუშავების

შემთხვევაში დაცვის ავტომატურ რეჟიმში მოექცევიან. რა იგულისხმება ეკოლოგიურ უფლებებში? თეორიულად შესაძლებელია მათი დაყოფა სამი ჯგუფის მიხედვით:

- გარემოს დაცვის უფლება;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება;
- სუფთა და უსაფრთხო გარემოთი სარგებლობის უფლება.

ამდენად, გარემოსდაცვითი უფლებების გლობალური კანონმდებლობის დონეზე რეალური გამიჯვნის მიზნით, სასურველია თავდაპირველად იდენტიფიცირებულ იქნას ის საერთაშორისო, რეგიონალური თუ ეროვნული ლეგალური ინსტრუმენტები, რომლებიც დღესდღეობით ასრულებენ ეკოლოგიური უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს.

1972 წლის *სტოკჰოლმის დეკლარაცია* იყო პირველი საერთაშორისო ლეგალური ინსტრუმენტი, რომელმაც საფუძველი დაუდო ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი საკითხების ურთიერთკავშირს. დეკლარაციის პირველი პრინციპი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს ფუნდამენტალური უფლება იყოს თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, იცხოვროს შესაფერის, უსაფრთხო გარემოში. ამასთანავე, დეკლარაცია განსაზღვრავს ადამიანის ვალდებულებას გაუფრთხილდეს და გააუმჯობესოს გარემო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. დაახლოებით ოციოდ წლის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა ერთგვარად გამოეხმაურა სტოკჰოლმის დეკლარაციის დებულებებს და დაადგინა (რეზოლუცია №49/94), რომ ადამიანი უფლებამოსილია იცხოვროს მისი ჯანმრთელობისათვის და კეთილდღეობისათვის უვნებელ გარემოში. ზოგადად, კი რეზოლუციის მიზანს უკეთესი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა წარმოადგენს. ზემოაღნიშნული დოკუმენტებისაგან განსხვავებით, 1992 წლის რიო დე ჟანეიროს კონფერენციამ – "გარემო და განვითარება" უკვე პროცედურულად განსაზღვრა კავშირი ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის. აი რას ადგენს დეკლარაციის მე-10 პრინციპი:

Human Rights Approaches to Environmental Protection by Alan Boyle (Editor), Michael Anderson (Editor) (Paperback – May 1, 1998) — "გარემოსდაცვითი საკითხების მართვა უმჯობესია განხორციელდეს ყველა დონეზე და ყველა მოქალაქის საერთო ძალისხმევით. ეროვნულ დონეზე, ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოების ხელში მყოფი ნებისმიერი ინფორმაციით, თუნდაც მავნე ნივთიერებებისა და საქმიანობების შესახებ. მოქალაქეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფონი ვალდებული არიან უზრუნველყონ ინფორმაციის საჯაროობა და ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. სახელმწიფო აგრეთვე ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთათვის სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებაზე ხელმისაწვდომობა, ისევე როგორც მათთვის ზიანის ანაზღაურება და შესაფერისი დახმარება".

ამგვარად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის და შესაფერისი გარემოთი სარგებლობის უფლებებმა ჩამოაყალიბეს რიოს დეკლარაციის მიზნების ძირითადი ღერძი. ზემოაღნიშნული მე-10 პრინციპის გარდა დეკლარაცია აყალიბებს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ სზოგადოების ისეთი ნაწილის ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორებიც არიან – ქალები (პრინციპი 20), ახალგაზრდობა (პრინ-

ციბი 21), მკვიდრი მოსახლეობა და ადგილობრივი თემები (პრინციპი 22). სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ასევე ხაზგასმულია რიოს კონფერენზიაზე მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების – "21-ე დღის წესრიგში". 23 თავის პრეამბულა ადგენს:

– "მდგრადი განვითარების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა საზოგადოების ფართო წრეების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთანავე, უშუალოდ მდგრად განვითარებასა და გარემოსდაცვას შორის ურთიერთკავშირმა დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს ინდივიდების, ინდივიდთა ჯგუფების და ორგანიზაციების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, კერძოდ მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ექსპლუატაციისას. აღნიშნული პირები შესაბამისი ადმინისტრაციული ორანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ მათთვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას და ზოგადად გარემოსდაცვით ღონისძიებებს."

21 დღის წესრიგის 23 თავი ადგენს, რომ ინდივიდები, ინდივიდთა ჯგუფები და ორგანიზაციები შესაბამისი ოფიციალური ორგანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ გარემოსა და განვითარების, გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ არსებული ინფორმაციით და მონაცემებით წარმოებული საქმიანობების და საქმიანობების შედეგების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიონ გარემოზე. 21 დღის წესრიგი ავალდებულებს სამთავრობო დაწესებულებებს საკანონმდებლო დონეზე დაადგინონ სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები, რომლებიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უზრუნველყოფენ შესაბამისი დაცვითი მექანიზმებით მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. 23 თავის მესამე ნაწილი განსაზღვრავს საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომლებიც ჩართულნი უნდა იქნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: ქალები, ახალგაზრდები, მკვიდრი მოსახლეობა, ადგილობრივი თემები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ოფიციალური ორგანოები, სოციალური მუშაკები, ბიზნესმენები, მეწარმეები, მეცნიერები და ფერმერები. აღნიშნული პირების მონაწილეობა გულისხმობს მათ ჩართვას საზოგადოებრივ განხილვებში, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. სამთავრობო დაწესებულებები ვალდებულებას კისრულობენ დაარსონ ინფორმაციის გაცვლის და საზოგადოებაში მისი გავრცელების გარკვეული პროცედურული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობას და გამჭვირვალებას. ამდენად, ამ დოკუმენტმა ფაქტიურად საფუძველი დაუდო გარემოზე ზემოქმედების შეფასების მექანიზმის ამოქმედებას საზოგადოების მონაწილეობის გათვალისწინებით, როგორც გარემოს დაცვის განუყოფელ ელემენტს.

რიოს კონფერენციის წინა ათწლეულში მიღებული თითქმის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, ფაქტიურად პირდაპირ თუ ირიბად ითვალისწინებს იმ მიზნებს, რაც შემდგომ რიოს დეკლარაციის 10 პრინციპმა დააფიქსირა. მიდგომა კონკრეტული საკითხებისადმი აღნიშნულ ლეგალურ ინსტრუმენტებში არაერთქვაროვანა მაგრამ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვის მიზნით ყოველი მათგანი შესაბამისი

The Global Environment: Institutions, Law, and Policy (Global Environment)
by Norman J. Vig (Editor), Regina S. Axelrod (Editor)

უწყებებისათვის ადგენენ ინფორმაციის მაქსიმალური საჯაროობის და განხილვებში ფართო საზოგადოების ფენების ჩართვის ვალდებულებას. ერთის მხრივ, ზოგიერთი ხელშეკრულება შეიცავს არსებით უფლებებს, რომლებიც ადამიანის ჯანსაღი გარემოთი უზრუნველყოფას შეეხება. მეორეს მხრივ, ხელშეკრულებების მეორე ნაწილი დარღვეული უფლებებისათვის კომპენსირების ვალდებულებას ადგენენ (1993 წლის "გარემოსათვის საშიში საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ" – ლუგანოს კონვენცია). ზოგადად კი უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წლის შემდეგ დადებული თითქმის ყველა გლობალური და რეგიონალური ხელშეკრულება ითვალისწინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალების პრინცი-

პებს. თუმცა არსებობს გამონაკლისი იმ ხელშეკრულებების სახით, რომლებიც წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობებს არეგულირებენ. ამგვარი ხელშეკრულებები ძირითადად წყლის რესურსების სახელმწიფოთაშორის მართვაზე და გამოყენებაზეა ორიენტირებული და ნაკლებად ეყრდნობა ზემოაღნიშნულ პრინციპებს. ამგვარი ხელშეკრულებებია – მდინარე მკონის მდგრადი განვითარების სფეროში თანამშრომლობის შეთანხმება (ჩიანგ რაი, 5 აპრილი 1995); გაეროს კონვენცია საერთაშორისო წყლების არასანავიგაციო მიზნით გამოყენების შესახებ (ნიუ-იორკი, 21 მაისი, 1997) და სხვა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი რეგიონალური ხელშეკრულებები, როგორცაა საერთაშორისო ტბებისა და ტრანსსასაზღვრო მდინარეების გამოყენებისა და დაცვის კონვენცია (პელსინკი, 17 მარტი, 1992) და მდინარე დანუბის დაცვისა და მდგრადი გამოყენების სფეროში თანამშრომლობის კონვენცია (სოფია, 29 ივნისი, 1994).

წინა ათწლეულის განმავლობაში დადებული ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, რისცხოვნობის მიხედვით ბევრად ჩამორჩებიან იმავე დროის მონაკვეთში მიღებულ გარემოსდაცვით ხელშეკრულებებს. ზოგადად საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში თითქმის არ შეიცავენ გარემოსდაცვითი უფლებების მარეგულირებელ კონკრეტულ დებულებებს თუმცა, ისინი მაინც უკეთებენ იდენტიფიცირებას აღნიშნულ საკითხებს. გარდა ქვემოჩამოთვლილი საერთაშორისო გლობალური ხელშეკრულებებისა არსებობს ოციოდე რეგიონალური გარემოსდაცვითი ხელშეკრულება და საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, რომლებიც შეიცავენ მინიშნებებს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვაზე:

• **გლობალური გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები**

1. ანტარქტიდის ფლორისა და ფაუნის დაცვისა და კონსერვაციის ოქმი (მადრიდი, 1991);
2. კლიმატის ცვლილების ჩარჩო ხელშეკრულება (1992);
3. ნავთობის დაღვრით მიყენებული ზიანის კომპენსაციის საერთაშორისო კონვენციის ოქმი და 1993 წლის გარემოსათვის საშიში საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ – ლუგანოს კონვენცია;
4. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია (1992);
5. საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით ვაჭრობისას წინასწარდასაბუთებული თანხმობის პროცედურის გამოყენების კონვენცია (როტერდამი, 1998);
6. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კარტახენას ოქმი (მონრეალი, 2000);
7. მდგრადი ორგანული დამბინურებლების კონვენცია (2001, სტოქჰოლმი);
8. სანაოსნო გზების არასანაოსნო მიზნებით გამოყენების შესახებ კონვენცია (ნიუ-იორკი, 1997);
9. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს კონვენცია – რადიაქტიული ნარჩენების და დაღვრილი საწვავის მართვის უსაფრთხოების შესახებ (ვენა, 1997);
10. გაუდაბნობასთან ბრძოლის (განსაკუთრებით გვალვიან, მაგაფრიკის ქვეყნებში) საერთაშორისო კონვენცია (პარიზი, 1994).

ამგვარად, ნათელია რომ კაცობრიობა ქვეცნობიერად ყოველთვის ისწრაფოდა და კვლავ რეალურად მიისწრაფის ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, რისი ლოგიკური დასასრულსაც მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში ცალკე საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავება წარმოადგენს. დღესდღეობით კავშირი ეკოლოგიასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის ძალზე აქტუალურია საერთაშორისო სამართალში,

Stockholm Declaration of the United Nations Conference on the Human Environment, 16 June 1972, U.N. Doc. A/CONF.48/14/Rev.1 at 3 (1973).

Environment and human rights Doc. 9791 16 April 2003 Report, Committee on the Environment, Agriculture and Local and Regional Affairs. Rapporteur: Mrs Cristina Agudo, Spain, SOC

როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით და ამდენად, ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო ლეგალური ინსტრუმენტების იდენტიფიცირება, ჩვენის აზრით ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის საკითხების ჰარმონიზირებულ განვითარებას.

LEGAL PROTECTION OF ENVIRONMENTAL RIGHTS: THE ROLE AND EXPERIENCE OF THE INTERNATIONAL COURT OF ENVIRONMENTAL ARBITRATION AND CONCILIATION

By Eckard Rehbinder & Demetrio Loperena*

The African Charter on Human and Peoples' Rights, (Banjul June 26, 1991)

The Additional Protocol to the American Convention on Human Rights in the area of Economic, Social and Cultural Rights

საქართველოს ომბუდსმენი

საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის ასპირანტი

საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელმაც თავი დააღწია ტოტალიტარულ რეჟიმს და მიზანმიმართულად დაიწყო სამართლებრივი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმის – ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებაა, რადგან საერთაშორისო სამართლითა და კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები არის ის მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ფასდება თითოეული საზოგადოების ცივილიზაციისა და კულტურის ხარისხი.

ჩვენს ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტის სამსახურის დამკვიდრება მეტად რთულ დროს დაემთხვა: არ იყო განსაზღვრული საზოგადოებრივი და ეკონომიკური პრიორიტეტები; ტერიტორიების დაკარგვასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა; ქვეყანაში იყო 350 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი. ყველაფერ ამას თან სდევდა მძიმე სოციალურ – ეკონომიკური სიტუაცია, კანონიერებისადმი უპავეტიცემულობა და სამოქალაქო განათლების დაბალი დონე. ბუნებრივია, ამგვარ პირობებში მრავალი ადამიანი იურიდიულად დაუცველი იყო სხვადასხვა უწყების, დაწესებულების, თანამდებობის პირისა და სახელმწიფოსაგანაც კი, მიუხედავად კონსტიტუციაში დეკლარირებული მოქალაქის უფლებებისა. სწორედ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის დროს მოქალაქეთა უფლებების დაცვის აუცილებლობამ განაპირობა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება.

სახალხო დამცველის – ომბუდსმენის თანამდებობის (1995 წლის კონსტიტუციის 43 მუხლი) შემოღებას საქართველოში წინ უსწრებდა 1992 წლის აპრილში „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების და ადამიანის უფლებათადაცვის“ კომიტეტის შექმნა, რომელსაც მოგვიანებით „საქართველოს რესპუბლიკის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების“ კომიტეტი ეწოდა. 1996 წლის 16 მაისის „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის მიხედვით ამ ინსტიტუტის ერთადერთ მიზანს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვაზე ზრუნვა და ზედამხედველობაა, ხოლო დარღვევაზე ქართველი ომბუდსმენის რეაგირების საშუალებებია რეკომენდაციებითა და წინადადებებით მიმართვა შესაბამის ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიული პირისადმი, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა ან იმ სახელმწიფო ორგანოებისადმი, რომლებსაც შეუძლიათ კანონიერი ღონისძიებების გატარება ადამიანის უფლებათა დამრღვევების მიმართ.

ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორის ურთიერთობის კომიტეტისაგან განსხვავებით, ომბუდსმენის ინსტიტუტი თვისობრივად არც საპარლამენტო სტრუქტურაა, როგორც კონტროლის პალატა და არც სამთავრობო სტრუქტურა. ეს არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი ინსტიტუტი. ომბუდსმენის მთავარი ფუნქციაა ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა, დარღვევების შემთხვევაში კი, სახალხო დამცველმა უნდა იზრუნოს მათი აღმოფხვრისათვის. მას შეუძლია დასვას ნებისმიერი თანამდებობის პირის გათავისუფლების საკითხი, თუ იგი სისტემატიურად დაარღვევს ადამიანის უფლებებს. სახალხო დამცველს ძალიან დიდი ძალაუფლება აქვს, ამდენად, მისი საქმიანობის ეფექტიანობა და მიუკერძოებლობა დამოკიდებულია მისი დანიშვნის მექანიზმზე.

საქართველოში სახალხო დამცველის თანამდებობა არჩევითია. ომბუდსმენის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ პრეზიდენტს, საპარლამენტო ფრაქციას ან პარლამენტის წევრთა ათკაცთან ჯგუფს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც ერთ ფრაქციას. ამ მხრივ კანონი უფრო დემოკრატიული გახდა პირვანდელ პროექტთან შედარებით, რომლის მიხედვითაც კანდიდატის წარდგენის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს ჰქონდა. პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტს გააცნობს კანდიდატთა სიას და მათ წერილობით თამხმობას სახალხო დამცველის თანამდებობაზე არჩევის შეს-

ახებ. თითოეულს კენჭი ეყრება ცალცალკე და კენჭისყრა ფარულია. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის ხმებს მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუ არჩევისათვის საკმარისი ხმები ერთზე მეტმა კანდიდატმა მიიღო, მაგრამ მიღებულ ხმათა რაოდენობის გამო არჩეული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს ერთად ეყრება კენჭი და არჩეულად ჩაითვლება ის, ვინც მეტ ხმას მოიპოვეს, მაგრამ არანაკლებ საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის ხმებისა. თუ კენჭისყრით არ გამოვლინდა გამარჯვებული, ჩატარებული საარჩევნო პროცედურიდან არა უადრეს შვიდი და არა უგვიანეს თორმეტ დღეში კენჭისყრა ხელახლა ჩატარდება. სახალხო დამცველის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება მხოლოდ ორჯერ აირჩეს.

საქართველოში სახალხო დამცველი ირჩევა 5 წლის ვადით (შვედეთში, დანიაში, ფინეთსა და პორტუგალიაში ეს ვადა 4 წელია, ესპანეთში – 5 წელი, ავსტრალია და საფრანგეთში – 6 წელი) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სახალხო დამცველის არჩევის პროცედურა შედარებით ნაკლები ლიბერალიზმით გამოირჩევა საქართველოსა და შვედეთის ომბუდსმენების არჩევის წესისაგან განსხვავებით. მაგალითად, ესპანეთში სახალხო დამცველი არის გენერალური კორტეხების მაღალი რწმუნებული, რომელსაც წარმოადგენენ კონგრესისა და სენატის ერთობლივი კომისიები; საფრანგეთში, მიუხედავად ომბუდსმენის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხისა, მას პრემიერ-მინისტრი ნიშნავს; იგი შეიძლება გახდეს მთავრობისათვის მისაღები ნებისმიერი პირი, ან თვით აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი. რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებების დარგში რწმუნებული ინიშნება თანამდებობაზე და თავისუფლდება სახელმწიფო სათათბიროს მიერ სათათბიროს დეპუტატთა ხმების საერთო რაოდენობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრის გზით. რწმუნებულის თანამდებობაზე კანდიდატის შესახებ წინადადებების სახელმწიფო სათათბიროში შეტანის უფლება აქვთ: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ფედერალურ საბჭოს, სათათბიროს დეპუტატებს.

ზოგიერთმა ქვეყნამ შექმნა აღმასრულებელ ომბუდსმენტთა სამსახური. საფრანგეთში მედიატორი ინიშნება მინისტრთა საბჭოს დეკრეტით. დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო რწმუნებულს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე ნიშნავს დედოფალი. ახალზელანდიაში ომბუდსმენი 5 წლის ვადით ინიშნება გენერალურ-გუბერნატორის მიერ წარმომადგენელთა პალატის რეკომენდაციის გათვალისწინებით. ავსტრალიაში ომბუდსმენის დანიშვნის პროცესში დიდ როლს თამაშობს მთავრობა.

სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მოთხოვნებია დაწესებული ომბუდსმენის კანდიდატებისათვის. თუ შვედეთში ომბუდსმენი შეიძლება გახდეს მხოლოდ იურიდიული განათლებისა და მაღალი ავტორიტეტის მქონე პირი და მისაღები უნდა იყოს პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პარტიისათვის, ფინეთში ომბუდსმენის არჩევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კანდიდატის პარტიულ და პოლიტიკურ ორიენტაციასა და პარლამენტში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას. დანიის ომბუდსმენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლეებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, რუსეთში რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშნულ პირს უნდა ჰქონდეს ცოდნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარგში და მათი დაცვის გამოცდილება. საფრანგეთისა და ესპანეთის კანონები არ აყენებენ მოთხოვნებს კანდიდატების უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ.

საქართველოში ერთადერთ პირობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სახალხო დამცველი – საქართველოს მოქალაქეობაა.

საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობა შეუთავსებელია საქმიანობის გარკვეულ ფორმებთან – სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წევრობასთან, სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო მოღვაწეობისა; იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში, რაც განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას და მიკერძოებულობას. ამდენად, საქართველოს ომბუდსმენი თავის საქმიანობაში დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და ორგანულ კა-

ნონს. მისი მოვალეობაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სახელმწიფოს მიერ მათი უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა საქმიანობაზე ზედამხედველობა, მათ მიერ მიღებული აქტების შეფასება, რეკომენდაციებისა და წინადადებების წარდგენა. სახალხო დამცველის კომპეტენციის სფერო მეტად ფართოა და მოიცავს ხელისუფლების ყველა შტოს: საკანონმდებლოს, აღმასრულებელსა და სასამართლოს. ამავე დროს, თუ სახალხო დამცველი ჩათვლის, რომ ნორმატიული აქტები ან ცალკეული ნორმები არღვევენ კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს – უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ომბუდსმენს შეუძლია მისცეს სასამართლოს ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების რეკომენდაცია, თუ არსებობს ამისი საფუძველი და მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებების დარღვევამ იმოქმედა გადაწყვეტილების გამოტანაზე.

თავისი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის კანონი კრძალავს სახალხო დამცველზე რაიმე ზემოქმედებას ან მის საქმიანობაში ჩარევას. საქართველოს სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით დაუშვებელია მისი პასუხისმგებლობაში მიცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის. მასვე აქვს უფლება არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტების გამო, რომლებიც მას გაანდეს როგორც სახალხო დამცველს. არ შეიძლება ამ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი მასალის დაყადაღება და ეს უფლება სახალხო დამცველს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქმის ინიცირების უფლებას ანუ საქართველოს სახალხო დამცველს შეუძლია ადამიანის უფლებათა ფაქტების შემოწმება დაიწყოს საკუთარი ინიციატივითაც, ყოველგვარი განცხადებისა და საჩივრის გარეშე. (ამგვარი უფლებებით სარგებლობენ სკანდინავიის ქვეყნების ომბუდსმენებიც)

საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და საქართველოში მყოფ უცხოელთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა მოქმედებებს ან მათ აქტებს, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებს, რომელთა მონაწილეც საქართველოში არის. საქართველოს სახალხო დამცველისთვის მოქმედებს ტერიტორიულობის პრინციპი. მნიშვნელოვანია, რომ დარღვევა მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად დამრღვევის მოქალაქეობისა.

მოქალაქეთა განცხადებებს, საჩივრებს, წერილებს სახალხო დამცველი განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ავტორი სადაოს ხდის ზემდგომი ორგანოს თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას და როცა ის ეხება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ომბუდსმენთან კონტაქტი პირდაპირია, ანუ მასთან შეტანილი საჩივრები და განცხადებები უშუალოდ სახალხო დამცველთან ხდება.

სახალხო დამცველის მოვალეობათა შესრულებისათვის შექმნილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, რომლის მუშაობაც განსაზღვრულია დებულებით. სახალხო დამცველის სამუშაო აპარატს ხელმძღვანელობს სახალხო დამცველის მოადგილე – აპარატის უფროსი. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახალხო დამცველი და მასზე ვრცელდება სახალხო დამცველის დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სამი დეპარტამენტისაგან შედგება: 1. სამოქალაქო – პოლიტიკური უფლებების დეპარტამენტი; 2. სოციალურ – ეკონომიკური უფლებების დეპარტამენტი; 3. ადმინისტრაციულ საქმეთა დეპარტამენტი; ამას გარდა, შექმნილია ოთხი სამსახური: 1.

მოქალაქეთა მიღების სამსახური; 2. საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობების სამსახური; 3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამსახური; 4. საერთო საკითხებისა და წერილების სამსახური.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების გეოგრაფიული არეალი საკმაოდ გაიზარდა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს სახალხო დამცველის გარდა ახორციელებენ რეგიონალური ომბუდსმენები – აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დამცველის სამსახურები. ომბუდსმენის უფლებებს განსაზღვრავს ორგანული კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დეპუტატთა ერთ მესამედს ან უზენაესი საბჭოს უმრავლესობის ფრაქციას. ომბუდსმენების კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას – იგი აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა იყოს სულ მცირე 30 წლის. მისი უფლებამოსილების ვადა, საქართველოს სახალხო დამცველის მსგავსად, 5 წელია. ერთი და იგივე პირის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის თანამდებობაზე ხელახალი უფლებამოსილების ვადით არჩევა შეზღუდული არ არის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადაზე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს სახალხო დამცველისადმი უზენაესი საბჭოს ნდობის დაკარგვა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანი უფლებათა დაცვის კომიტეტი შეიქმნა 1992 წლის დეკემბერში და 1998 წლის 4 აგვისტოს გადაკეთდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის ინსტიტუტად. დებულება ეფუძნება ორგანულ კანონს საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ და მსგავსებათა გარდა, ახასიათებს შემდეგი განსხვავებებიც: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, აფხაზეთიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევების ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზეთში არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველი ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას – აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობას. ამ ეტაპზე იგი იხილავს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განცხადებებს და საჩივრებს. მისთვის მიმართვის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომლის ოჯახის წევრიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის იბრძოდა, დაიღუპა ან უგზო-უკლოდ დაიკარგა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

დებულება განსაზღვრავს სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადას. ამ თანამდებობაზე აირჩევა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე. კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წევრთა სულ ცოტა ხუთკაციან ჯგუფს. არჩევა ხდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს აფხაზეთიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დაცვის მდგომარეობისა და მათი დარღვევის ფაქტების შემოწმების მოთხოვნით. სახალხო დამცველი მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე.

სახალხო დამცველის ბრძოლა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის წარმოუდგენელია საზოგადოების აქტიური ძალისხმევისა და ურთიერთთანამშრომლობის გარეშე. სახელმწიფო

ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ყველა ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს ომბუდსმენს, დაუყონებლივ წარუდგინოს მას გამოთხოვილი მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია. შემოწმების პროცესში ან სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე ის სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება მოწმდება ან გასაჩივრებულია, ვალდებულია გამოსაკვლევ საკითხზე ომბუდსმენს წარუდგინოს ახსნა-განმარტება. საიდუმლო დოკუმენტები, სახელმწიფო, კომერციული ან კანონით დაცული საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია ომბუდსმენს გადაეცემა კანონით დადგენილი წესით.

საქმიანობის განხორციელებისათვის შეუზღუდავი ქმედებები სახალხო დამცველს საჩივრებისა და განცხადებების მიღების შემდეგ უფლებას აძლევს: დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში, დაწესებულებებში, სამხედრო ქვედანაყოფებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და ა.შ.; მოითხოვოს შემოწმებისათვის საჭირო ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ზემოთ ჩამოთვლილი ადგილებიდან; ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან მიიღოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე; სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საქსპერტო გამოკვლევები და მოამზადოს დასკვნები, მოიწვიოს სპეციალისტები საქსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად; გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს, რომელთა თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული; დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში შეამოწმოს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა. პირადად შეხვედეს და ესაუბროს დაკავებულებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფთ და მსჯავდებულებს.

ამავე დროს, საქართველოს სახალხო დამცველი ვალდებულია არ გაამჟღავნოს საიდუმლო და კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია, რომელიც მას გაანდეს.

ადამიანის უფლებების დარღვევებზე რეაგირებისა და ამ უფლებებისა და თავისუფლებების აღსადგენად სახალხო დამცველი რეკომენდაციებს უგზავნის იმ სახელმწიფო ორგანოებს თანამდებობის ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქმედებებიც იწვევენ აღნიშნულ დარღვევებს. ომბუდსმენს შეუძლია შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების მიმართ დინსციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, დანაშაულის ნიშნების განოვლენის შემთხვევაში კი, მის ხელთ არსებული მასალები გადასცეს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის რეკომენდაციით.

ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომელიც მიიღებს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს იგი ერთი თვის ვადაში და განხილვის შედეგები წერილობით აცნობოს ომბუდსმენს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის მიზნით სახალხო დამცველი უფლებამოსილია წინადადებები წარუდგინოს პარლამენტს კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ.

ყველაზე მძლავრი იარაღი სახალხო დამცველის ხელში – სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშია, რომელსაც იგი პარლამენტს მიმდინარე წლის დამთავრებიდან სამი თვის ვადაში წარუდგენს. ამ მოხსენებაში მითითებული უნდა იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები, თანამდებობისა და იურიდიული პირები, რომელნიც ადამიანის უფლებებს არღვევდნენ და სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებათა შესახებ არ ითვალისწინებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იმბუდსმენის ინსტიტუტი განვითარების პროცესშია და უამრავი სირთულე ელოდება წინ, საზოდაგოებაში უკვე იმკვიდრებს ადგილს. ამავე მიუთითებს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის სტატისტიკა: 1998 წლის განმავლობაში სახალხო დამცველს განცხადებებით, წერილებითა და საჩივრებით 2343 მოქალაქემ მიმართა, 1999 წელს – 2406. 2000 წლის 10 თვის განმავლობაში – 2348. 2001 წლის 6 თვეში 1526 მოქალაქემ ამავე დროს თუ შევადარებთ 1999

წლისა და 2001 წლის 6 თვის მონაცემებს, რასაც ზრდის ტენდენცია ახასიათებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის სამართლებრივი განათლების დონე და სახალხო დამცველის მუშაობის სადმი ნდობა გაიზარდა. თუ 1999 წელს შეტანილი საჩივრები უმეტესად უკავშირდებოდა პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებულ, საბინაო, შინაგან დაქმეთა ორგანოებსა და სოც. უზრუნველყოფის საკითხებს, პროკურატურისა და სასამართლო გადაწყვეტილებებს, 2001 წელს 6 თვეში სისხლის სამართლის საქმეზე 127 განცხადება შესული, სამოქალაქო საქმეზე – 98; უკანონო პატიმრობის თაობაზე – 90, რწმენის თავისუფლების შეზღუდვაზე – 25, სამხედრო სამსახურის შესახებ – 7, ქალთა უფლებებზე – 2, ბავშვთ უფლებებზე – 8, ეროვნული უმცირესობის დისკრიმინაციაზე – 1, პენსიებისა და სოციალური დახმარების საკითხებზე – 88, შრომით უფლებებზე – 65, საბინაო პრობლემებზე – 109, მიწის დავებზე – 9, განათლებისა და კულტურის საკითხებზე – 5, სამედიცინო საკითხებზე – 11, საბანკო-საფინანსო საკითხებზე – 18, მეზობლურ კონფლიქტებზე – 15, მოსამართლისა და სასამართლოს არაობიექტურობაზე – 38, სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულებაზე – 14, შეწყალების თაობაზე – 21, სხვა – 49.

განხილული განცხადებების საერთო რაოდენობიდან 35-ზე მომზადდა რეკომენდაცია.

შემოსული განცხადებების მიხედვით, გასაჩივრებელია შემდეგი სტრუქტურების საქმიანობა: მმართველობის ორგანოების – 13, სასამართლო ორგანოების – 42, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების – 46, პროკურატურის ორგანოების – 34, პენიტენციური სისტემის – 2, თავდაცვის სამინისტროს დანაყოფების – 3, უშიშროების ორგანოების – 2, საგადასახადო ორგანოების – 11, ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის ორგანოების – 5, ყველა დონის საარჩევნო კომისიის – 2.

თემატიკას თუ გადავხედავთ, შემოსული საჩივრები და განცხადებები ეხება საერთაშორისო პაქტებითა და კონვენციებით, კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ყველა ყფლებებსა და თავისუფლებებს – სიცოცხლის უფლებას, თავისუფლებებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლებას, აზრის გამოთქმის თავისუფლებას, შეკრებისა და ასოციაციების თავისუფლებას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ადამიანის უფლებას, მოითხოვოს თავისი ღირსებისა და რეპუტაციის დაცვა, საკუთრებისა და შრომის უფლება, სინდისისა და რწმენის თავისუფლება.

სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება სახალხო დამცველს საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს. ომბუდსმენს ასევე შეუძლია ყოველ ცალკეულ საქმეზე პარლამენტს სპეციალური მოხსენება წარუდგინოს.

იმ შემთხვევაში, თუ ომბუდსმენი ზედიზედ 4 თვის მანძილზე ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, პარლამენტს უფლება აქვს ომბუდსმენი ვადამდე გადაირჩიოს. და უფლებამოსულების შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. თუმცა, შეიძლება არსებობდეს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის სხვა საფუძვლები: საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა; მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი; სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ, უგზოუკლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობა; ნებაყოფლობითი გადადგომა; გარდაცვალება.

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული ომბუდსმენის უფლებამოსილებანი, მათი განხორციელების სამართლებრივი გარანტიები, რეაგირების საშუალებანი იძლევა იმედს, რომ ომბუდსმენის მოღვაწეობა ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შემცირებას და დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

ტერიტორიული მოწყობის უნიტარული ფორმა და მისი თავისებურებები

სახელმწიფოს უნიტარული ფორმა ხასიათდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო აპარატის ერთიანი სტრუქტურით. საკანონმდებლო ორგანო, სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა, თავის იურისდიქციას ავრცელებენ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მათი კომპეტენცია არ იზღუდება არც იურიდიულად და არც ფაქტობრივად რომელიმე ადგილობრივი ორგანოს უფლებამოსილებით.

ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს გააჩნია ერთნაირი იურიდიული სტატუსი და ცენტრალური ორგანოებისადმი თანასწორი მდგომარეობა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე პოლიტიკური დამოუკიდებლობა. თუმცა სამეურნეო, სოციალურ-კულტურულ სფეროში მათი უფლებამოსილებები შეიძლება საკმაოდ ფართო იყოს. უნიტარულ სახელმწიფოს ახასიათებს ერთიანი მოქალაქეობა. უნიტარული სახელმწიფოს მოსახლეობას გააჩნია ერთიანი სახელმწიფოებრივი მიკუთვნება.

ასეთ სახელმწიფოებს ახასიათებთ სამართლის ერთიანი სისტემა. მის ბაზას ქმნის კონსტიტუციის ერთიანი ძირითადი კანონი, რომლის ნორმებიც გამოიყენება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მოკალენი არიან გამოიყენონ ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული სხვა ნორმატიული აქტები.

უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხელმძღვანელობს ყველა საზოგადოებრივი წარმონაქმნისათვის საერთო მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმებით. სასამართლო ორგანოები, ისევე, როგორც ყველა სამართალდამცავი ორგანო, წარმოადგენს ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის რგოლებს.

უნიტარულ სახელმწიფოებში გამოიყენება გადასახადების ერთარხიანი სისტემა, როგორც წესი, გადასახადები შედის ცენტრში, ხოლო იქიდან უკვე ნაწილდება სხვადასხვა რეგიონში.

ყველა უნიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ცენტრალიზაცია შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმაში და სხვადასხვა სახით. ზოგიერთ ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს ადგილობრივი ორგანოები და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები იმართება დანიშნული ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. სხვა სახელმწიფოებში ადგილობრივი ორგანოები იქმნება, მაგრამ მათზე პირდაპირ ან ირიბ კონტროლს ახორციელებს ცენტრალური ხელისუფლება.

იმისდა მიხედვით, თუ როგორი სახის კონტროლს ახორციელებს ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, განასხვავებენ ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზირებულ უნიტარულ სახელმწიფოს.

სახელმწიფოთა უმრავლესობა დღეს მსოფლიოში სწორედ უნიტარულ სახელმწიფოთა რიცხვს განეკუთვნება. განვიხილოთ რამოდენიმე მათგანის თავისებურებანი:

ესპანეთი ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით უნიტარული სახელმწიფოა. “ იგი ყოველთვის გამოირჩეოდა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნებით და აქ მცხოვრები ხალხების ეროვნული თავისებურებების პრობლემა გადაიჭრა ავტონომიური ერთეულების ფორმირებით”. 1978 წლის კონსტიტუციამ სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებსა და სახელმწიფო ტერიტორიულ ერთეულებს შორის გაანაწილა. სწორედ ამიტომაც ესპანეთმა ავტონომიური წარმონაქმნებისგან შემდგარი სახელმწიფოს სახელწოდება მიიღო. უნდა ითქვას, რომ დეცენტრალიზაციის ხარისხის მიხედვით ესპანეთი თანდათანობით ფედერაციული სახელმწიფოსაკენ იხრება და რეგიონალისტურ სახელმწიფოდ მოიხსენიება.

1978 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი წყებოდა, გათვალისწინებული იქნა ესპანეთის მეორე რესპუბლიკის გამოცდილება (1931-1936წწ) და, პირველ რიგში, იტალიის 1947 წლის კონსტიტუციაში ასახული დებულებები.

ტერიტორიული მოწყობის საკითხი ესპანეთის პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგში ფრანკოს გარდაცვალებისთანავე დაისვა. ა. სუარესის მთავრობამ აღიარა ავტონომიის მოთხოვნის კანონიერება და 1977 წელს დემოკრატიული კავშირის ცნობილი მოღვაწის კრაველოს ხელმძღვანელობით შეიქმნა რეგიონალური საკითხების სამინისტრო. ამ დროისათვის ეს იყო თამამი პროგრესული ნაბიჯი, ვინაიდან თავიდან ძალაუფლება სამხედრო, ფრანკისტული ძალების ხელში რჩებოდა, რომლებსაც თვითმმართველობის აღდგენის საკითხი აღიზიანებდათ.

შემდეგ კი კონსტიტუციით დამკვიდრდა ახალი მექანიზმი და ყველა რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭების შესაძლებლობა მათი სურვილის შემთხვევაში, გარანტირებულად გამოცხადდა. ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით უდაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 1981 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც ცალსახად ადგენს, რომ ავტონომია არ ნიშნავს სუვერენიტეტს. მოცემული დებულება ეხმიანება კონსტიტუციის მე-2 მუხლს, რომელიც შემდგენიარად არის ჩამოყალიბებული კონსტიტუცია ეფუძნება ურდვევ ერთიანობას ესპანელი ერისა, რომელიც ერთიანია და განუყოფელია ყველა ესპანელისათვის. იგი აღიარებს და გარანტიებს უდგენს ეროვნებისა და რეგიონის ავტონომიის უფლებას და აგრეთვე მათ შორის სოლიდარობას. ასე რომ ესპანეთი რეგიონალისტური ქვეყანაა, მაგრამ ერთი განსაკუთრებული თავისებურებით: მცირე ავტონომიური ერთეულები დიდი ავტონომიური ფორმირებების შემადგენლობში შედიან.

1978 წლის კონსტიტუციის თანახმად, ტერიტორიული ერთეულები საკმაოდ დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობენ. ესპანეთში არსებობს 17 ავტონომიური გაერთიანება, რომელსაც სახემწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური, ფინანსური და საკანონმდებლო დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული. “კონსტიტუცია აწესებს ყველა ავტონომიური რესპუბლიკისათვის საერთო წესების გარკვეულ წრეს. ყველა ავტონომიურ ერთეულს აქვს საკანონმდებლო ორგანო, რომლის წევრებიც აირჩევიან საყოველთაო კენჭისყრით, პოლიტიკურ პარტიათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით. ეს ორგანოები ახორციელებენ კონტროლს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე. რომელსაც წარმოადგენს მთავრობა და მისი თავჯდომარე.”

პარლამენტი აირჩევა ოთხი წლის ვადით, რეგიონში მცხოვრები სრულწლოვანი მოქალაქეების მიერ, საყოველთაოა, პირდაპირი არჩევნებით პროპორციული სისტემის გამოყენებით. პარლამენტი ნიშნავს ავტონომიური გაერთიანების თავჯდომარეს, რომელსაც ამტკიცებს მონარქი, ეს უკანასკნელი თავის მხრივ ნიშნავს ავტონომიური მთავრობის წევრებს. ავტონომიური ერთეულის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იღებს კანონებს, რომელთაც ისეთივე სავალდებულო ძალა აქვთ, როგორც ესპანეთის სახელმწიფო კანონებს. არაკონსტიტუციურობის მოტივით მათი გაუქმება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის კანონმდებლობას ორგვარი წყარო აქვს: ესპანეთის სახელმწიფო კანონები და რეგიონალური კანონები. შესაბამისად, დამოკიდებულებას ქვეყნის სახელმწიფო კანონებსა და ავტონომიებს შორის იერარქიული ხასიათი კი არ აქვს, არამედ კომპეტენციის პრინციპზე დაფუძნებული. კანონები ძალაშია იმდენად, რამდენადაც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს.

ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფოსა და ავტონომიებს შორის ესპანეთში ეფუძნება კონსტიტუციაში განსაზღვრული კომპეტენციების ორ ჩამონათვალს. ერთი ჩამონათვალი განსაზღვრავს სახელმწიფოს ექსკლუზიურ კომპეტენციას, რომელშიც შედის სახელმწიფო აპარატის გამგებლობაში შემაჯავლი სფეროები, როგორცაა თავდაცვა, საგარეო საქმეები, კერძოდ, ადამიანის უფლებების, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, და ბოლოს, სფეროები, რომლებიც სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობას განაპირობებენ ჯანდაცვა, განათლება სოციალური დაცვა. ისიც აღსანიშნავია, რომ გარდა თავდაცვის ავტონომიების კომპეტენცია არც ერთ ამ სფეროში არ არის გამორიცხული. რაც შეეხება მეორე ჩამონათვალს, მასში შედის ის სფეროები, რომლებიც ავტონომიის კომპეტენციაში შეიძლება შედი-

ოდეს, ხოლო ის, თუ კონკრეტულად რა სფეროზე ვრცელდება ავტონომიის უფლებამოსილება, ეს მისი სტატუსით განისაზღვრება. ავტონომიურ გაერთიანების შექმნის უფლება ესპანეთში მინიჭებული აქვს მეზობლად მდებარე პროვინციებს, რომლებიც ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საერთო ნიშნებით ხასიათდებიან, ასევე იმ კუნძულოვან ტერიტორიებსა და პროვინციებს რომლებიც ერთ ისტორიულ ოლქს (რეგიონს) წარმოადგენენ. კონსტიტუციით დაშვებულია ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ავტონომიების შექმნა. “ ესპანეთის კონსტიტუციიდან გამომდინარე, ავტონომიურ ერთეულებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მოცულობის უფლებამოსილება, მაგრამ რადგანაც მათი სტატუსები ჰგავს ერთმანეთს, პრაქტიკულად ეს განსხვავება უმნიშვნელოა, რეალურად კი მეტი ძალაუფლება მხოლოდ ისტორიულ ავტონომიებს აქვთ.” აღნიშნული ადასტურებს ესპანეთის სახელმწიფო მოწყობის ასიმეტრიულ უფლებას, რითაც იგი ფედერალურისაგან განსხვავდება, სადაც სუბიექტებს თანაბარი კომპეტენცია აქვთ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასიმეტრიულობის თვალსაზრისით ესპანეთის კონსტიტუციური სამართალი მრავალი თავისებურებით ხასიათდება. აქ ეროვნული და ისტორიული ავტონომიების გარდა, კორტესების გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სპეციალური ავტონომიებიც. ასეთ ავტონომიას ორგანული კანონის მიღების გზით, შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს კომპეტენციაში შემავალი ზოგიერთი სახის უფლებამოსილება.

სპეციალური ავტონომიით სარგებლობენ ბასკეთი, ნავარა, კანარის კუნძულები და ქალაქები სუეტა და მილილია. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს კატალონია, ბესკეთი, გალისია და ანდალუზია, რომლებიც უფრო მაღალი სტატუსით სარგებლობენ, რამდენადაც აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიულ-ტერიტორიული, არამედ, ეროვნულ ავტონომიებს უფრო ფართო უფლებამოსილებები აქვთ ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში, ფლობენ უფრო მეტ შესაძლებლობებს ეროვნული კულტურისა და განათლების სფეროში. მათი ადმინისტრაციის მოხელეებს განსაკუთრებული სტატუსი აქვთ მინიჭებული. ესპანეთის კონსტიტუცია მოითხოვს, რომ ყოველ ავტონომიურ გაერთიანებას ჰქონდეს თავისი საქმიანობის მარეგულირებელი ე.წ. ავტონომიის წესდება, რომელიც მის მმართველობას დაედება საფუძვლად. კონსტიტუცია ერთმანეთისაგან განასხვავებს ეროვნული და ჩვეულებრივი, ისტორიული ავტონომიების შექმნის პროცედურას. ეროვნული ავტონომიის წესდები მიღება რთული პროცედურით ხორციელდება. ამ პროცედურაში ორი მხარე მონაწილეობს. მომავალი ავტონომიური ერთეული და ესპანეთის პარლამენტი გენერალური კორტესები. კერძოდ, ავტონომიურ ერთეულში ხდება კანონპროექტის შემუშავება პარლამენტში კი მისი განხილვა და დამტკიცება. ამდენად, წესდება ერთის მხრივ, რეგიონის ძირითადი კანონია.

მეორე მხრივ, ესპანეთის სტატუსის შესაბამისად, წესდება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ორივე მხარის მონაწილეობით ე.ი. რეგიონის უმაღლესი ორგანოსა და ქვეყნის პარლამენტის შეთანხმებით. აღნიშნული წესით მიღებული სტატუსები შეადგენენ ესპანეთის კონსტიტუციის ნაწილს, რის გამოც წესდების შეცვლა ძალიან ძნელია და წესდება თავად ხდება პარამეტრიც კანონის კონსტიტუციურობისა, ე.ი. ყოველი ახალი კანონი მასთან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი.

განსხვავებული წესი მოქმედებს ისტორიული ავტონომიის წესდების მისაღებად, რისთვისაც საჭიროა მუნიციპალიტეტების არა ნაკლები 2/3-ის მხარდაჭერა და რეგიონალურ რეფერენდუმზე მოსახლეობის უმრავლესობის მიერ მოწონება. „ესპანეთის კანონმდებლობა საშუალებას აძლევს სახელმწიფოს ჩაერიოს ავტონომიის საქმიანობაში. ასეთი ჩარევა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით როდესაც ამას საერთო ინტერესები მოითხოვენ სახელმწიფომ შეიძლება გამოსცეს კანონები, რომელიც ავტონომიური გაერთიანებების კომპეტენციაში შემავალ საკითხზე მიღებულ ნორმალურ აქტებს ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანს.” იმ შემხვევაში თუ ავტონომიური გაერთიანება არ ასრულებს ქვეყნის კონსტიტუციის მასზე დაკისრებულ ვალდებულებას ან იგი თავისი მოქმედებით საფრთხეს უქმნის საერთო ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფო უფლებამოსილია პირდაპირ ჩაერთოს ავტონომიის საქმიანობაში. მას შემდეგ, რაც ავტონომიური გაერთიანების თავმჯდომარე არ შეასრულებს ესპანეთის მთავრობის მოთხოვნებს, ამ უკანასკნელს შეუძლია სენატის წევრთა აბსოლიტური უმრავლესობის თანხმობით გამოიყენოს იძულებითი ზომები ავტონომიაში მდგომარეობის გამოსასწორებლად (მუხლი 155-1) სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტები ავტონომიათა საქმიანობაში ჩარევის მიზნით.

ევროპის ქვეყნების სასამართლო სისტემები და საქართველოს სასამართლო სისტემა (შედარებითი ანალიზი)

I. შესავალი

1. სასამართლო სისტემის მნიშვნელობა და არსი

თავისუფლად არჩეული პარლამენტი და სამართლის უზენაესობის პრინციპის აღიარება მხოლოდ პირველი ნაბიჯებია სრულყოფილი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე. სამართლის უზენაესობა მხოლოდ მაშინ ხდება რეალური, როდესაც თვით სახელმწიფო ემორჩილება მას. თეორიასა და პრაქტიკაშიც უნდა არსებობდეს მოქალაქეთა უფლება გაასაჩივრონ უკანონო აქტები. ასეთი შესაძლებლობის რეალიზაცია კი მხოლოდ მაშინაა რეალური, როდესაც სასამართლო ხელისუფლება არის დამოუკიდებელი. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის აუცილებელია, რომ მოსამართლეები იყვნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოსაგან, თავისი იურისდიქციის ფარგლებში ფლობდნენ სუვერენულ ხელისუფლებას გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომელთა შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების სუვერენული გადაწყვეტილებებით.

სასამართლო მოწყობის ასევე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დემოკრატიული მოქალაქეობრიობის აღზრდა. მან უნდა მისცეს ხალხს იმის რწმენა, რომ მათ შეუძლიათ თავისი უფლებების რეალიზაცია. ასევე უნდა ესმოდეოთ, რომ თან ახლავს მოვალეობები, რომ პატივი უნდა სცე სხვის უფლებებს. დემოკრატიულმა მოქალაქეობრიობამ უნდა აღზარდოს კანონის, მართლმსაჯულებისა და დემოკრატიის პატივისცემა, საერთო ინტერესებზე ზრუნვის, დამოუკიდებელი (თავისუფალი) აზროვნების წახალისება, რომელიც ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, დაფუძნებულს საერთო ფუნდამენტულ ფასეულობებზე.

სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს დამოუკიდებელი და მას მხოლოდ სასამართლოები ახორციელებენ. სასამართლო ხელისუფლების უმთავრესი ფუნქცია მართლმსაჯულების განხორციელებაა და იგი სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული კომპეტენციაა, თუმცა სასამართლო ხელისუფლება, ამასთან ერთად, მოიცავს მთელ რიგ სხვა უფლებამოსილებებსაც, როგორცაა: კონსტიტუციური კონტროლი; სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე კონტროლი მათი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში; განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა; სასამართლო კონტროლი იძულებითი ხასიათის საპროცესო ღონისძიებების გამოყენებაზე, რომლებიც ზღუდავენ პირის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში, სადაც მოქმედებს სასამართლო პრეცედენტი, სასამართლო ორგანოები ახორციელებენ სამართალშემოქმედებას. სამოსამართლო სამართალშემოქმედებაა, კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს, კანონის საფუძველზე მისი ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად მოსამართლის მიერ ქვეყნის ახალი წესების ჩამოყალიბება.¹

კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში „...მოსამართლეების აზრით, სამართლის ნორმის შექმნა, მხოლოდ კანონმდებლის, მმართველობის ან ადმინისტრაციულ გამგებლობათა საქმეა, რაზედაც უფლებამოსილი არიან კანონმდებლის მიერ”.²

რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემაში სულ უფრო ხშირად გამოითქმის იდეა მოსამართლეთა ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის აუცილებლობის შესახებ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სა-

¹ ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში.

² Судебные Системы Европейских Стран.

კანონმდებლო ხარვეზების შევსებას, ბოლო მოუღოს მრავალრიცხოვანი კანონქვემდებარე აქტების გამოცემას, შეზღუდოს წინააღმდეგობები მოქმედ სამართალში.³

თვით სამოსამართლო სისტემა კი არის მოქმედი სასამართლოების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია სასამართლო ხელისუფლების საერთო ამოცანებით, ორგანიზაციისა და საქმიანობის ერთიანი პრინციპებით.

II. კონტინენტური მშროპის სასამართლო სისტემების დახასიათება

1. გერმანიის სასამართლო სისტემა⁴

გერმანიაში მართლმსაჯულების წარმოებას ახასიათებს ორი ძირითადი ფაქტორი: გერმანიის სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა და რამდენიმე იურისდიქციაზე განაწილება.

ქვეყნის სასამართლო სისტემის შტოებს წარმოადგენს საკონსტიტუციო და ხუთი იურისდიქციის, როგორებიცაა: საერთო, ადმინისტრაციული, საფინანსო, შრომის საქმეთა და სოციალურ საქმეთა. ყველა ეს იურისდიქცია მოქმედებს როგორც მიწების, ასევე ფედერალურ დონეზე, სადაც ყოველ მათგანს მეთაურობს უმაღლესი ინსტანცია – უზენაესი სასამართლო. ასე რომ, გერმანიის სასამართლო სისტემას ორმაგი სტრუქტურა აქვს: ვერტიკალური (მიწების სასამართლოები და ფედერალური სასამართლო უმაღლეს დონეზე) და ჰორიზონტალური (სხვადასხვა იურისდიქციის სასამართლოები).

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი უფლებამოსილია დააწესოს სპეციალური სასამართლოები.

ფედერალური **საკონსტიტუციო სასამართლო** (*უნდესვერფასუნგსვერიცჰტ*) დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური ნორმების დარღვევებზე საჩივრების განხილვის პროცედურა, რადგანაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოს საჩივრით, რომ დაირღვა მისი ძირითადი კონსტიტუციური უფლებები საჯარო პირების მიერ (მმართველობის ორგანოს, სასამართლოს ან პარლამენტის მიერ).

ფედერალური მიწების საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია ანალოგიური კომპეტენცია, ოღონდ იგი შეზღუდულია თითოეული მიწის კონსტიტუციის ჩარჩოებით.

საერთო იურისდიქციის სასამართლოები საერთო იურისდიქციის სასამართლოებია: საოლქო სასამართლო (*Amtsgericht*), მიწის სასამართლო (*Landesgericht*), მიწის უმაღლესი სასამართლო (*Oberlandesgericht*, ბერლინში იგი იწოდება *Kammergericht*) და ფედერალური უზენაესი სასამართლო (*Bundesgerichtshof*) ქალაქ კარლსრუეში.

საერთო იურისდიქციის სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო დასისხლის სამართლის საქმეებს.

მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოდ ითვლება პროკურატურა. იგი ფუნქციონირებს საერთო იურისდიქციის სასამართლოების ყველა დონეზე. უზენაეს ფედერალურ სასამართლოში იგი წარმოდგენილია გენერალური ფედერალური პროკურორისა (*Generalbundesanwalt*) და რამდენიმე ფედერალური პროკურორის (*Bundesanwälte*) მიერ, მიწის უმაღლეს სასამართლოებში და მიწის სასამართლოებში – სახელმწიფო პროკურორის (*Staatsanwälte*) მიერ, საოლქო სასამართლოებში – სახელმწიფო პროკურორებისა და საოლქო პროკურორების (*Amstanwälte*) მიერ. გენერალური ფედერალური პროკურორი და ფედერალური პროკურორები ექვემდებარებიან ფედერალურ იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო დასაოლქო პროკურორები, კი – შესაბამისი მიწების იუსტიციის სამინისტროებს.

³ იქვე.

⁴ იხ. დანართი №1.

სასამართლო ფუნქციის განხორციელება შეუძლიათ არა მარტო პროფესიონალ მოსამართლეებს, რომლებმაც მოსამართლის დაკავების თანამდებობა მიიღეს ორი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებით, არემედ არაპროფესიონალ მოსამართლეებსაც (სასამართლოს მსაჯულები – შოფენები – *Schöffen*) განურჩევლად თავიანთი პროფესიისა.

XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სასამართლო ჩინოვნიკთა დამხმარე კადეგორია – სასამართლო კლერკების სახით (*Rechtspfleger*). სასამართლო ჩინოვნიკები გადიან სპეციალურ მომზადებას, რომელიც შეიცავს სამართლის თეორიის კურსს. ისინი ითვლებიან სახელმწიფო მოხელეებად, თუმცა მათ არ აქვთ კონსტიტუციით გათვალისწინებული პრივილეგიები გათვალისწინებული მოსამართლეებისათვის, თუმცა სავსებით დამოუკიდებელნი არიან იმ გადაწყვეტილებათა მიღებისას, რომელიც მათ კომპეტენციას განეკუთვნება.

სამართალწარმოება სამოქალაქო სამართლის საქმეებზე – პირველი ინსტანციის კომპეტენცია ამ საქმეთა გამხილვასას, როგორც წესი, განისაზღვრება საჩივრის თანხით. თუმცა ზოგიერთი საქმე განიხილება საოლქო ან მიწის სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განურჩევლად საჩივრის თანხის ოდენობისა.

სამართალწარმოება სისხლის სამართლის საქმეებზე – სისხლის სამართლის სასამართლოების კომპეტენცია განისაზღვრება, ძირითადად, დანაშაულის სიმძიმითა და მნიშვნელობით.

მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევები (Ordnungswidrigkeiten) – გერმანიის კანონმდებლობა დანაშაულებთან ერთად აგრეთვე იცნობს ადმინისტრაციული კანონდარღვევების კატეგორიას (*Ordnungswidrigkeiten*). საქმე ეხება კანონის ისეთ დარღვევებს, რომლებიც უმნიშვნელო საშიშროების გამო არ შეიძლება, მორალური მხრიდან, აღიარებულ იქნას სერიოზულად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი შესაძლებელია არღვევენ სხვა პიროვნებების უფლებებს. ამ, საკმარისად ფართო კატეგორიებს მიეკუთვნებიან, მაგალითად, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა.

ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გაპროტესტებულ იქნას (*Einspruch*) ზოგადი იურისდიქციის სასამართლოში და ერთპიროვნულად იქნას განხილული მოსამართლის მიერ საუბნო სასამართლოში, ხოლო ??? სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მიწის უმაღლეს სასამართლოში. ეს საჩივარი უნდა იყოს საკასაციო ტიპის არსებული დარღვევების მოტივირებით, რომელიც სარევიზიო საჩივრისაგან განსხვავებით შეიძლება აფუძვნებოდეს მხოლოდ ერთი კანონის დარღვევას (*Rechtsbeschwerde*).

საპატენტო სამართალი – ზოგადი იურისდიქციის სასამართლოებს შორის შეიძლება დასახელებულ იქნას ასევე ფედერალური საპატენტო სასამართლო (*Bundespatentgericht*), რომლებიც განიხილავენ საჩივრებს ფედერალური საპატენტო ბიუროს გადაწყვეტილებებზე. საპატენტო საქმეებს უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს უმაღლესი გედერალური სასამართლო.

ადმინისტრაციული იუსტიცია გერმანიაში არსებობს ზოგადი და სპეციალიზირებული ადმინისტრაციული სასამართლოები (უკანასკნელს განეკუთვნება საფინანსო სასამართლოები და სასამართლოები სპეციალურ საკითხებში).

მიუხედავად იმ საკამათო საკითხთა მსგავსებისა, რომლებსაც განიხილავენ ეს იურისდიქციები, და სადაც გამოიყენება საჯარო სამართალი, ყოველ მათგანს გააჩნია თავისი საკუთარი პროცედურული წესები, რომელსაც აკანონებს თვით კანონი ადმინისტრაციულ სასამართლოებზე, კანონი ფინანსურ სასამართლოებზე და კანონი სასამართლოებზე სოციალურ საკითხებში. ამ კანონების უნიფიცირების მცდელობები ჯერ არ გასცილებია კამათი (დისკუსიების) ჩარჩოებს და არ მოუცია კონკრეტული შედეგები.

ზოგადი ადმინისტრაციული სასამართლოები განიხილავენ საჯარო სამართლის ყველა იმ სადავო საკითხს, რომლებიც არ ატარებენ საკონსტიტუციო ხასიათს და ცალსახად არ განეკუთვნებიან ფედერალური კანონმდებლობის განსხვავებულ იურისდიქციას.

საფინანსო სასამართლოები საფინანსო იუსტიციის სფეროში არსებობს მხოლოდ ორი ინსტანცია – საფინანსო სასამართლოები (*Finanzgerichte*) და ფედერალური საფინანსო სასამართლო (*Bundesfinanzhof*), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებს 19 საფინანსო სასამართლო და ფედერალური საფინანსო სასამართლო მიუნხენში.

შრომის სამართლის საქმეთა სასამართლოები

კომპეტენცია – სასამართლოები შრომის სამართლის საქმეებზე ფლობენ დამოუკიდებელ სამოქალაქო-სამართლებრივ კომპეტენციებს.

სამოქალაქო სარჩელები კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს შორის პირადალად ან როგორც იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს წევრის სახით არ მიეკუთვნება სასამართლოების კომპეტენციას შრომითი სამართლის საქმეებზე, მაგრამ შესაძლებელია ასეთი სარჩელების გადაცემა ამ სასამართლოებში თუ არსებობს მხარეებს შორის თანხმობა. სხვა სარჩელები, რომლებიც როგორც წესი არ განიხილება სასამართლოებში შრომითი სამართლის საქმეებზე, როგორც გამონაკლისი შეიძლება გადაცემულ იქნას განხილვაზე, თუ ისინი იურიდიულად ან ეკონომიკურად დაკავშირებულნი არიან ისეთ სამოქალაქო სარჩელთან, რომლებიც შედის შრომითი სამართლის საქმეთა სასამართლოს კომპეტენციაში.

სოციალური იურისდიქცია სოციალური საკითხების სასამართლოების სისტემაში შედის 69 სასამართლო სოციალურ საკითხებზე (*Sozialgerichte*), რომლებიც განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, 16 უმაღლესი (მიწის) სასამართლო სოციალურ საკითხებში (*Landessozialgerichte*) – მეორე ინსტანციით და ფედერალურ დონეზე უმაღლესი ინსტანციის სახით – ფედერალური სასამართლო სოციალურ საკითხებზე (*Bundessozialgericht*) ადგილმდებარეობით ქალაქ კასელში.

ფედერაციის უმაღლესი სასამართლოების საერთო სენატი 1968 წელს ფედერაციის უმაღლესი სასამართლოების საერთო სენატი იყო შექმნილი კანონის საფუძველზე, სასამართლო პრაქტიკა ყოფილიყო ერთიანი.

საერთო სენატის სხდომები მოიწვევა, როდესაც უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს განზრახული აქვს სხვაგვარად გადაწვიტოს სამართლებრივი საკითხი, ვიდრე ამას სხვა უმაღლესი ფედერალური სასამართლო ან საერთო სენატი წყვიტავს.

საერთო სენატის შემადგენლობაში შედიან უმაღლესი ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარეები, უმაღლესი ფედერალური სასამართლოების შესაბამისი სენატების თავმჯდომარეები და თითო მოსამართლე თითოეული ამ სენატიდან.

სპეციალური სასამართლოები არასრულწლოვანთა საქმეთა სპეციალური სასამართლოები განიხილავენ ყველა სახის სამართალდარღვევებს, რომლებსაც ჩადიან ახალგაზრდები 14-დან 21 წლამდე. ეს სასამართლოები არ არიან ვალდებული ისეთი ზომის საჯვრელები გამოიტანონ, რომლებიც გათვალისწინებულია საერთო სისხლის სამართლის კანონმდებლობით. დოქსაც 14-18 წლის არასრულწლოვნები, ასევე 18-21 წლის, მაგრამ თავისი გონებრივი განვითარებით დაახლოებული 14-18 წლებს, ჩადიან ამ კატეგორიის მოზარდებისათვის დამახასიათებელ დანაშაულს, უპირველესად შეუფარდებენ აღმზრდელობით ან გამოსასწორებელ ზომებს.

თავისუფლების აღკვეთის სახის საჯვრელები ეფარდებათ მაშინ, როდესაც ზემოთ დასახელებული ზომები აშკარად არასაკმარისია ბრალდებულის საქციელის საშიშროების გამო, ანდა როცა დანაშაული საკმარისად დიდია. საჯვრელის მოხდა ხდება არასრულწლოვანთა სპეციალურ გამოსასწორებელ დაწესებულებებში, სადაც გათვალისწინებულია ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

არასრულწლოვანთა საქმეთა სასამართლო უფლებამოსილია შეარბილოს ახალგაზრდების 18-21 წლის ის განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნება სისხლი სამართლის კანონმდებლობის მთელი სიმკაცრით.

იმ შემთხვევებში, როცა არასრულწლოვანი არ იხდის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის თავისი ასაკის გამო და ეს სასჯელი ატარებს აღმზრდელობით ხასიათს, არასრულწლოვანთა საქმეთა სასამართლოს შეუძლია საქმე გადასცეს მეურვეობის საქმეთა მოსამართლეს (*Vormundschaftsrichter*). საუბნო სასამართლოს არასრულწლოვანთა საქმეთა მოსამართლე პირველი ინსტანციით ერთპიროვნულად განიხილავს საქმეებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება მხოლოდ აღმზრდელობითი ან გამოსასწორებელი სახის ზომები, გათვალისწინებული არასრულწლოვანთა საქმეთა სასამართლოს კანონით. ერთპიროვნულად მოსამართლეს უფლება არა აქვს გამოიტანოს განაჩენი თავისუფლების აღკვეთის შესახებ, რომელიც აღემატება ერთ წელს. ყველა საქმე არასრულწლოვანთა კანონდარღვევებზე, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა სასამართლოების კომპეტენციას, მაგრამ კანონქვემდებარეა არასრულწლოვანთა საქმეთა შეფენთა სასამართლოსი (*Jugendshöffengericht*), რომელთა შემადგენლობაში არის პროფესიონალი მოსამართლე და ორი შეფენი.

სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებითძიმე დანაშაულთა საქმეების განხილვა სცილდება არასრულწლოვანთა საქმეთა სასამართლოს კომპეტენციას და ექვემდებარება საერთო იურისდიქციას. არასრულწლოვანთა საქმეებზე მოსამართლეებს, პროკურორებს და შეფენებს უნდა ჰქონდეთ პედაგოგიური კვალიფიკაცია და არასრულწლოვანებთან მუშაობის გამოცდილება.

არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო განხილვა ყოველთვის დახურულ ხასიათს ატარებს. 18-21 წლის ახალგაზრდების მოსმენაც შეიძლება ატარებდეს დახურულ ხასიათს, თუ ეს აღმზრდელობითი მიზნებისათვის არის საჭირო. პირები, რომლებიც ასეთი კანონდამრღვევი ახალგაზრდების აღზრდაზე არიან პასუხისმგებელნი და ის პირები, რომლებიც მათი კანონიერი წარმომადგენლები არიან, ფლობენ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას თავისი აღსაზრდელების მიმართ.

არასრულწლოვანთა საქმეთა სასამართლოს დახმარების სამსახური (*Jugendgerchtshilfe*) სწავლობს ბრალდებულის პიროვნებას, მათი ხასიათის ფორმირებას, მის გარემოცვას და აყალიბებს თავის პოზიციას ბრალდებულის სოციალური და განათლების ინტერესების დასაცავად. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნან ექსპერტები, ისმინება მათი დასკვნები.

2. საფრანგეთის სასამართლო სისტემა⁵

საფრანგეთში არის ორი იურისდიქცია: საერთო სასამართლოების სისტემა და ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა. ეს ორადობა არის თამბაქოს მემკვიდრეობა.

რამდენადაც ყოფილი მონარქიის სამეფო სასამართლოებმა (პარლამენტებმა) მიისაკუთრეს უფლება ჩარეულიყვნენ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ, ფინანსურ და პოლიტიკურ საქმეებშიც კი, რევოლუციამ თავისი სამართლითა თუ არასამართლით გადაწყვიტა ამისთვის ბოლო მოელო. 1790 წლის 16-24 აგვისტოს კანონით სასამართლოებს აკრძალათ იმ დავებში ჩარევა, რომლის მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაცია. ასეთი დავების განსჯა დაევალათ ადმინისტრაციულ სასამართლოებს, ხოლო საერთო სასამართლოები განიხილავდნენ დავებს კერძო პირებს შორის.

გარდა ამისა, განასხვავებენ საერთო სასამართლოებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საერთო კომპეტენციით, და – განსაკუთრებულ სასამართლოებს, ანუ ისეთებს, რომელთა კომპეტენცია შეზღუდულია განსაზღვრული საქმეების წრით.

ადმინისტრაციული სასამართლოები ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა შედგება ადმინისტრაციული ტრიბუნალებისაგან, ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოებისა და სახელმწიფო საბჭოს უმაღლეს დონეზე (მწვერვალზე), რომელიც ისტორიული და იურიდიული მიზეზებით შეიძლება გამოვიდეს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, და როგორც სააპელაციო სასამართლო, რომელიც დღეისათვის შეადგენს მის მთავარ სასამართლო ფუნქციას. იგი წარმოადგენს

⁵ იხ. დანართი №2

პირველი და მეორე ინსტანციას, მაგალითად, რეგლამენტის ხასიათის აქტების კანონიერების საქმეებთან დაკავშირებით ანდა იმ სახელმწიფო მოხელეების კარიერა, რომლებიც დანიშნულები არიან დეკრეტით. გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ, სავალდებულოა ადმინისტრაციებისათვის.

დამთვლელი პალატა – სასამართლო სისტემაში დამთვლელ პალატას განსაკუთრებული ადგილი

უკავია ამ სიტყვის ფართო გაგებით; იგი წარმოადგენს სასამართლოს, რომელიც ამოწმებს საჯარო საფინანსო სამსახურების ანგარიშებს, იმ დროს როცა რეგიონალური დამთვლელი პალატები უფლებამოსილნი არიან განიხილონ ანგარიშები საჯარო წარმონაქმნების და მათ მიერ შექმნილი დაწესებულებების.

დამთვლელი პალატა წარმოადგენს სააპელაციო ინსტანციას იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გამოაქვს რეგიონალურ დამთვლელ პალატებს. დამთვლელი პალატის გადაწყვეტილებების საკასაციო სასამართლოს წარმოადგენს სახელმწიფო საბჭო.

დამთვლელი პალატა შედგება შვიდი პალატისაგან. მისი მუშაობა მიმდინარეობს პირველი თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. მასში პროკურატურა წარმოდგენილია გენერალური პროკურორით, რომელსაც ნიშნავს მთავრობა. იმ წევრების გარდა, რომლებიც დამთვლელი პალატეს მაგისტრატები უცვლენი არიან.

კონფლიქტურ საკითხთა ტრიბუნალი საკონფლიქტო საქმეთა ტრიბუნალი იმყოფება სასამართლო სისტემის ორი განშტოების პირისპირ: განარჩევს დავებს კომპეტენციებზე, რომლებიც აღიძვრება საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ სასამართლოებს შორის, ე.ი. არჩევს საკითხებს იმის შესახებ, ატარებს თუ არა საქმე ადმინისტრაციულ ხასიათს და შესაბამისად უნდა განიხილებოდეს ადმინისტრაციული ტრიბუნალებით, თუ პირიქით, იგი ექვემდებარება საერთო იურისდიქციის სასამართლოებს.

საკონფლიქტო საქმეთა ტრიბუნალებს მიმართავს ან საკასაციო სასამართლო, ან სახელმწიფო საბჭო, როდესაც საქმის მსვლელობის დროს აღიძვრება საკითხი კომპეტენციაზე დაკავშირებული უფლებების გამიჯვნის საკითხებზე. შესაძლოა ამ იურისდიქციებიდან ერთ-ერთის უარყოფა მეორის სასარგებლოდ, ისევე როგორც სიტუაციის დროს, როცა ყოველი მათგანი არ თვლის თავს კომპეტენტურს რათა გაარჩიოს მოცემული საქმე (უარყოფითი კონფლიქტი).

საკონფლიქტო საქმეთა ტრიბუნალს კანონით თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი. ტრიბუნალი შესდგება საკასაციო სასამართლოს ოთხი მრჩველისაგან და ოთხი სახელმწიფო მრჩველისაგან. სრული შემადგენლობით ტრიბუნალი თათბირობს (ტარდება) განსაკუთრებულ შემთხვევებში.

პროკურატურის ფუნქციებს ასრულებს ოთხი სამთავრობო კომისარი, რომლებიც პარიტეტულ საფუძველზე არჩეულნი არიან საკასაციო სასამართლოს გენერალური ადვოკატებიდან ან სახელმწიფო საბჭოს წევრებიდან. ისინი არ წარმოადგენენ სახელმწიფოს თავის გადაწყვეტილებებს მთლიანად დამოუკიდებლად იღებენ.

საერთო იურისდიქციის სასამართლოები

საერთო სასამართლოები – ეს სასამართლოები შედგება დიდი ინსტანციის (181) სასამართლოებისაგან, მცირე ინსტანციის, სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები (33), ორი უმაღლესი სააპელაციო სასამართლო, აზისთა სასამართლოები (99), საკასაციო სასამართლო, რომელიც ფუნქციონირებს პარიზში. ისინი ფუნქციონირებენ იმ საერთო პრინციპების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ მათ საქმიანობას სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალმცოდნეობის ერთიანი პრინციპით, რომელთა ძალისხმევითაც მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეები.

პროკურატურა უმრავლეს სასამართლოებს გააჩნიათ პროკურატურა. იმ დროს, როცა სასამართლო პროცესის მხარეები თავისი ინტერესების დასაცავად თავისი სახელით გამოდიან, პროკურატურა,

რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, არის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი და მოქმედებს საზოგადოების სახელით.

პროკურატურა მოქმედებს გენერალური პროკურორის, გენერალური ადვოკატების და მათი მოადგილეების სახით საკასაციო სასამართლოებში და სააპელაციო სასამართლოებში, რესპუბლიკის პროკურორებისა და მათი მოადგილეების სახით დიდი ინსტანციის სასამართლოებში; ყველა მათგანს გააჩნია სასამართლო სისტემის მაგისტრატების სტატუსი.

პროკურატურა – ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი მხარე სისხლის სამართლის საქმეებში, სწორედ ის აღძრავს და ანხორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, თუ თვით დაზარალებული არ აღძრავს ამ საქმეს. იგი ფლობს ასეთი დევნის განხორციელების მონოპოლიეს, და ასევე ანხორციელებს ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას სასამართლო პოლიტიკაზე, რომელიც ორგანიზაციის მიხედვით დამოკიდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროზე.

მაგისტრატები პროფესიონალი მაგისტრატები (6287 მაგისტრატი), მიუხედავად იმისა, რომ ისინი არიან სახელმწიფოსაგან უფლებამოსილები, სახელმწიფო სამსახურის სფეროში გააჩნიათ დამოუკიდებელი სტატუსი 1958 წლის 22 დეკემბრის კანონის მიღების შემდეგ, რომელიც განსხვავდება სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსისაგან; ეს განპირობებულია ხელისუფლების გაყოფის პრინციპით და სასამართლო ხელისუფლების ხელისუფლების განსაკუთრებული ხასიათით.

მოსამართლეთა კორპუსი მოიცავს მაგისტრატებს – საკასაციო სასამართლოს და პროკურატურის წევრებს, პირველი ინსტანციის სასამართლოსა და ტრიბუნალებს და ცენტრალური ადმინისტრაციის საკადრო თანამშრომლებს, ასევე იუსტიციის აუდიტორებს.

ეს საკონსტიტუციო ორგანო არსებობს 1993 წლიდან ორი დამოუკიდებელი ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგანაც ერთს გააჩნია უფლებამოსილება სასამართლო მაგისტრატების მიმართ, ხოლო მეორეს – პროკურატურის მაგისტრატების მიმართ.

საბჭო შედგება მაგისტრატებისაგან, რომლებიც მათი კოლეგების მიერ არიან არჩეულები (6 მაგისტრატი), ერთი სახელმწიფო მრჩევლისა და პირებისაგან, რომლებსაც ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი (3) და სენატის თავმჯდომარეებით და ნაციონალური კრებით. მაგისტრატების უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მეთაური, ხოლო მის მოადგილეს წარმოადგენს ბეჭდის შემნახველი – იუსტიციის მინისტრე. ამ საბჭოს ქვედანაყოფს ერთდროულად დისციპლინარული ორგანოც წარმოადგენს. როცა ოგო ამგვარად მოქმედებს, მას ხელმძღვანელობს საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.

სპეციალური სასამართლოები სპეციალური სასამართლოების რაოდენობისა და მათი კომპეტენციის გაზრდა იწვევს დიდი ინსტანციის ტრიბუნალის ზოგადი იურისდიქციის სასამართლოების დანაწილებას. მათი არსებობის აზრი განისაზღვრება ან ისტორიით (სავაჭრო ტრიბუნალებით და განსაზღვრული ზომით მცირე ინსტანციის სასამართლო), ან სოციალური სახის მოსაზრებებით (რჩევები შრომითი დავების შესახებ).

სისხლის სამართლის საფეროში თავს იჩენდა ხოლმე განსხვავებები დამნაშავეების პიროვნებისგან დამოკიდებულებით, რამაც გამოიწვია აუცილებლობა უკანასკნელ ხანებში შექმნილიყო ახალი სასამართლო ორგანოები; ამის ყველაზე ნათელი მაგალითია სასამართლოები არასრულწლოვანთა საქმეების შესახებ.

1958 წლის რეფორმამ სპეციალური სპეციალური სასამართლოები გაამარტივა სამოქალაქო სამართლის საქმეების დონეზე. მართლმსაჯულების უმაღლესი პალატების გარდა ყველა ეს სასამართლოები ექვემდებარებიან კონტროლის საკასაციო სასამართლოს მხრიდან.

▪ **დაბალი ინსტანციის ტრიბუნალი საპოლიციო სასამართლო**

ეს ქვემდგომი სასამართლო (ყოფილი მსოფლიო სასამართლო) მოქმედებს როგორც ერთპიროვნული მოსამართლე ყველა პირად და ქონებრივ საკითხებში ფასით 13 ათას ფრანგულ მარკამდე (ამ

შემთხვევაში მისი გადაწყვეტილებები ატარებენ საბოლოო ხასიათს), ხოლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებით სარჩელებზე ფასით 30 ათას ფრანგულ მარკამდე.

სისხლის სამართლის საკითხებში მცირე ინსტანციის სასამართლო, წოდებული სააპელაციო სასამართლოდ, წყვიტავს საქმეებს კანონდარღვევებზე (როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლო), რომლებსაც ეკუთვნის ჯარიმის გადახდა, რომელიც არ აღემატება 10 ათას ფრანგულ მარკას. მცირე ინსტანციის სასამართლოების მუშაობა უზრუნველყოფილია დიდი ინსტანციის ტრიბუნალების მოსამართლეებით.

▪ *სავაჭრო სასამართლოები*

სავაჭრო სასამართლოების (228 სასამართლო) თავისებურება, რომლებიც შუა საუკუნეებიდან ცნობილია როგორც საკონსულო სასამართლოები, მდგომარეობს იმაში, რომ გარდა ელზასისა და ლოტარინგიისა, ისინი მთლიანად შესდგებიან კომერსანტებისაგან, თავისი კოლეგების მიერ არინ არჩეულები საბოლოო ინსტანციაში იმ დავების გადასაწყვეტად (იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი შეფასებულია 13 ათას ფრანგულ მარკამდე), რომლებიც სავაჭრო ოპერაციებს ეხებათ.

ეს სასამართლოები ფლობენ განსაკუთრებულ კომპეტენციას ისეთი კოლექტიური პროცედურებისას, როგორც არის სტატუსის შეცვლა ან სასამართლოები სავაჭრო ამხანაგობების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ასევე დავებზე ამ ამხანაგობებსა და მათ მონაწილეებს შორის დავებზე.

სავაჭრო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება ანალოგიურია დიდი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებისა, კერძოდ გადაწყვეტილებების გამოტანა სასწრაფო რიგითობით. იქ სადაც არ არის სავაჭრო სასამართლო, შესაბამის საქმეებს წყვიტავს დიდი ინსტანციების სასამართლო.

დავები სათავსების არენდებზე კომერციული გამოყენებისათვის წყდება სავაჭრო სასამართლოებში, ხოლო მოთხოვნის საგანთან დამოკიდებულებით – ან დიდი ინსტანციის სასამართლოებში ან მისი თავმჯდომარის მიერ.

რაც შეეხება დავებს, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის დანიშნულების მიწების არენდასთან, მათ განიხილავს სოფლის მეურნეობის მიწების არენდის პარიტეტული სასამართლოები (413 სასამართლო); ასეთი სასამართლო შედგება თავმჯდომარის (მას წარმოადგენს მცირე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე) და 4 მსაჯულისაგან, რომელთაგანაც ორი არის არენდის გამცემი (გამქირავებელი) და ორი არის არენდანი (დამქირავებელი).

▪ *სოციალური საკითხების სასამართლოები*

იმ დროს, როცა სავაჭრო სასამართლოების შექმნა პასუხობს დავების იდეას პროფესიონალებს შორის, XIX საუკუნეში სოციალური საკითხების გაჩენამ, უმთავრესად მიგვიყვანა მოსამართლეებსა და დამქირავებლების წარმომადგენლებს შორის პარიტეტული შემრიგებლობის იდეამდე; ასე გაჩნდნენ პრუდომოვის საბჭოები, ასე უწოდებდნენ სოციალური საკითხების სასამართლოებს (ეხლა 270 სასამართლო).

პრუდომოვის საბჭოები პარიტეტულ საწყისებზე (საფუძვლებზე) შესდგებიან არჩეული წევრებიდან (ორი დამქირავებელი და ორი მოსამსახურე), ასევე, საბჭოების შემთხვევაში, მცირე ინსტანციის მოსამართლისაგან, რათა აცილებულ იქნას ხმათა თანაფარდობა.

ისინი უფლებამოსილების არიან გადაწყვიტონ ისეთი ინდივიდუალური დავები, რომლებიც შეიძლება აღიძვრას შრომით ხელშეკრულებებთან, ან საწარმოებში სამეურვეო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიეკუთვნება სამეურნეო საქმიანობის დარგებს, რომლებიც გათვალისწინებულია დამფუძნებელ დეკრეტში. პრუდომოვის საბჭოებთან და ყოველ მის პროფესიულ სექციებში მოქმედებს გამოყენების ბიუროები, რომლებშიც დავების საქმის წინასწარი განხილვა აუცილებელია, ასევე ბიუროები სასამართლო ფუნქციებით, და ასევე ყველა სექციებისთვის სასწრაფო გადაწყვეტილებების გამოტანის საერთო ორგანო.

ამავე იდეიდან გამომდინარე, სოციალური საკითხების სასამართლოში განსახილველად გადაეცემა საერთო საკითხებში სოციალური უზრუნველყოფის წევრობა, აზრთა სხვადასხვაობები. ასეთ შემთხვევებში განხილვა ტარდება განსაკუთრებულ კოლეგიებში (116 კოლეგია), რომლებიც მოქმედებენ თავმჯდომარის, დიდი ინსტანციის ტრიბუნალის მოსამართლის და ასესორი მსაჯულების შემადგენლობით, რომლებიც წარმოადგენენ დაინტერესებულ კატეგორიებს – მოსამართლეები და დამჭირაველები ან მხოლოდ დაინტერესებული მოსამსახურეები არიან.

▪ *საზღვაო სავაჭრო სასამართლოები*

ეს სასამართლოები (5 სასამართლო) მოქმედებენ დრო და დრო საზღვაო უწყისის ჩანაწერების მიხედვით; მათი ამოცანა არის – საზღვაო-სანაოსნო ვაჭრობის სფეროში ზოგიერთი სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევების განხილვა.

▪ *სამხედრო იუსტიცია*

სამხედრო იუსტიციის ორგანიზაცია საკმარისად რთულია, დამოკიდებულია და იცვლება ომისა და მშვიდობის პერიოდების მიხედვით.

შეიარაღებული ძალების სასამართლოები მოქმედებენ მხოლოდ ომის დროს, როდესაც ისინი განიხილავენ სამხედრო იუსტიციის კოდექსის დარღვევებს ან საერთო სისხლის სამართლის დანაშაულებს, რომლებსაც ჩადიან სამხედრო მოსამსახურეები ან მათთან გათანასწორებული პირები. გარდა ამისა, არსებობენ სამხედრო სასამართლოები იმ კანონდარღვევების საქმეების განსახილველად, რომლებსაც ჩადიან უცხოეთში განთავსებული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები.

მშვიდობიანობის დროს კანონდარღვევები და სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლებსაც ჩადიან სამხედრო მოსამსახურეები, სამართალქვემდებარენი არიან საერთო იურისდიქციის სისხლის სამართლის სასამართლოები, რომლებიც შედგებიან მაგისტრატებისაგან – სამხედრო საქმის სპეციალისტებისაგან.

▪ *პოლიტიკური იუსტიცია: მართლმსაჯულების უმაღლესი პალატა და რესპუბლიკის მართლმსაჯულების პალატა*

მართლმსაჯულების მაღალ პალატას გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია გაასამართლოს რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფოს ღალატის შემთხვევაში. იგი შედგება მხოლოდ პარლამენტარებისაგან, რომლებსაც ირჩევენ მათი კოლეგები.

რესპუბლიკის მართლმსაჯულების პალატა, დაფუძნებული 1993 წელს საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ასევე წარმოადგენს პოლიტიკურ სასამართლოს. იგი ასამართლებს მთავრობის წევრებს იმ დანაშაულებზე და სამართალდარღვევებზე, რომლებიც მათ ჩაიდინეს თავიანთი მოვალეობების შესასრულების დროს.

პალატა შედგება 15 მოსამართლისაგან, რომელთაგან 12 პარლამენტარია და რომლებიც თანაბრად არიან არჩეულები სენატისა და ნაციონალური შეკრებებისაგან, და 3 არის საკასაციო სასამართლოს წევრი.

პროკურატურა ამ ორ სასამართლოში წარმოდგენილია საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორით.

3. ლიტვის სასამართლო სისტემა⁶

ზოგადი დებულებები (1999 წლის 4 ივნისის მონაცემები) ლიტვის რესპუბლიკის მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოებით და რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეები და სასამართლოები დამოუკიდებელნი არიან.⁷

⁶ იხ. დანართი №3.
⁷ 1992 წლის კონსტიტუცია.

საერთო იურისდიქციის სასამართლოებს წარმოადგენენ: ლიტვის უმაღლესი სასამართლო, ლიტვის სააპელაციო სასამართლო, ხუთი სამაზრო (apegandu) სასამართლოსა და 54 საოლქო (apelinkiu) სასამართლოსაგან. 1999 წლის 1 მაისიდან დაწესებული იყო სპეციალიზირებული სასამართლოები ადმინისტრაციული საქმეების გამოძიებისათვის. ორი საფეხურის საადმინისტრაციო სასამართლოები შეიცავენ ხუთ სამაზრო ადმინისტრაციულ სასამართლოს, უმაღლეს ადმინისტრაციულ და ლიტვის ადმინისტრაციული საქმეების სააპელაციო სასამართლოს განყოფილებას.

საკონსტიტუციო სასამართლო დაფუძნდა 1992 წლის კონსტიტუციის შესაბამისად 1994 წელს.

საკონსტიტუციო სასამართლო არ შედის ლიტვის სასამართლო სისტემაში. მისი სტატუსი, ყველა უფლებამოსილების განხორციელება განისაზღვრება ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით (1993 წელი).

იგი შედგება ცხრა მოსამართლისაგან, რომლებიც ინიშნებიან ცხრა წლით და მხოლოდ უფლებამოსილების ერთი ვადით. მისი შემადგენლობის განაწილება ხდება ერთი მესამედით ყოველ სამ წელიწადში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თავისი მოვალეობის შესრულებისას არ არიან დამოკიდებულნი არანაირ სახელმწიფო დაწესებულებაზე, არც ერთ პიროვნებასა და არც ერთ ორგანიზაციაზე და ხელმძღვანელობენ მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციით.

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს კონსტიტუციის კანონების შესაბამისად და სეიმის (პარლამენტის) სხვა აქტების და რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის აქტების შესაბამისად. ამას გარდა, მას დადგენილება გამოაქვს იმის შესახებ, იყო თუ არა კანონების დარღვევა რესპუბლიკის პრეზიდენტისა ან სეიმის წევრების არჩევის დროს; აძლევს თუ არა ჯანმრთელობა რესპუბლიკის პრეზიდენტს შეასრულოს შემდგომში თავისი მოვალეობები; წინააღმდეგობაში ხომ არ შედის კონსტიტუციასთან ლიტვის რესპუბლიკის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები; და წინააღმდეგობაში ხომ არ შედის კონსტიტუციასთან სეიმის წევრების ან მთავრობის თანამდებობის პირების კონკრეტული მოქმედებები, რომელთა მიმართაც აღძრულია საქმე დანაშაულის ჩადენის შესახებ.

იმ შემთხვევებში, როცა შეიძლება ჩათვალოს, რომ კანონი ან ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ნებისმიერი სასამართლოს მოსამართლე დროებით აჩერებს საქმის გამოძიებას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს შუამდგომლობით განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას ეს კანონი ან ნორმატიული აქტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკითხებში, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად მიეკუთვნება მის კომპეტენციას, წარმოადგენს საბოლოოს და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

4. საქართველოს სასამართლო სისტემა⁸

საქართველოს სასამართლო სისტემის მოწყობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 34 აგვისტო), ორგანული კანონი – „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ (1996 წლის 31 იანვარი), ორგანული კანონი – „საერთო სასამართლოების შესახებ“ (1997 წლის 31 ივნისი) და ორგანული კანონი – „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ (1999 წლის 15 მაისი).

სასამართლო სისტემაში შედის: საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოა; საერთო სასამართლოები კი ახორციელებენ მართლმსაჯულებას. მათ მიეკუთვნება: რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო.

⁸ იხ. დანართი №4

სამხედრო სასამართლოები შეიძლება შეიქმნას საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში, საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების დაარსება კი დაუშვებელია.⁹

სასამართლო სისტემაში შემავალი სასამართლოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კომპეტენციის მოცულობით. ამიტომ მირებულია მათი დაყოფა რგოლებად. სასამართლო სისტემის პირველ და ძირითად რგოლს წარმოადგენს

რაიონული (საქალაქო) სასამართლო; საშუალოს – საოლქო სასამართლო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები; უმაღლესს – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკულად საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო შემოღებულ იქნა 1995 წლის კონსტიტუციის შესაბამისად. საკონსტიტუციო სასამართლო ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაში შედის საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი. კოლეგიების შემადგენლობა მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლო ოთხ-ოთხ წევრს. ამ შემადგენლობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს პლენუმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა. იგი ასევე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

საერთო იურისდიქციის სასამართლოები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო – რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით რაიონში, ქალაქსა და ქალაქის რაიონში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის საბჭოს წარდგინებით. მოსამართლეთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ორზე ნაკლები. თუ ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა საქმეებს. თუ სასამართლოში ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს მათი უფრო ვიწრო სპეციალიზაცია.¹⁰

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში თავმჯდომარეს ამ სასამართლოს მოსამართლეთაგან 5 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა, თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.¹¹

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია პირადად განიხილოს საქმეები, უხელმძღვანელოს სასამართლო აპარატს. იგი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლოს აპარატის მოხელეებსა და სხვა თანამშრომლებს, შეუფარდებს მათ დისციპლინარულ სახდელებს, ანაწილებს განსაზღვრულად რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს, ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას, იღებს მოქალაქეებს და უზ-

⁹ კონსტიტუციის 83-ე მუხლი

¹⁰ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.

¹¹ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეებს თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოს წარდგინებით აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

რუნველყოფს მათი განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების დროულ განხილვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის, მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და ამ მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის საბჭოს, ასევე ასრულებს კანონით გათვალისწინებული სხვა მოვალეობებს.

თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოში ორი მოსამართლეა, სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ამ სასამართლოს მეორე მოსამართლე, ხოლო თუ ორზე მეტი მოსამართლეა, მაშინ მის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს ამ სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო ასეთი დავალების არარსებობისას – ის მოსამართლე, რომელსაც აქვს მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოა, სადაც ყველა საქმე განიხილება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ კანონით დადგენილი წესით.¹²

საოლქო სასამართლო – საქართველოს საოლქო სასამართლოებია თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები, რომელთა სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში შექმნილია შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები წარმოადგენენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლო ორგანოთა უმაღლეს რგოლს. ზედამხედველობენ მართლმსაჯულების განხორციელებას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მოადგილეები და მოსამართლეები. მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო – საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოა. მის სათავეში დგას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. თავმჯდომარესა და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 10 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ სამხედრო სასამართლოებს. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განმარტავს, რომ: „სამხედრო სასამართლოები შეიძლება შეიქმნას საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში“.

რაც შეეხება სპეციალურ ან საგანგებო სასამართლოებს, საქართველოს კონსტიტუცია¹³ და საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“¹⁴ ნათლად აცალიბებს, რომ: „საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია“.

III. დასკვნა

თუ გადავხედავთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოთა საქმიანობას, შევამჩნევთ, რომ დანერგულია წინასწარ-პრევენციული და შემდგომი კონტროლის ფორმები.

¹² ორგანული კანონი – „საერთო სასამართლოების შესახებ“ – მუხლი 15.

¹³ მუხლი 83.4.

¹⁴ მუხლი 2.4.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კი აღნიშნული კონტროლის ფორმა, ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმეები, საკონსტიტუციო სარჩელის ან საკონსტიტუციო წარდგინების შემოტანის საფუძველზე, თვითონ კი ეკრძალება არა მარტო საქმეში ჩარევა, არამედ თავისი ინიციატივით სარჩელის აღძვრაც.

გერმანიაში მიწის სასამართლოების არსებობა განპირობებულია ამ სახელმწიფოს ტერიტორიალური მოწყობით. იგი ფედერაციული სახელმწიფოა და მის ფედერალურ ერთეულებს წარმოადგენენ ავტონომიური სახელმწიფოები, რომლებიც მიწებად იწოდებიან. მათი ჩამონათვალი კი კონსტიტუციის პრეამბულაშია მოცემული.

საინტერესოა, საფრანგეთის სასამართლო სისტემაში სპეციალური სასამართლოების მრავალფეროვნება. აქ ვხვდებით საპოლიციო სასამართლოს, სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, საზღვაო სავაჭრო სასამართლოებს, სამხედრო იუსტიციას და პოლიტიკურ იუსტიციას.

აქვე აღსანიშნავია, კონფლიქტების საქმეთა ტრიბუნალი, რომელიც იმყოფება სასამართლო სისტემის ორი განშტოების პირისპირ: განარჩევს დავებს კომპეტენციებზე, რომლებიც აღიძვრება საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ სასამართლოებს შორის, ე.ი. არჩევს საკითხს იმის შესახებ, ატარებს თუ არა საქმე ადმინისტრაციულ ხასიათს და შესაბამისად უნდა განიხილებოდეს ადმინისტრაციული ტრიბუნალებით, თუ პირიქით, იგი ექვემდებარება საერთო იურისდიქციის სასამართლოებს.

იტალიის სახელმწიფოს საერთო იურისდიქციის მოღვაწეობა ხორციელდება სასამართლო კორპუსის მაგისტრატებით. იგი განსაზღვრულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალწარმოების ნორმებით. ესენია: 1) ადმინისტრაციული იუსტიცია, რომელიც შედგება რეგიონალური ადმინისტრაციული სასამართლოებისა და სახელმწიფო საბჭოსაგან; 2) საჯარო ანგარიშგების საკითხებთან დაკავშირებული იურისდიქცია, რომელიც ხორციელდება დამთვლელი პალატის მიერ; 3) სამხედრო საკითხების იურისდიქცია, რომელიც ხორციელდება სამხედრო ტრიბუნალების მიერ; 4) საგადასახადო საკითხთა იურისდიქცია, რომლის ორგანიზაციაა საგადასახადო საკითხთა პროვინციული და რაიონული კომისიები.

ყურადღებას იპყრობს ლიტვის საოლქო სასამართლოები. იგი წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც განიხილავს: სამოქალაქო საქმეებს; სისხლის სამართლის საქმეებს; საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან; საქმეებს, რომელიც ეხება განაჩენების შესრულებას; გადაწყვეტილებებს, რომელიც ეხება კანონით გათვალისწინებული იძულებითი ზომების მიღებას და საქმეებს, რომელიც ეხება გამომძიებელზე ან პროკურორებზე საჩივრებს.


საქართველოში კი როგორც საგანგებო, ასევე სპეციალური სასამართლოების შექმნა კანონმდებლობით იკრძალება. საქართველოს კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ სამხედრო სასამართლოებს

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სასამართლო სისტემების დახასიათებისას ყურადღებას იქცევენ სპეციალური სასამართლოები, რომელთა იურისდიქცია უფრო კონკრეტიზირებულია, საქართველოში კი მსგავსი რამ კანონით არის აკრძალული.

ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, საქართველოშიც შექმნილიყო მსგავსი ხასიათის სპეციალური სასამართლოები, ჩემი აზრით, კი ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი არასრულწლოვანთა საქმეთა სასამართლოა. ალბათ არასრულწლოვან დამნაშავეებს დიდი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოდ.


დანართი №1

ბერმანის სასამართლო სისტემა




დანართი №2

საზღვრის სასამართლო სისტემა




დანართი №3

ლიტვის სასამართლო სისტემის მოწყობა



დანართი №4

საქართველოს სასამართლო სისტემის მოწყობა



სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის შედარებითი ანალიზი

ამჟამად კავკასიის რეგიონი აქტიურად მონაწილეობს ისეთ საერთაშორისო პროექტებსა თუ ხელშეკრულებებში, რომლებიც ეხება როგორც ცალკეული ქვეყნების გეოპოლიტიკური უსაფრთხოების საკითხებს, ისე მდგრად განვითარებას. კავკასიაში ღერძული, წამყვანი ადგილი უკავია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, რომლებიც ერთმანეთს არაერთი ურთიერთდაკავშირებული პრობლემით (ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვ.) და ისტორიული განვითარების თავისებურებებით ემსგავსებიან.

მდგრადი განვითარება რეგიონის არა მარტო სტაბილური პოლიტიკური ან სოციალურ-ეკონომიური ვითარების, არამედ ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებასაც გულისხმობს. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საერთაშორისო ხელშეკრულებებში აქტიური მონაწილეობის დონე მოითხოვს ადგილობრივი კანონმდებლობის სპეციფიკურ გარდაქმნას, რითაც საშუალება მიეცემათ მაქსიმალურად დაუახლოვდნენ ერთმანეთს როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგრადი ეკოლოგიური განვითარების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული იმგვარ სამართლებრივ ფორმებთან, რომლებიც სრულად გაითვალისწინებენ რეგიონის სპეციფიკას, რაც უპირველეს ყოვლისა, მთიანი ტერიტორიების ეკოლოგიურ თავისებურებებთანაა დაკავშირებული.

საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის ნორმების გათვალისწინება, მისი ანალიზი არის როგორც აქტუალური სამეცნიერო ამოცანა, ისე სრულფასოვანი დარგი ნებისმიერი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. მისი ანალიზისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ ქვეყნის ეკოლოგიური სამართლის როგორც ზოგადი, ისე შემადგენელი ერთეულები (მიწის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ტყის და სხვ.) თავისებურებანი. მეორეს მხრივ, ეკოლოგიური სამართალი ერთიან სამართლებრივ სივრცეში რეგულირდება საზოგადოებრივ-ეკოლოგიური ურთიერთობების ნორმებით, რომლებიც გაბნეულია სამართლის სხვადასხვა დარგებში, (მაგ: სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციულ სამართალში და ა.შ.).

თავის მხრივ ცალკეული ქვეყნების ეკოლოგიური სამართალი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების მრავალ ფორმას, ბუნებრივი რესურსების გამოყენების თავისებურებებს, მდგრად ეკოლოგიურ განვითარებას და ბუნებრივი გარემოს დაცვას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამედროვე ეკოლოგიური სამართლის საფუძველი გარკვეულწილად ერთგვაროვანია – 1991 წლამდე საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთი ქვეყნის ნაწილებს წარმოადგენდნენ – გააჩნდათ ეკოლოგიური სამართლის საერთო ნორმები, ხორციელდებოდა ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა დაიწყეს დამოუკიდებელი პოლიტიკური განვითარება, რასაც, ეკოლოგიური სამართლის ახალი ნორმების შემუშავება და გარემოს დაცვისა და გამოყენების მიმართებით დამოუკიდებელი, ეროვნული პოლიტიკის გატარება მოჰყვა.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიური სამართლის საკანონმდებლო რეფორმას, მათ მაქსიმალურ მიახლოებას ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან (Сближение ...,2002), ინტეგრაციას ევროპულ ეკოლოგიურ სამართალში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში შედგება ეროვნული კონსტიტუციების, საერთაშორისო ეკოლოგიური ხელშეკრულებების, ძირითადი და დარგობრივი ეკოლოგიური კანონებისაგან.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სულ რატიფიცირებულია 15 სახის საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენცია, მათ შორის: საქართველოში – 12, აზერბაიჯანში – 13, სომხეთში – 10 (Окружающая среда ..., 2003). საინტერესოა, რომ რატიფიცირებულ კონვენციათა შორის მხოლოდ რვაა ისეთი, რომლებიც ერთდროულადაა აღიარებული სამივე სახელმწიფოს მიერ (ბაზელის 1989 წლის, ვენის 1985 წ. რიო-დე-ჟანეიროს 1993 წ. რამსარის 1971 წ. ჟენევის 1979 წ. პარიზის 1994 წ. ორხუსის 1998 წ. ნიუ-იორკის 1992 წ.). ორ-ორი ერთგვაროვანი კონვენცია რატიფიცირებულია საქართველო-აზერბაიჯანისა და აზერბაიჯან-სომხეთის მიერ, კიდევ ორი მხოლოდ საქართველოს, ხოლო ერთი – მხოლოდ აზერბაიჯანის მიერ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღემდე არაა რატიფიცირებული კონვენციები მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (ასევეა სომხეთშიც), ტრანსსასაზღვრო წყლის რესურსებისა დაცვისა და გამოყენების, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების შესახებ. სომხეთში არაა რატიფიცირებული განსაკუთრებული რეგიონული მნიშვნელობის ბონის (მიგრირებადი ველური ცხოველების დაცვის შესახებ) და ვაშინგტონის (ველური ბუნების ფაუნისა და ფლორის იმ სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, რომლებიც გადაშენების საფრთხის წინაშე იმყოფებიან) კონვენციები.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციების რატიფიკაცია საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო (აზერბაიჯანში – 1991 წელს, საქართველოში – 1992 წელს, სომხეთში – 1993 წელს). განსაკუთრებული აქტიურობით საქართველო და სომხეთი გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში (საქართველოში 1996 წელს რატიფიცირებულ იქნა 5 კონვენცია, ხოლო სომხეთში 1997 წელს – 4 კონვენცია), აზერბაიჯანი კი საუკუნის ბოლოს (მათი ძირითადი ნაწილი აქ რატიფიცირებულ იქნა 1998-2000 წლებში) გამოირჩეოდა.

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საერთაშორისო გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან მიმართებაში არაერთი პრობლემა არსებობს, რომელთაგან ძირითადია: ათეულობით საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოლოგიური კონვენციის (სულ მსოფლიოში ამგვარი 220-ია) დროული რატიფიცირება, საერთაშორისო საკანონმდებლო სივრცეში ერთობლივი ინტეგრაცია და რეგიონული მნიშვნელობის კონვენციათა მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების განსაზღვრა.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რატიფიცირებულია რვა საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენცია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

1989 წელს **ბაზელში** ხელი მოეწერა კონვენციას „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“. აღნიშნული კონვენციის მხარე სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება აკრძალოს სხვა სახელმწიფოს სახიფათო ან სხვა სახის ნარჩენების შეტანა ან განთავსება თავის ტერიტორიაზე (საქართველო . . . , 2002). კონვენციის მხარე სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება აკრძალოს სხვა სახელმწიფოს ეკოლოგიურად სახიფათო ნარჩენების შეტანა თავის ტერიტორიაზე, რისთვისაც იგი ასევე ვალდებულია მინიმუმამდე შეამციროს ამგვარი ნარჩენების წარმოება. ბაზელის კონვენციას საქართველო და სომხეთი 1999 წელს შეუერთდა, ხოლო აზერბაიჯანი – 2001 წელს.

1993 წელს **რიო-დე-ჟანეიროში** მიღებულ იქნა კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ. მას სომხეთი შეუერთდა იმავე წელს, საქართველო – 1994, ხოლო აზერბაიჯანი – 2000 წელს. კონვენციის ყველა მხარე ვალდებული და პასუხისმგებელია ბიომრავალფეროვნების დაცვასა და რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე, ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაზე, მონიტორინგზე, საერთაშორისო ინტეგრაციაზე, დაცული ტერიტორიების ერთიანი სისტემების შექმნაზე და სხვ.

ვენის კონვენციას ოზონის შრის დაცვის შესახებ, რომელიც შეიქმნა 1985 წელს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შეუერთდნენ 1996-1999 წლებში. კონვენციის მიხედვით მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ადამიანის ჯანმრთელობა და გარემო იმგვარი საქმიანობისაგან, რომელსაც შეუძლია

გამოიწვიოს ოზონის შრის სახეცვლა, სისტემატურად ითანამშრომლონ შეთანხმებული ზომების, პროცედურებისა და სტანდარტების მისაღებად და სხვ.

1993 წელს სომხეთი, 1997 წელს – საქართველო, ხოლო 2000 წელს აზერბაიჯანი მიუერთდა **რამსარის** – საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების დაცვის კონვენციას. ონვენციის მიხედვით, ამგვარი ტერიტორიების, მათი ფლორისა და ფაუნის დაცვა შესაძლებელია შორს გათვლილი ეროვნული პოლიტიკისა და კოორდინირებულ საერთაშორისო ქმედებათა ურთიერთშეთანხმების შედეგად. მონაწილე მხარეები, კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების მიზნით, მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებულად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ჭარბტენიანი ტერიტორია სცილდება ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიას, ან როდესაც წყლის სისტემა წარმოადგენს საზღვარს.

გაეროს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ მიღებულ იქნა პარიზში 1994 წელს. მხარეები არიდულ რაიონებში და ისეთ ტერიტორიებზე, სადაც აქტიურად მიმდინარეობს გაუდაბნობების და გაუდაბურების პროცესები, ვალდებული არიან შეიმუშაონ იმგვარი პროგრამები, რომლებიც შიდა რეგიონულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე უზრუნველყოფენ პრობლემის ეფექტურ გადაჭრას. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ძალზედ აქტუალურ კონვენციას საქართველო 1996 წელს, სომხეთი – 1997, ხოლო აზერბაიჯანი – 1998 წელს შეუერთდა.

გარდა საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობებისა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, საერთო ჯამში, მიღებულია სამ ათეულზე მეტი ეროვნული ეკოლოგიური ხასიათის კანონი, აგრეთვე ძირითადი კანონი **„გარემოს დაცვის შესახებ“** (იგი სომხეთში ცნობილია „ გარემოს დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების“ სახელწოდებით). მას საერთაშორისო ხელშეკრულებების შემდეგ, გარემოს დაცვის სფეროში, სამართლებრივად ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი საქართველოში მიღებულია 1996 წელს, სომხეთში – 1991, ხოლო აზერბაიჯანში – 1999 წელს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ძირითადი ეკოლოგიური კანონის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა ძირითადი პრინციპები და ნორმები, დაცულ იქნას გარემოს გამოყენების სფეროში კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, შენარჩუნებულ იქნას ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ქვეყნისათვის დამახასიათებელი, იშვიათი, ენდემური, საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობები, ეკოლოგიური წონასწორობა, თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები, სამართლებრივად უზრუნველყოფილ იქნას გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრა, ქვეყნის მდგრადი განვითარება და სხვ.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გარემოსდაცვითი საქმიანობისას და ბუნებრივი რესურსების გამოყენების დაგეგმვისას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ შემდეგი იდენტური პრინციპებით: ეკოლოგიური რისკის შემცირების, მდგრადი განვითარების, პრიორიტეტულობის, ფასიანი ბუნებათსარგებლობის, პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ნარჩენების მინიმუმაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ძირითად ეკოლოგიურ კანონებში, არის განსხვავებანიც. მაგალითად. საქართველოს კანონში « გარემოს დაცვის შესახებ » განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა განათლება და სამეცნიერო კვლევა, გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვა, ეკონომიკური მექანიზმები, ლიცენზირება, გარემოს დაცვის ნორმები, ეკოლოგიური მოთხოვნები ნარჩენებისადმი, გარემოსდაცვითი მოთხოვნები საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას, საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობა, ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა, დაცული

ტერიტორიები, გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონალური მართვა, საერთაშორისო თანამშრომლობა დაცვის სფეროში, პასუხისმგებლობა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისათვის და სხვ. მიღებულია, რომ ეკოლოგიური სამართლის ნორმატიული აქტები თუ კანონები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის უმაღლეს კანონს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს და კანონს «გარემოს დაცვის შესახებ». განსაზღვრულია ის ზოგადი ნორმები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის სამართალს გარემოს დაცვის სფეროში.

სომხეთში „გარემოს დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებით“ განსაზღვრულია გარემოს დაცვითი პოლიტიკა, და ეკოლოგიური საკანონმდებლო ბაზა. ამ კანონის V თავში ნათქვამია, რომ ყველა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმა გარემოს დაცვის სფეროში უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. აღნიშნული მუხლი საქართველოს ძირითად ეკოლოგიურ კანონშიც გვხვდება, რაც ამ ქვეყნების ეკოლოგიური პოლიტიკის მსგავსებაზე მიუთითებს. საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთის ძირითად ეკოლოგიურ კანონში განხილულია ბუნების ყველა ობიექტი. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მიწის და ჰაერის დაცვას, ჩამოყალიბებულია წყლის, ტყის, ცხოველთა სამყაროს, დაცული ტერიტორიების, განადგურების პირას მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვის ზოგადი პრინციპები. კანონის მიხედვით, ყოველი ნორმატიული აქტი გარემოს დაცვის სფეროში უნდა ექვემდებარებოდეს სომხეთის გარემოს დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებს.

აზერბაიჯანი ზემოთხსენებული ქვეყნების მსგავსად ცდილობს მოახდინოს თავისი ეკოლოგიური სამართლის ინტეგრაცია ევროპულ ეკოლოგიურ სივრცეში. აზერბაიჯანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. იგი ამჟამად გაწევრიანებული 13 საერთაშორისო ეკოლოგიურ კონვენციაში, რაც საქართველოსთან და სომხეთთან შედარებით მეტია. აზერბაიჯანი საქართველოსგან განსხვავებით გაწევრიანებულია „ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციაში“ რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ამ ვარი მემკვიდრეობით გამორჩეული რეგიონისთვის. ძალზედ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აზერბაიჯანის ძირითადი კანონი გარემოს დაცვის შესახებ აღიარებს საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობას ადგილობრივ კანონებთან მიმართებაში. მასში დეტალურადაა წარმოჩენილი სახელმწიფოს ვალდებულებები გარემოს დაცვის სფეროში – სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ახორციელებს კონტროლს გარემოს, ფლორისა და ფაუნის დაცვაზე, აღდგენასა და სარგებლობაზე. კანონით განისაზღვრება უფლება და წესები გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რაც ასევე განასხვავებს მას სომხეთისა და საქართველოსგან.

არც სომხეთსა და არც საქართველოს ძირითად ეკოლოგიურ კანონში არაა ისე დეტალურად განხილული მოსახლეობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლება-ვალდებულებები, როგორც აზერბაიჯანის შესაბამის კანონში – მხოლოდ აქაა ხაზგასმული, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულია დიცვას გარემო, რომ მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს კომპენსაცია ზარალისათვის, რომელიც ეკოლოგიური სამართლის ნორმების დარღვევით მიადგა. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის ეკოლოგიური კანონმდებლობით ასევე დეტალურადაა განსაზღვრული: სახელმწიფოს, იურიდიულ და ფიზიკური პირების უფლება-ვალდებულებები გარემოსდაცვითი საქმიანობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში, ინდივიდუალური ბუნებათსარგებლობის გარემოს დაცვის ეკონომიკური რეგულირების, გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მექანიზმები და სხვა. აქვე დაწვრილებით ჩამოთვლილია ის მოთხოვნები, რასაც სახელმწიფო უყენებს სოფლის მეურნეობას და მეურნეობის სხვა დარგებს ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, აზერბაიჯანის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ ბევრად უფრო სრულყოფილი და სპეციპიკურია, ვიდრე რომელიმე მისი „კავკასიელი“ მეზობლის ანალოგიური კანონი.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 36 ეროვნული (დარგობრივი) ეკოლოგიური კანონი, და კოდექსია მიღებული. საქართველოსა და სომხეთში 19, აზერბაიჯანში – 17-ია. ზოგიერთი (მაგ., წყლის, ცხოველთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წიაღის, დაცული ტერიტორიების შესახებ, სატყეო კოდექსი) სამივე ქვეყანაშია მიღებული, თითო-ბირთვული და რადიაციული უსაფრთ-

ხოების, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ – შესაბამისად მხოლოდ აზერბაიჯანსა და საქართველოში, საქართველოსა და სომხეთში. ორი კანონი (მიწის კოდექსი და ფლორის დაცვის შესახებ) მხოლოდ აზერბაიჯანსა და სომხეთშია მიღებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკოლოგიურ სამართალში არ გვხვდება ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორცაა სომხეთში 2001-2002 წლებში მიღებული კანონები მოსახლეობის ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის, გარემოს დაცვითი და ბუნებათსარგებლობის გადასახადის, სეისმური უსაფრთხოების შესახებ და სხვ. ამგვარი ვითარება გარკვეულ წილად მეტყველებს ამ ქვეყნებში უკანასკნელ წლებში არსებულ კანონშემოქმედებით კრიზისზე, მათ ნაკლებ დაინტერესებაზე გარემოს დაცვითი პრობლემატიკისადმი. მეორეს მხრივ, სომხეთში და ნაწილობრივ საქართველოში არაა მიღებული კანონები შხამქიმიკატების, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ნიადაგის ნაყოფიერების, წყლით უზრუნველყოფისა და ჩამონადენის, საწარმოო საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესახებ და სხვ. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარება იქმნება კანონის ”ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ” არ ქონით, რადგან ორივე ქვეყანა მცირე მიწიანობით და აქტიური ეროზიული პროცესებით ხასიათდება (საქართველოს გარემოს.....,2000).

ამგვარად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკოლოგიური სამართლის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მაქსიმალურად მცირე დროში საჭიროა:

- რეგიონული და საერთაშორისო კანონმდებლობების დაახლოების მეთოდოლოგიური პრინციპების განსაზღვრა,
- მაქსიმალურად დაახლოებული საკანონმდებლო სივრცის ჩამოყალიბება;
- დარგობრივი ეკოლოგიური სამართლის სტანდარტებისა და ნორმატივების სისტემატიზაცია – და ინტეგრაცია;
- მთიანი ქვეყნების ეკოლოგიურ პრობლემატიკაზე სამართლებრივი ორიენტაცია,
- ეკოლოგიური სამართლის პოპულარიზაცია, მაქსიმალური გამარტივება და სხვ. ლევიონალური თვალსაზრისით, ძალზედ მნიშვნელოვანია რუსეთის ეკოლოგიური სამართლის ინტეგრაცია სამხრეთ კავკასიის შესაბამის საკანონმდებლო სივრცეში, რითიც მაქსიმალურად მიიღწევა საერთო ეკოლოგიური საკანონმდებლო სივრცის ძღვრადი ეკოლოგიური განვითარება

კავკასიის ქვეყნების ეკოლოგიური სამართლის დეტალური შესწავლა და შედარებითი ანალიზი, მათი დაახლოება და ინტეგრაცია, აქტუალური სამეცნიერო ამოცანაა, რომლის დროული გადაწყვეტასაც უდიდესი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

ტერორიზმის მრავალფეროვნება კმსარიების სექტიდან გამოსვლა

*„ტერორიზმი ამინდით არის-
ველა მასზე საუბრობს, მაგრამ
ვერავინ ვერაფერს ვერ ცვლის“.*

რ. ფრინდელი

ტერორიზმის ისტორია სეკარიების სექტის ტერორისტული აქტებით დაიწყო და დღემდე გრძელდება. დანით, ხანჯალთა და თვითნაკეთი ბომბებით შეიარაღებული ტერორისტები დღეს თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით არიან აღჭურვილი. ტერორიზმის ტრანსნაციონალურმა ხასიათმა და მისი მასშტაბების ზრდამ, სახელმწიფოებს აიძულა კონსოლიდაცია მოეხდინათ თავიანთი ძალებისათვის ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სისტემის შესაქმნელად. XXI საუკუნის ტერორიზმი უფრო მძლავრი, მობილური, სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა.

მრავალრიცხოვანი ტერორისტული ჯგუფების პარალელურად მოქმედებენ დაქსაქსული მობილური პატარა ჯგუფები. თანამედროვე ტერორისტები გამოირჩევიან ინტელექტით, თანამედროვე ტექნიკის მიღწევების კარგი ცოდნით და ფლობით. მათ პარალელურად მოქმედებენ კარგად შეიარაღებული, მრავალრიცხოვანი, გასამხედროებული ტერორისტული ჯგუფები (ირა, ეტა, პალესტინის განთავისუფლების არმია და სხვა), რომლებიც თავის მაგალითზე ცდილობენ გაზარდონ ახალი თაობა.. ტერორიზმის მოქმედების არე და მასშტაბები გაფართოვდა, ის ინტერნაციონალური გახდა.

ტერორიზმს, როგორც სოციალურ მოვლენას, უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე მის სამართლებრივ ასახვას. ისტორიამ საკმარისად შემოგვინახა ცნობები მისი წარმოშობის, დანაშაულად ჩამოყალიბებისა და გავრცელების შესახებ, მაგრამ სრული ისტორიული ექსკურსიის ჩატარება შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ჩვენ შევეხებით ამ დანაშაულის ცალკეულ მომენტებს და კონკრეტულ მონაცემებს.

ტერორი უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და უკიდურესად რადიკალური, განსაკუთრებული საშიში ექსტრემიზმის სოციალურ-პოლიტიკური ფორმით გვევლინება. მას სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ჯგუფი საკუთარი პოლიტიკური ინტერესების მისაღწევად მიმართავდა. მაგალითად, ძველი პალესტინის ტერიტორიაზე არსებული სეკარიების სექტა, ინკვიზიცია და სხვები. ტერორი იყო მათი მთავარი იარაღი სამეფო გადატრიალებების, მონარქთა და მათთვის არასასურველი პირების მკვლევლობების დროს. ტერორიზმის ორგანიზებული განვითარება XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მძლავრ ტერორისტულ ჯგუფების გამოჩენას უკავშირდება, მათგან თავისი განსაკუთრებული აქტიურობით რუსი ანარქისტები გამოირჩეოდნენ. ამიტომ თანამედროვე ტერორიზმის ფუძემდებლად რუს ტერორისტებს მიიჩნევენ. ტერორიზმმა თავისი დანაშაულებრივად განვითარების პიკს XX საუკუნეში მიაღწია. ეს საუკუნე სხვა მხრივაც არის გამორჩეული. იგი ორი მეტად დიდი სისხლისმღვრელი ომებით აღინიშნა, რაც ჩვენი აზრით, საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ კაცობრიობას საჭირო დასკვნები გამოეტანა ომებისა და სისხლისღვრის საწინააღმდეგოდ და მთელი თავისი ძალისხმევა ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ მიემართა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პირიქით, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კაცობრიობისათვის ომზე არანაკლებ საშიშმა მოვლენამ – ტერორიზმმა იჩინა თავი. თანამედროვე ტერორისტები დღეს დანების, ხანჯლებისა და თვითნაკეთი ბომბების ნაცვლად, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შედეგად შექმნილი იარაღებით შეიარაღებულები უფრო კვალიფიციურად ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს.

¹ სტატია წარმოდგენს ტერორიზმის პრობლემებთან დაკავშირებული გამოკვლევის ნაწილს, რომელშიც შესწავლილია ტერორიზმთან დაკავშირებული სუბიექტების პოზიციები – სახელმწიფოს, საზოგადოების, მასმედიის და სხვა. სტატია ჩაფიქრებულია როგორც ციკლი, რომელშიდაც ნაჩვენებია იქნება ამ სუბიექტთა პოზიციები ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში და თვით ტერორისტების დამოკიდებულება მათი ქმედებისადმი.

XXI საუკუნის ტერორიზმი უფრო მძლავრი, მობილური და დაუნდობელი აღმოჩნდა. თანამედროვე ტერორისტები გამოირჩევიან ინტელექტით, იარაღისა და ტექნიკის კარგი ცოდნით და ფლობით.

ყოველივე ამას ამტკიცებს აშშ-ში ალ-ქაიდას მიერ 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტები, რომლებსაც განხორციელების სირთულით, მასშტაბურობითა და დამანგრეველი შედეგით პრეცედენტი არა აქვს.

სწორედ ამ დღიდან იწყება ტერორიზმთან ბრძოლის ახალი ერა, რადგანაც თანამედროვე ტერორიზმის გლობარულმა ხასიათმა და ახალი მეთოდებისა და ტაქტიკური სქემებისა და საშუალებების ფართო გამოყენებამ სერიოზული კორექტივების შეტანა მოითხოვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონცეფციისა და მისი განხორციელების ცალკეულ ღონისძიებებში.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ტერორიზმს, როგორც ომის წარმოების ლეგიტიმურ საშუალებას უარყოფდნენ. თანამედროვე პერმანენტულმა ტერორისტულმა აქტებმა კი ცხადყვეს, რომ ომის თანამედროვე ფორმას, თანაც უფრო ეფექტურს და რეზულტატურს სწორედ ტერორიზმი წარმოადგენს. მაშინ როდესაც, სამხედრო აქციები ხშირ შემთხვევაში არც ისე ეფექტურია, სამხედრო ოპერაციებს ენაცვლება მობილური, მცირერიცხოვანი, კარგად გაწვრთნილი ტერორისტული ჯგუფების მოქმედებები და მათ გაცილებით მეტი შედეგი მოაქვთ. ამის მაგალითს თუნდაც დღევანდელი ერაყში მიმდინარე სიტუაცია წარმოადგენს, სადაც ტერორისტული აქტების შედეგად მსხვერპლთა რიცხვი ბევრად მეტია, ვიდრე საომარ მოქმედებებში დაჭრილთა და დაღუპულთა რიცხვი, ამასთან მსხვერპლი მხოლოდ სამხედროები არ არიან, მათ რიცხვს უცხოელი ჟურნალისტები და საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ავსებენ. ამით ტერორისტები ახდენენ საერთაშორისო ინციდენტების პროვოცირებას, მოწინააღმდეგე მხარეში შიშის დათესვას, რომლის შედეგადაც სახელმწიფო გამოყოფს თავის დასაცავად დიდძალ რესურსებს, რაც ხშირად სოციალური პროგრამების ხარჯზე ხდება, და მოსახლეობის გულისწყრომას იწვევს, ტერორისტთა მიზანი მოწინააღმდეგის მორალური სულის გატეხვა, საზოგადოებაში შიშისა და პანიკის დათესვაა.

XX საუკუნის ისტორიიდან არაერთი მაგალიათის მოყვანა შეიძლება, როდესაც სახელმწიფოები ერთმანეთთან საბრძოლველად დაქირავებულ ტერორისტული ჯგუფებს იყენებდნენ ან თვით ქმნიდნენ და აღჭურვიდნენ ტერორისტებს. „ტერორისტული ომი“ უფრო ნაკლებ თანხებს მოითხოვს ვიდრე ფართო მასშტაბიანი საომარი მოქმედებები და ეს კარგად ესმით თვით ტერორისტებს და მათ სპონსორებს.

ტერორიზმის წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენს არა მარტო ობიექტური არამედ სუბიექტური საფუძვლები: ამასთან ობიექტური ფაქტორი მართალია გადამწყვეტია, მაგრამ არა ერთადერთი და საკმარისი. ტერორიზმის წარმოშობის ერთიდაიგივე ფაქტორები ბევრ ქვეყნებში შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ტერორიზმი ზოგ ქვეყანაში იკიდებს ფეხს, ზოგში კი არა. აქედან გამომდინარე, ობიექტური ფაქტორების პარალელურად არსებობს აგრეთვე სუბიექტური ფაქტორებიც: ქვეყნებში უნდა გაჩნდნენ გარკვეული ტიპის პიროვნებები, ჩამოყალიბდეს გარკვეული, ძალადობაზე დაფუძნებული შეხედულება, რომელიც პოლიტიკურ ძალადობასა და ფანატიზმზე აღმოცენდება.

აშშ-ში 11 სექტემბრის მომხდარმა მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა ტერორიზმთან ბრძოლის ახალ სტილს, ტერორიზმის ძველი მეთოდებისა და საშუალებების გადასინჯვას შედეგად მოჰყვა არა მარტო უკვე არსებული მეთოდების კორექტირება, არამედ ტერორიზმთან ბრძოლის ახალი კონცეფციის ჩამოყალიბება. 11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო სამართლის თეორია და პაქტიკა მკვეთრად იცვლის პოზიციას და ერთხმად აღიარებს საერთაშორისო ტერორიზმს, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირები, რომლებიც ეჭვმიტანილი იქნებიან საერთაშორისო ტერორისტული აქტების მოწყობაში, წარდგებიან საერთაშორისო იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე. ის სახელმწიფოები, რომლებიც, თავშესაფარს აძლევენ საერთაშორისო ტერორისტებს, აძლევენ უფლებას იქონიონ იქ სასწავლო ბაზები და სხვა ინფრასტრუქტურა, შეიძლება გახდნენ სამხედრო ოპერაციების ობიექტი დაზარალებული სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან. ამის ნათელი მაგალითია, 2001 წლის ოქტომბერ-დეკემბერში,

აშშ-ის და ანტიტერორისტულ ალიანსში შემაგალი ქვეყნების მიერ ტერორისტული ბანაკების განადგურება, ასევე ავღანეთის უკანონო რეჟიმის – ტალიბების შეიარაღებული ძალების განადგურება, რასაც ქვეყანაში ახალი, დემოკრატიული რეჟიმის დამყარება მოყვა.

გაეროს 2001 წლის 1373 წლის რეზოლუციის თანახმად, საერთაშორისო ტერორიზმი, რომელსაც მოყვება უდანაშაულო ადამიანების მასობრივი განადგურება და უმძიმესი მატერიალური ზარალი, დღეს განიხილება, როგორც ქმედება, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და შეადგენს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

XXI საუკუნეში ტერორიზმის გააქტიურებასთან ერთად პროპორციულად შეიცვალა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და საერთოდ საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა ტერორიზმის (როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმის) მიმართ. ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში მსოფლიო გაერთიანდა. დღეს ამ ბრძოლაში ის სახელმწიფოები გამოდიან პარტნიორებად, რომელთაც გუშინ, პოლიტიკური თუ სხვა მიზეზების გამო, მათი ერთ კოალიციაში მოაზრება წარმოუდგენელი იქნებოდა.

ჯერ კიდევ ერთა ლიგაში წევრი-სახელმწიფოები ცდილობდნენ შეემუშავებინათ ტერორიზმის ერთიანი განსაზღვრება, რაც დღემდე შეუძლებელი გახდა. თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ტერორისტულ აქტებად მხოლოდ 2004 წლის 8 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ შესძლო გარკვეული ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიეღო საერთაშორისო ტერორიზმის ერთიანი განსაზღვრება. უნდა აღინიშნოს რომ ეს განსაზღვრებაც საკმაოდ სადავოა და მიღებისთანავე პოლემიკის საგანი გახდა. საგაზეთო სტატიის ფორმატი საშუალებას არ იძლევა განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ტერორიზმის განსაზღვრების პრობლემა.

მოუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ დღემდე ვერ შეიმუშავა ტერორიზმის ერთიანი განსაზღვრება, ყოველი ქვეყანა ცდილობს თავისებურად ახსნას და ეროვნულ კანონმდებლობაში თავისებური განსაზღვრება მისცეს, ან ჩამოთვალოს ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ტერორიზმს (ამ განსაზღვრებაში ასახვას პოვენს ამ ქვეყნის ტრადიცია, ტერორიზმთან ბრძოლის ტრადიცია, ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებები, სამართლებრივი სისტემა და სხვა ფაქტორები).

როგორც ვხედავთ, ტეროლოგიაში ერთ – ერთ ძირითად პრობლემას „ტერორიზმის“ კონცეპტუალური განსაზღვრების შემუშავება წარმოადგენს, რაც კარგად წარმოჩინდა დასავლეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებისა თუ სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავების მაგალითზე.

ტერორიზმთან (იქნება ეს შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო ტერორიზმი) ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ბრძოლა ტერორიზმთან უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: ტერორიზმთან ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას; ამ სფეროში კანონმდებლობის სრულყოფას; ტერორიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებული სპეციალური კანონმდებლობის შემუშავებას; სისხლის სამართლის კოდექსში ტერორიზმის ერთიანი დეფინიციის შეტანას ან იმ ქმედებათა ჩამოთვლას, რომლებიც სახელმწიფოს მიაჩნია ტერორისტულ აქტებად; ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში შეტანას; ტერორისტული აქტების დანაშაულებზე მკაცრი სანქციების შემოღებას; ტერორიზმთან ბრძოლისათვის პროფესიონალი კადრების მომზადებას; სპეცსამსახურების სპეციალური დანაყოფები ჩამოყალიბებასა და მომზადებას; სპეციალური სამხედრო თუ საპოლიციო ძალების მომზადებას; ტერორისტებთან პროფესიონალ მომლაპარაკებელთა მომზადებას; მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას და სხვა. ტერორიზმთან მებრძოლ ორგანოების სისტემატიური ურთიერთობა მასმედიათა და მასმედიისა და აღნიშნული ორგანოების ისეთი ურთიერთქმედება, როდესაც დაცულია სიტყვის თავისუფლება; საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობას.

ტერორიზმის ტაქტიკის დახვეწასთან ერთად ასევე დაიხვეწა მასთან ბრძოლის ტაქტიკა და ტექნიკა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ კარგად დაგეგმილ კონტრტერორისტულ ოპერაციას ენიჭება.

მაგალითად, ისრაელმა ტერორისტებთან ბრძოლისას შეიმუშავა 5 ძირითადი კონტრტერორისტული სტრატეგია: „ტერორისტებთან მორალური ომის წარმოება“; ტერორისტ-მკვლელების განთავისუფლებაზე კატეგორიული უარის თქმა; სამხედრო ძალის გამოყენება ტერორისმის თავიდან ასაცილებლად; საერთაშორისო თანამშრომლობა; იმ სახელმწიფოების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარება, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორისტებს.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ტერორისტული ორგანიზაციების გამოსაგლეხად შემდეგი კრიტერიუმები შეადგინა: პოლიტიკური მიზნის არსებობა და მისი გამოვლინების ანტიდემოკრატიული ხასიათი; ორგანიზაციის მიერ დასაშინებლად ძალადობის სისტემატიურად მიზანდასახული გამოყენება; ორგანიზებული სტრუქტურის არსებობა. ტერორისტულ აქტებში მონაწილე სუბიექტების საზოგადოებიდან იზოლაცია.

ბოლო წლებში ევროპის რიგ ქვეყნებში, კერძოდ, ნიდერლანდებში, ირლანდიასა და ინგლისში გამოიყენება ეგრეთ წოდებული „გაყინვის“ ტექნიკა, როდესაც ხდება ფიზიკური ძალადობის შეჩერება, იმ ადგილმდებარეობის იზოლაცია, რომელშიც იმყოფებიან ტერორისტები და მძევლები, მათთვის საკვების და მედიკამენტების მიწოდება, ტერორისტთა დაკავებამდე ან იქამდე, ვიდრე შესაძლებელი არ იქნება ანტიტერორისტული ძალის გამოყენება უმცირესი დანაკარგებით. ასე მაგალითად, პერუში მომხდარი ტერორისტული აქტის დროს, როდესაც ტერორისტული დაჯგუფებამ ბის „ტუპაკ-ამაროს“ წევრებმა დიპლომატიურ მიღებაზე მძევალად აიყვანეს ასზე მეტი სტუმარი. მათ მიეწოდებოდათ საკვები, წყალი, ადგილზე დაშვებული იყო სამედიცინო პერსონალი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ტერორისტებთან. ამ ტაქტიკამ შედეგი გამოიღო და შესაძლებელი გახდა მძევლების განთავისუფლება, ხოლო კარგად დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის შედეგად ტერორისტთა ჯგუფი მთლიანად განადგურებული იქნა.

სწორედ ეს ტაქტიკა არ იქნა გამოყენებული არც “ნორდ-ოსტის” დროს და არც ბესლანში, რამაც სავალაო შედეგი გამოიღო. რუსეთის ხელისუფლებამ თავისი ამბიციები მძევალთა სიცოცხლეზე მაღლა დააყენა.

ეს ტაქტიკა გამოდგება მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში და აბსოლუტურად გამოუყენებელია ისეთი ტერორისტული აქტების დროს, როდესაც ჯერ ხდება ტერორისტული აქტის განხორციელება დიდძალი მსხვერპლით და მხოლოდ ამის შემდეგ ახმოვანებენ ტერორისტები თავიანთ მიზნებს. ასე მოხდა ესპანეთში, როდესაც 150 ადამიანზე მეტი დაიღუპა რკინიგზაზე აფეთქების შედეგად, საფრანგეთში ბოლო პერიოდში მომრავლებულ ტერორისტულ აქტების დროს, ისრაელში ტერორისტული აქტები უკვე პერმანენტულ ხასიათს ატარებენ.

აქვე უნდა ავლინდეთ, რომ მთელი რიგი სახელმწიფოები უარს აცხადებენ ტერორისტებთან დათმობებსა და “მოლაპარაკებებზე”. მოლაპარაკება აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ ტერორისტებთან მოლაპარაკება არ მიმდინარეობს ვთქვათ მძევალთა გასანთავისუფლებლად. აქ იგულისხმება ის, რომ სახელმწიფო არცერთ შემთხვევაში არ წავა დათმობებზე და არ შეასრულებს ტერორისტთა მოთხოვნებს (მაგალითად, ამგვარი პრაქტიკა არსებობს აშშ, ისრაელში, რუსეთი ნაწილობრივ იზიარებს აღნიშნულ პრაქტიკას).

ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის დახვეწა ტერორისტთა ფინანსური დახმარების სფეროში. კერძოდ, უფრო ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული გაეროს 1999 წლის კონვენცია “ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ”. 1996 წლის “8 სახელმწიფოს მინისტრთა თათბირზე” პარიზში შემუშავებული იქნა რეკომენდაციები ტერორიზმის დაფინანსების ბრძოლასთან დაკავშირებით. ევროკავშირის ეგიდით 1997 წელს ლუქსემბურგში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ტერორისტთა დაფინანსებასთან ბრძოლის საკითხებზე, ანალოგიურ თემაზე ჩატარდა კონფერენცია ლონდონში, ასევე 1999 წელს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ ჩატარა კონფერენცია მალ-დელ პლატაში, რომელზედაც მიიღო ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სპეციალური დეკლარაცია. ამ საკითხის

ეფექტურად გადაწყვეტაში მეტად მნიშვნელოვანია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციისა და ასევე ფულის გათეთრებისასთან ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენცია.

განსხვავებით ძველი თაობის ტერორისტებიდან, თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციები საკმაოდ მდიდარი არიან და მათ ხშირად დიდი და მომგებიანი ბიზნესი გააჩნიათ.

ტერორისტთა დაფინანსების წყაროებია: კანონიერ საფუძველზე მოქმედი კომერციული საწარმოები, რომლებიც შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც ტერორისტებს, ასევე ტერორისტების გულშემატკივარ საქმიან წრეებს; სოციალური და რელიგიური შემოწირულობები, სპონსორი სახელმწიფოს თანხები და სხვა საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტებისათვის საბოლოო მიზანი გამდიდრება არაა, მათ დიდადი სახსრები სჭირდებათ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ტაქტიკა მეტად მრავალფეროვანია. ზოგიერთ სახელმწიფოს შემუშავებული აქვს სია იმ ორგანიზაციების, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ასეთ ქმედებაში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია).

ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სახელმწიფოს შიგნით საფინანსო და სპეციალური სამსახურების მწყობრ მუშაობას, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში. ტერორისტთა დაფინანსების საკითხი სახელმწიფოთა მხრიდან ყველა სამსახურის ურთიერთქმედებასა და თანამშრომლობას მოითხოვს; ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში კოორდინირებულად უნდა მოქმედებდნენ არა მარტო სპეცსამსახურები, არამედ სახელმწიფო საფინანსო სტრუქტურებიც. ასეთი ღონისძიებების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ტერორისტული ორგანიზაციებისა და ტერორისტთა დაფინანსების წყაროების დადგენა და აღმოფხვრა; ტერორისტთა პირდაპირი და ირიბი დაფინანსების აღკვეთა, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციების მუშაობის გაკონტროლება, რომლებიც საქველმოქმედო მოღვაწეობას ამოფარებული სახსრებს აგროვებენ ტერორისტთა შესაიარაღებლად და დასაფინანსებლად; სახელმწიფოს შიგნით გარკვეული ზომების მიღება იმ კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვის წინააღმდეგ, რომელთა მიმართ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ თანხები გამოიყენება ტერორისტთა დასაფინანსებლად.

ამასთან, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული კანონის მოთხოვნები, რათა გამოირიცხოს სახელმწიფოს სტრუქტურების მხრიდან თვითნებობა.

შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემა – სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვაა. ტეროლოგიაში კარგადაა ცნობილი არაერთი შემთხვევა, როდესაც ტერორისტების თავდასხმის ობიექტს სწორედ მომეტებული საფრთხის მატარებელი ობიექტები წარმოადგენდნენ.

სახელმწიფოს მხრიდან ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის მექანიზმი უნდა შეიცავდეს: კონტრზომებს – იდეოლოგიურს, ინფორმაციულს, ორგანიზაციულს. სახელმწიფომ უნდა მთელი ძალისხმევა მოახმაროს იმას, რომ მოქალაქეებს არ გაუჩნდეთ ტერორისტული ზრახვები და მიზნები; სახელმწიფო მუდმივად უნდა აწარმოებდეს დიალოგს თავის მოსახლეობასთან, სოციალური დაძაბულობის პირობებშიც. კი როდესაც კონფლიქტის გაღვივების და გაჩაღების დიდ შანსი არსებობს; საზოგადოებაში უნდა ჩამოყალიბდეს აზრი ტერორისტული მეთოდების მიუღებლობის შესახებ; საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ სახელმწიფო ყოველთვის შეებრძოლება ტერორისტებს, მკაცრად დასჯის მათ და არ წავა ტერორისტებთან არავითარ დათმობაზე; ამასთან მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ტერორიზმთან ბრძოლისას გამოყენებული მეთოდებით, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ტერორიზმთან ბრძოლა არ არის ადამიანის, მთლიანად საზოგადოების უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების მუდმივად შეზღუდვის იდენტური. ტერორიზმთან ბრძოლა მოიცავს საზოგადოების დაცვის, ზოგჯერ კი საერთოდ გადარჩენის მიზანს, რომლის დროსაც სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოების ყოველი წევრის ინტერესი. როგორც მძიმე ტერაქტიც არ უნდა მოხდეს, დაცული უნდა იქნას თვით დაკავებულ ტერორისტთა უფლებებიც, რამეთუ ამ მომენტის გაუთვალისწინებლობა კვლავ შობს ტერორისტულ განწყობას საზოგადოებაში; კონტრზომები –

სამართლებრივი, ინფორმაციული, ადმინისტრაციული წინააღმდეგობა ტერორისტული ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში; ტერორისტული აქტების თავიდან აცილება. მუდმივი კონტროლი ქვეყნის შიგნით ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირებსა და ორგანიზაციებზე; ყურადღება და ინფორმაციის მოგროვება საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებსა და მათ წევრებზე, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებში; სპეცსამსახურების სისტემატური ურთიერთობა სხვა ქვეყნების ანალოგიურ სტრუქტურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; სახელმწიფოში იარაღისა და საბრძოლო ნივთიერებათა ეფექტური კონტროლი; ტერორისტულ ორგანიზაციათა დაფინანსების გამოვლენა და დამფინანსებელ ორგანიზაციათა და სტრუქტურათა დანაშაულებრივი სააქტიანობის აღკვეთა; საზოგადოების ფართო ფენების განათლება და სახელმწიფოს მხრიდან ანტიტერორისტული მოქმედებების პროპაგანდა; ზოგადი და კერძო პრევენციის გამოყენება; მასმედიის მხრიდან ტერორისტების გაფეტიშებაზე და მათი ქმედებების პროპაგანდაზე უარის თქმა; საზოგადოებაში „სტოკჰოლმის სინდრომის“ უარყოფა; ტერაქტების მსხვერპლთა უფლებების დაცვა და მათი რეაბილიტაცია; ტერაქტების მსხვერპლთა, მოსამართლეთა და სამართალდამცავ პირთა ეფექტური დაცვა, მათ შორის იმ დაკავებულ ტერორისტებისაც, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე; ექსტრადიციასთან დაკავშირებით ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება; მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოების, საელჩოების და აეროპორტებისა და ნავსადგურების, რკინიგზის სადგურების დაცვა; მფრინავთა ინსტრუქტაჟი; სახელმწიფო საზღვრების დაცვა და ტრანსპორტზე უსაფრთხოების ზომების დაცვა.

ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ითამაშონ დეტონატორის როლი ტერორიზმის განვითარებაში:

- დაძაბული პოლიტიკური ვითარება სახელმწიფოში;
- დაძაბული პოლიტიკური ვითარება მეზობელ სახელმწიფოებთან ან აშკარა კონფლიქტი სხვა სახელმწიფოებთან;
- დაძაბული პოლიტიკური ვითარება მეზობელ სახელმწიფოებში. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია სახელმწიფო ტერორისტებმა გამოიყენონ ტრანზიტად სხვა ტერორისტული ჯგუფებისა ან ტერორისტული აქტებისათვის საჭირო იარაღისა და ტექნიკის გადასატანად;
- სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების გარკვეული ჯგუფის მოთხოვნათა სისტემატიური უგულებელყოფა;
- ეთნო კონფლიქტი თვით სახელმწიფოში; მოუგვარებელი ურთიერთობები ეროვნულ უმცირესობებთან;
- კორუპციული გარემო და კორუპციული სახელმწიფო აპარატი;
- უმცირესობათა ინტერესების სისტემატიური გაუთვალისწინებლობა;
- ამა თუ იმ სახელმწიფო ბლოკში გაერთიანება ან სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოს ტერიტორია ან მისი ნაწილი სამხედრო პლაცდარმს წარმოადგენს სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის. ტერორისტთა აგრესია შესაძლებელია არ იყოს თვით მიმდები სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ ტერაქტები განხორციელდეს მის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ;
- მძიმე და მოუწყობელი სოციალურ-ეკონომიკური გარემო; უმუშევართა დიდი რაოდენობა (მათ შორის კვალიფიციური კადრები), რომლებიც ყოველთვის კარგ მონაპოვარს წარმოადგენენ ტერორისტებისათვის;
- რელიგიური კონფესიების სიუხვე, რომლებსაც ერთმანეთთან არ გააჩნიათ კარგი ურთიერთობები.

განვიხილოთ საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე ზემოთაღნიშნული კომპონენტები.

უკანასკნელ პერიოდში პოსტსაბჭოურ სივრცეში მიმდინარე არაორდინალურმა მოვლენებმა გარკვეული სიძნელეები წარმოშვა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებაში. ამ სიტუაციაში განსაკუთრებით დაზარალდა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი, რომელიც რუსეთის ზეგავლენის ქვეშ

დარჩა. აქ მიმდინარე რუსეთ-ჩეჩნეთის საომარმა მოქმედებებმა, ტერორიზმის გავრცელება გამოიწვია. ეს რეგიონი ტერორისტული ქტების სიმრავლით და მისი გავრცელების მასშტაბურობით ერთ-ერთ ყველაზე მეტად დაზარალებული რეგიონი გახდა და საერთაშორისო ანტიტერორისტული მოძრაობის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ბუნებრივია, ყოველივე ამან თავის მხრივ ტერორიზმის ექსკალაციის საშიშროება შექმნა მეზობელ, ჩრდილო კავკასიასთან გეოგრაფიულად ახლო მდგომ ამიერკავკასიის სახელმწიფოებში – საქართველოში, სასომხეთსა და აზერბაიჯანში.

რუსეთთან მიმართებაში განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეხედულებები ქმნიან ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან ტერორიზმის გავრცელების ზოგიერთ წინაპირობას. ამ რეგიონის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკის ჩამოყალიბებამ, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მისწრაფებამ და აშშ-ის მიერ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მიმდინარეობამ და რუსეთ-საქართველოს შორის არასტაბილურმა ურთიერთობებმა, აზრებაიჯანის პროამერიკულმა და პროდასავლურმა ორიენტაციამ, სომხეთის პრორუსულმა პოლიტიკამ, და რაც მნიშვნელოვანია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების პრობლემამ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი პირველმნიშვნელოვანი გახდა. აქედან გამომდინარე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის უსაფრთხოების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ მილსადენის გაყვანაში სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეობის წვლილს და წილს, ნათელი ხდება, რომ ნავთობსადენის უსაფრთხოების საკითხი სცილდება მხოლოდ ერთი ან ორი ქვეყნის ინტერესებს და რეგიონალურ პრობლემასაც, მას უფრო დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ამ რეგიონში დაგროვილმა სხვადასხვა სახის პრობლემებმა და სხვადასხვა ქვეყნების ინტერესთა გადაკვეთამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ ბოლო პერიოდში და საერთაშორისო ტერორიზმის ყურადღება მიიპყრო. საერთაშორისო ტერორიზმის ცეცხლმა ამ ქვეყნებშიც შემოაღწია. ზოგადად ტერორიზმისათვის დამახასიათებელი თვისებებს აქ გარკვეული თავისებურებებიც ემატება.

საქართველოში, უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა ჩამოყალიბდეს ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა,

განსაკუთრებული დაცვის ობიექტი უნდა გახდეს სახელმწიფოს საზღვრები, სახელმწიფო სტრატეგიის მქონე ობიექტები. ამგვარი მიდგომა დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, სადაც დემოკრატიული წყობის მშენებლობა მიმდინარეობს და ჯერ კიდევ არ არის მყარად ჩამოყალიბებული დემოკრატიული მექანიზმები; უნდა შემუშავდეს ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფო კონცეფცია, რომლის მომზადებაშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე სპეციალისტები.²

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, დღეს გადაუდებელი ამოცანაა მომზადდეს ერთი მხრივ მობილური, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი, ანტიტერორისტული სპეცდანაყოფი და მეორე მხრივ მუშაობდეს სპეციალური უწყებათაშორისო კომისია და ანალიტიკური ცენტრი, რომელიც გაანალიზებს შექმნილ სიტუაციებს, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს ტერორიზმთან ეფექტურად ბრძოლის წინადადებებს და ცალკეული უწყებებისათვის მითითებებს, ტერაქტების შემთხვევაში შეიმუშავებს გარკვეული მოქმედებების შესწავლისა და ანალიზის ჩატარების შემდეგ სპეციალურ წინადადებებს, მასმედიასთან ურთიერთობების საკითხებს, ტერორისტული აქტების მსხვერპლთა უფლებების დაცვასა და მათთან მუშაობას, ტერორისტთა დამფინანსებელ ორგანიზაციათა დასადგენად ღონისძიებათა ნუსხას და სპეციალური უწყებების მიერ მათთან მუშაობის წესს, ტერორიზმში ექვმიტანილ ორგანიზაციათა და პირთა აღრიცხვას და მათთან მუშაობას და სხვა თავისებურებებს.

ტერორიზმი საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოების ნორმალური თანაცხოვრებისათვის, საზოგადოების უსაფრთხოებისათვის, საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას, უსაფრთხოებას, სახელმ-

² მართალია, არსებობდა უწყებათაშორისო ჯგუფი, მაგრამ ის რატომღაც არც კი შეკრებილა ისე დაიშალა.

წიფოთა ურთიერთობებს და სხვა. მართლაც, ტერორიზმის საფრთხე არა მარტო იმაშია, რომ ის საშიშია საზოგადოებისათვის, არამედ, მისი საშიშრობა სხვა ფაქტორშიც მდგომარეობს – ტერორიზმთან ბრძოლა შესაძლებელია საფუძველი გახდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შეზღუდვისათვის. ტერორისტების ზრახვები ხშირად ამ ფაქტორსაც ითვალისწინებენ, რათა სახელმწიფოს მხრიდან გამოიწვიონ შესაბამისი რეაქცია და ამით კიდევ უფრო დაძაბონ სიტუაცია საზოგადოებაში. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, უმეტესად (მაგრამ არა ყოველთვის) ტერორისტული აქტები თითქმის არ არსებობს, დიქტატურა თავის ოპოზიციას ხშირად ტერორიზმთან ბრძოლის ლოზუნგით უსწორდება (ეგრეთ წოდებული „რეპრესიული“ ტერორი) და ეს შეიძლება საზოგადოების „ფართო მასების“ მოთხოვნითაც კი იყოს გაფორმებული.

ამიტომ, სახელმწიფო ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმების შემუშავებისას დიდი საფრთხის ქვეშ დგას და ხელისუფლებას სიფრთხილე მართებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების მხრიდან კეთილი მიზნების მისაღწევად ანუ ტერორიზმთან ბრძოლის და მისი აღკვეთის მოტივით, არ მოხდეს ადამიანის უფლებათა დარღვევა, ხელისუფლებამ უნდა გაუძლოს ცთუნებას, არ მოახდინოს საზოგადოებრივი ინტერესების ისეთი შეზღუდვა, რომელიც ერთის მხრივ გამოიწვევს საზოგადოების მხრიდან ნეგატიურ შეფასებას (ეს საფრთხეს შეუქმნის ხელისუფლებას და დააკარგებს საზოგადოების მხარდაჭერას ტერორიზმთან ბრძოლაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია), ხოლო მეორე მხრივ გამოიწვევს ახალი ტერორისტული აქტები აფეთქებას, სახელმწიფოს ხელისუფლებით უკმაყოფილო ჯგუფების გამრავლებას და ახალი ტერორისტული ჯგუფების გაჩენას.

ტერორისტები ყოველთვის ორ მიზანს ისახავენ. პირველი და მთავარი, მათი პოლიტიკური მიზნებია, მეორე მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ აიძულონ სახელმწიფო რაც შეიძლება მეტი შეცდომა დაუშვან ტერორისტებთან ბრძოლის დროს. მაგალითად, მძევალთა განთავისუფლება დიდი დანაკარგებით; უდანაშაულო მოქალაქეებისა და მათი ქონებისათვის ზარალის მიყენება, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა და სხვა.

სწორედ ამ საკითხში მართებს სიფრთხილე ხელისუფლებას, სწორედ აქ უნდა იქნას მონახული ის ოქროს შუალედი, ბალანსი საზოგადოებრივ ინტერესებსა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას შორის.

თუ როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ტერორიზმთან ბრძოლაში, ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს თავისებურებაზე და ტერორისტული აქტების ინტენსიობაზე დამოკიდებული. მაგრამ არსებობს ზოგადი, საერთო სტანდარტები, ჩარჩოები, რომელსაც სახელმწიფო არ უნდა გასცდეს ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, რათა დაიცვას და უსაფუძვლოდ არ შეზღუდოს როგორც საზოგადოების სხვა წევრთა უფლებები, ასევე თვით ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ან დაკავებულთა უფლებები.

ამ თვალსაზრისით ინტერეს მოკლებული არ იქნება გავცნოთ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკას და იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც სასამართლო კონკრეტულ საქმეებში ადგენს სახელმწიფოებისათვის საგანგებო მდგომარეობისას ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებათა გადახვევას.

საგანგებო მდგომარეობის დროს (ტერორისტული აქტების განხორციელებამ შეიძლება შექმნას ასეთი მდგომარეობა), სახელმწიფოს უფლება ეძლევა გადაუხვიოს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებებს, გარდა ამისა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაც აკისრია საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაიცვას მის იურისდიქციის ქვეშ მყოფი საზოგადოების თითოეული წევრი.

სახელმწიფოსათვის კონვენციით გარანტირებული უფლებების შეძღუდვის ლეგალურ საფუძველს წარმოადგენს კონვენციის მე-15 მუხლი, რომლის მიხედვითაც „ომისა ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო სიტუაციის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ შემკვერელ მხარეს უფლება აქვს მიიღოს ზომები, რომლებიც უხვევენ ამ კონვენციიდან გამომდინარე მის ვალდებულებებს, იმდენად რამდენადაც ეს გამოწვეულია სიტუაციის აუცილებლობით,

ამასთან ამგვარი ზომები არ უნდა იყოს შეუსაბამო. საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებებთან...” სტრასბურგის სასამართლომ ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებზე შეიმუშავა რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარეობენ. სასამართლო განიხილავს რა სახელმწიფოს მოქმედებებს ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში პირველ რიგში ადგენს, თუ რამდენად კანონიერად მოქმედებდა სახელმწიფო. სასამართლო ადგენს ორ ძირითად საკითხს: თვით ამ შეზღუდვების მიზნის კანონიერებას და უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საშუალებათა თანაფარდობის საკითხს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სახელმწიფოს მოქმედება მთლიანად შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს, იწყება მეორე ეტაპი – იმის გარკვევა თუ რამდენად შეესაბამება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები „დემოკრატიულ საზოგადოებას“. ამასთან ყურადღება ეთმობა საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესებს შორის ბალანსის საკითხს.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული სიტუაციების არსებობისას, რომელიც დაკავშირებულია აგრეთვე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, კონვენციის მე-15 მუხლის გამოყენება არ არის უსაზღვრო. ის განისაზღვრება გამოყენებული ზომების ადექვატურობით, არსებული საფრთხის და უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის პროპორციულობითა და ბალანსით, ასევე სპეციალურ უფლებამოსილებათა კონტროლითა და მისი პერიოდულად გადახედვით სიტუაციასთან შეთანხმებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასმედია და ორგანოები, რომლებიც ანტიტერორისტულ საქმიანობას ანხორციელებენ, საერთო ჯამში ერთ მიზანს ისახავენ: მასმედია მოწოდებულია აჩვენოს საზოგადოებას ტერორიზმით გამოწვეული საზარელი შედეგები, ხოლო სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთოს იმისათვის (ანუ შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულება), რომ აღმოფხვრას ტერორიზმის წარმომშობი მიზეზები, არ დაუშვას ამგვარი შედეგების დადგომა. უფრო მეტიც, ეცადოს დაიცვას საზოგადოება და არ დაუშვას ტერორისტთა დაუსჯელად დატოვება.

ადამიანის უფლებათა და პირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია

მე-5 მუხლი

თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად:
 - ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდგომ პირის მართლზომიერი დაპატიმრება;
 - ბ) პირის მართლზომიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს მართლზომიერი ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;
 - გ) პირის მართლზომიერი დაკავება ან დაპატიმრება, განხორციელებული უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის გონივრული ეჭვი ან, როდესაც ეს გონივრულად მიჩნეულია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მისი გაქცევის ხელის შესაშლელად;
 - დ) არასრულწლოვნის დაპატიმრება მართლზომიერი ბრძანებით საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მისი მართლზომიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების წინაშე წარდგენის მიზნით;
 - ე) ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად პირების, აგრეთვე სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების ან მაწანწალების მართლზომიერი დაპატიმრება;
 - ვ) პირის მართლზომიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის ან იმ პირისა, რომლის წინააღმდეგაც მიღებულია ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით;
2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე სასაწრაფოდ ეცნობება მისი დაკავების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება.
3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის დებულებების შესაბამისად დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი სასაწრაფოდ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე ან პროცესის განმავლობაში გათავისუფლებაზე. გათავისუფლების წინა პირობა შეიძლება იყოს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიები.
4. ყველას ვინც თავისუფლება აღკვეთილია დაკავებით ან დაპატიმრებით, უფლება აქვს სასამართლო პროცესის წარმოებაზე, რომლის მეშვეობითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების მართლზომიერება და გაიცემა ბრძანება მის გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არამართლზომიერია.
5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს აღსრულებადი უფლება კომპენსაციაზე.

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. პირადი თავისუფლება არის ის ძირითადი მდგომარეობა, რომლითაც ზოგადად ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს, ადამიანის თავისუფლების აღკვეთა პირდაპირ კავშირშია სხვა უფლებათა განხორციელებასთან, დაწყებული ოჯახური და პირადი ცხოვრების უფლებით და დამთავრებული შეკრების, გაერთიანების, სიტყვის თავისუფლებით და გადაადგილების თავისუფლებით. თავისუფლების უფლების აღკვეთა ყოველთვის უნდა ხდებოდეს გამონაკლისის სახით,

უნდა იყოს ობიექტურად გამართლებული და არ უნდა გრძელდებოდეს იმაზე მეტხანს, ვიდრე ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

ევროპულმა სასამართლომ მრავალ საქმეში ხაზგასმით აღნიშნა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების მნიშვნელობა. მაგალითად, საქმეში *კურტი თურქეთის წინააღმდეგ (Kurt v. Turkey, Judgments 5/25/1998)* სასამართლომ განმარტა:

„კონვენციის ავტორებმა ადამიანის დაცვა თავისუფლების თვითნებური აღკვეთისაგან იმ ცალკეულ უფლებათა შერწყმით განამტკიცეს, რომელთა მთავარი მიზანია, შეამციროს თვითნებობა თავისუფლების აღკვეთის ყოველი აქტის დაქვემდებარებით დამოუკიდებელი სასამართლო გამოძიებისათვის და ასეთ ქმედებაზე პასუხისმგებლობის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის დაკისრებით. [...] არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა აღიქმება ისე, რომ მათი არსებობა გამოიწვევდა კანონის უზენაესობის მნიშვნელობის დაკნინებას და საშუალებას არ მისცემდა თავისუფლებააღკვეთილ პირებს, მიემართათ სამართლებრივი დაცვის ელემენტარული საშუალებისათვის“¹

“თავისუფლებაში” იგულისხმება პირის ფიზიკური თავისუფლება, პირადი თავისუფლება მე-5 მუხლის თვალსაზრისით ნიშნავს დაკავების ან დაპატიმრების არარსებობას. “უსაფრთხოება” არის “დაკავებასა და დაპატიმრებასთან მიმართებით თვითნებობის წინააღმდეგ გარანტია”. სასამართლოს პრეცედენტული სამართლით: “პირის თავისუფლების აღმკვეთი ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის მიზანს, კერძოდ უნდა დაიცვას პირი თვითნებობისგან(..) ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია არა მარტო “უფლება თავისუფლებაზე”, არამედ, აგრეთვე, “უფლება პირად უსაფრთხოება”.²

მე-5 მუხლის პირველი ნაწილი უზრუნველყოფს პირის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, მეორე ნაწილი კი უზრუნველყოფს დაკავებულთა მთელ რიგ საპროცედურო უფლებებს.

პირის თავისუფლების განხილვისას მე-5 მუხლში უმეტესწილად ხაზი გაესმის თვითნებური დაკავების აკრძალვას.

„მთავარი რაც უნდა დადგინდეს, იყო თუ არა აღნიშნული დაკავება „კანონიერი“ და „კანონით“ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისი.“ აქ კონვენცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შიდა კანონმდებლობას და მოითხოვს შიდა კანონმდებლობით დადგენილი წესების გამოყენებას, მაგრამ, ამასთან, პიროვნების თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მე-5 მუხლის მიზანს – პიროვნება დაცული იქნეს თვითნებურობისაგან. ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *ბოზანო საფრანგეთის წინააღმდეგ, (Bozano v. France Judgments 18/12/1987)*, რომელიც ეხებოდა შესაბამისი სასამართლო პროცედურების გვერდის ავლისათვის გამიზნულ „შენიღბულ ექსტრადიციას.“

„კანონიერება“ ნებისმიერ შემთხვევაში გულისხმობს თვითნებურობის გამორიცხვას. ამ მხრივ, სასამართლო დიდ ყურადღებას ანიჭებს გარემოებებს, რომლებშიც მომჩივანი იძულებით მიიყვანეს შვეიცარიის საზღვარზე. აღსანიშნავია, რომ „ფიზიკური ან სხეულის ხელშეუხებლობა თავისუფლებისაგან განცალკევებით არ განიხილება.“³

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის წყაროს წარმოადგენს. კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის ნორმებს

¹ "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება (გზამკვლევი)" *ევროპის საბჭო*, 2004 წლის ოქტომბერი, გვ.10

² კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, “საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან”, *ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში*, 2005წ. გვ.79;

³ "თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; 2003წ. თბილისი, გვ.29

შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს სხვა კანონები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები. შესაბამისად, ის სისხლის სამართლის პროცესის წყაროა.

სისხლის სამართლის პროცესს საფუძვლად უდევს კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზოგადსამართლებრივი პრინციპები, რაც იმას გულისხმობს, რომ მომკვლევი, გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები. საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლის მე-2 ნაწილი სისხლის სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებისას ანალოგიის ან კანონის განვრცობითი განმარტების დაუშვებლობას ითვალისწინებს.

მე-5(1)(ა)-5(1)(ვ) პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისები მკაცრად უნდა განიმარტოს და უნდა წარმოადგენდეს იმ პირობების ამომწურავ განმარტებას, რომლებშიც პირს შეიძლება კანონიერად აღეკვეთოს თავისუფლება.

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, პირის ნებისმიერი დაკავება, რაგინდ ხანმოკლე იყოს იგი, თავისუფლების აღკვეთად ითვლება და თუ ის უკანონოა, საქმის აღძვრის საფუძველს იძლევა კონვენციის პოზიცია განსხვავებულია. მასში ცხადაა განმარტებული, რომ დაკავების შემთხვევაში ამოქმედდება მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა პოლიციის უფლებამოსილების განხორციელება არ შეიძლება ჩაითვალოს დაკავებად, მაგრამ ის მაინც ზღუდავს პირს მოქმედებებში, მისი პოზიცია, ასევე არ არის ნათელი. ამდენად, თავისუფლების აღკვეთის მნიშვნელობა შეიძლება გადაწყვეტი იყოს შეჩერების, ჩხრეკისა და მსგავსი უფლებამოსილებების განხორციელების შემთხვევაში.

დაკავების ხანგრძლივობა მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადაწყვეტი. თუ პოლიცია ახორციელებს ქმედებას, რომელსაც პირის თავისუფლების აღკვეთა მოჰყვება, როგორც წესი, გადაწყვეტი იქნება მათი მიზნები. თუ მიზანი დაკავებაა, გამოიყენება მე-5 მუხლი. თუ მიზანი სხვა რამაა, პოლიციის ქმედება ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი იმის გასარკვევად, განხორციელდა თუ არა თავისუფლების აღკვეთა მე-5 მუხლის გაგებით.

საქმეში *X და Y შვედეთის წინააღმდეგ (Case of X and Y v. Netherlands Judgments 3/26/1985)* და *X ავსტრიის წინააღმდეგ (X v. Austria)* კომისიამ ორივე საქმეში დაადგინა, რომ პოლიციის ცხადი მიზანი ამ კონკრეტული პირების თავისუფლების აღკვეთა იყო.

კომისიის აზრით, საქმეებისაგან „*X და Y შვედეთის წინააღმდეგ*“ და „*X ავსტრიის წინააღმდეგ*“, განსხვავებით, რომლებშიც „პოლიციის ცხადი მიზანი ამ კონკრეტულ პირების თავისუფლების აღკვეთა იყო“, საქმეში „*X გერმანიის წინააღმდეგ*“, პოლიციის ქმედება:

„მიზნად ბავშვებისათვის თავისუფლების აღკვეთას კი არ ისახავდა, არამედ, უბრალოდ, მათგან ინფორმაციის მოპოვებას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხვდა მათ განკარგულებაში მათთან ნაპოვნი ნივთები და ქურდობის იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც სკოლაში უწინ მოხდა.“

ზოგადი წესის თანახმად, დაკავების ადგილის დატოვების შესაძლებლობა, როგორც წესი, გამორიცხავს მე-5 მუხლის გამოყენებას. მაგალითად, საქმეში „*SM და MT ავსტრიის წინააღმდეგ*“ კომისიამ არ მიიჩნია თავისუფლების აღკვეთად შემთხვევა, როდესაც მომჩივნები, რომლებიც ლიბანელები იყვნენ, გაამწესეს ვენის აეროპორტის სატრანზიტო ზონაში, თუმცა ნებისმიერ დროს თავისუფლად შეეძლოთ იქიდან გასვლა, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც. საქმეში „*ამერიკა-ფრანგეთის წინააღმდეგ*“ განმცხადებლები, რომლებიც სომალის რეჟიმის სირიის გავლით გაურბოდნენ, ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა მე-5 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები, როდესაც ისინი პარიზის ორლის აეროპორტში ჩასვლის შემდეგ 20 დღის განმავლობაში დაკავებული იყვნენ

სატრანზიტო ზონასა და ახლომდებარე სასტუმროში (რომლის ნაწილიც თავისუფლების აღკვეთის ადგილად გადაკეთდა). საფრანგეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ თუმცა სატრანზიტო ზონა „დახურული იყო საფრანგეთის მხრიდან,“ ის „ღია იყო გარეთა მხრიდან“, ამდენად განმცხადებლებს შეეძლოთ თავიანთი ნებით დაბრუნებულიყვნენ სირიაში. ევროპის სასამართლო ამას არ დაეთანხმა. მისი აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ განმცხადებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა ნებაყოფლობით დაეტოვებინათ ზონა, არ გამოირიცხავს მე-5 მუხლის გამოყენებას. რადგან სირიას არ შეეძლო მათთვის შეეთავაზებინა იმგვარი დაცვა როგორც საფრანგეთს, იქ დაბრუნების შესაძლებლობა იყო „თეორიული და ამდენად, გამოუსადეგარი მე-5 მუხლის დებულებების თვალსაზრისით“.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი დასაშვებად მიიჩნევს „უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ პირის მართლზომიერ დაპატიმრებას“. ამ ნორმის მიზნებიდან გამომდინარე „მსჯავრდება“ ჩადენილ დანაშაულში პირის ბრალეულობის დადგენას გულისხმობს. მსჯავრდება უნდა მოხდეს „უფლებამოსილი სასამართლოს“ მიერ, რაც გულისხმობს ორგანოს, რომლის ქვემდებარეობაშიც შედის შესაბამისი საქმის განხილვა. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მოითხოვს არა მარტო ქრონოლოგიურ, არამედ მიზეზობრივ კავშირს მსჯავრდებასა და პატიმრობას შორის.

საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მხოლოდ სასამართლო არის უფლებამოსილი, დანაშაულს ცნოს პირი და დაუნიშნოს მას სასჯელი. განაჩენსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში რაიმე ცვლილების შეტანა მხოლოდ სასამართლოს წესით შეიძლება.

პირის გამართლების შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, თუნდაც მისი გამართლების საწინააღმდეგოდ სააპელაციო ინსტანციაში საჩივარი იყოს შეტანილი. თავისუფლების აღკვეთით პირის მსჯავრდების შემთხვევაში, თუ პირი მსჯავრდებადღე წინასწარ პატიმრობის ვადა აღწევს განაჩენით დანიშნულ თავისუფლების აღკვეთის ვადას, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.⁴

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით „უფლებამოსილი სასამართლოს“ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 653-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენი გასაუქმებელია ყველა შემთხვევაში, თუ იგი სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ გამოიტანა.

თითოეულ შემთხვევაში მიზანი უნდა იყოს ის, რომ დაკავებული პირი წარდგენილ იქნეს კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების ორგანოს წინაშე. ამდენად, მე-5 (1)(გ) მუხლი წაკითხულ უნდა იქნეს მე-5(3) მუხლთან კავშირში, მაგრამ, რამდენადაც დაპატიმრების დროს კომპეტენტური იურიდიული ორგანოს წინაშე პირის წარდგენა თავდაპირველი განზრახვა იყო, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ და არც სასამართლოს წინაშე წარმდგარა არ ნიშნავს მე-5 (1)(გ) მუხლის დარღვევას, ვინაიდან „ამგვარი მიზნის არსებობა მისი მიღწევისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული.“⁵

მე-5(1)(გ) მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში „საფუძვლიანი ეჭვის“ საფუძველზე დაკავების უფლებამოსილებას იძლევა. თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე **Fox, Campbell and Hartley v. The United Kingdom (Judgments 8/30/1990)** სასამართლომ დაადგინა, რომ:

„ეჭვის საფუძვლიანობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია პირის დაკავება, წარმოადგენს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ასახული, თვითნებური დაკავებისა ან დაპატიმრებისაგან პიროვნების დაცვის ძირითად გარანტიას...“ საფუძვლიანი ეჭვის არსებობა გულისხმობს გარკვეული ფაქტებისა ან ინფორმაციის ქონას, რომლის საფუძველზეც ობიექტური ადამიანი ჩათვლიდა,

⁴ სსსკ 513-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტი

⁵ „ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1989) 11 EHR 117 პარაგრაფი 53.

რომ პირს შესაძლოა ჩადენილი აქვს დანაშაული, მაგრამ ის, თუ რა შეიძლება „ჩაითვალოს“ საფუძვლიანად, დამოკიდებულია ყოველი კონკრეტულ გარემოებაზე".

დადგენილება კი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა, გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.⁶

საქმეში *მიური და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Murrey and others v. The United Kingdom)* სადაც ფიგურირებდა ანტიტერორისტული კანონმდებლობა, ევროპის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აუცილებელი არ არის ეჭვის ხარისხი საკმარისი იყოს ბრალის წასაყენებლად, ვინაიდან:

„მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაკითხვის მიზანია გამოძიების წინ წაწევა დაკავების საფუძვლად გამოყენებული კონკრეტული ეჭვის დასაბუთებისა ან გაქარწყლების გზით. ამდენად, ეჭვის გამომწვევი ფაქტები აუცილებელი არ არის იყოს იმ ხარისხის, რაც საჭიროა მსჯავრდების გასამართლებლად ან თუნდაც ბრალის წასაყენებლად, რაც გამოძიების შემდგომი ეტაპია“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთად განსაზღვრულ დაკავებას, რომელიც გამოიყენება, თუ არსებობს საკმაო საფუძველი, ეჭვი მიიტანონ პირზე თავისუფლების აღკვეთით დასჯადი დანაშაულის ჩადენაში, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად.⁷

შეიძლება ითქვას, რომ ევროპული კონვენციითა და მასზე არსებული პრეცედენტული სამართლით მოთხოვნილი უწყვეტი კავშირი პირის თავისუფლების შეზღუდვასა და სისხლის სამართალწარმოებას შორის განმტკიცებულია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ბრალდებულს უფლება აქვს, დაესწროს მის წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სხდომას.⁸ კონსტიტუციის დებულების მსგავსად,⁹ საპროცესო კოდექსიც ადგენს, რომ დაკავების ვადა ბრალდების წარდგენამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს დაკავებულის მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.¹⁰

გარდა 160-ე მუხლში აღნიშნულისა, სხვაგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბრალდებულის მოსამართლის წინაშე წარდგენის შესახებ ვალდებულებაზე არსად არ არის პირდაპირი მითითება.

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს „იმ პირის მართლზომიერ დაკავებას ან დაპატიმრებას,.... რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით“. პატიმრობაზე აღნიშნული ნორმის მოქმედება გავრცელდება იმის მიუხედავად, განხორციელდება თუ არა ფაქტობრივად დეპორტაცია/ექსტრადიცია ან თუნდაც არ არსებობს პირის ექსტრადიციასთან დაკავშირებული ოფიციალური მოთხოვნა/ბრძანება მაშინ, როდესაც განხორციელებული მოკვლევა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ „ღონისძიებას“ უთანაბრდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას.

⁶ სსსკ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი

⁷ სსსკ 141-ე მუხლი

⁸ სსსკ 140-ე მუხლის მე-6 ნაწილი

⁹ „საქართველოს კონსტიტუცია“ მუხ.18(2) და (5)

¹⁰ სსსკ 146-ე მუხლის მე-7 ნაწილი

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი ეხება დაშვებას, რომ ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს თავისუფლებით და, შესაბამისად, ადამიანს თავისუფლება შეიძლება აღეკვეთოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ამასთან ერთად, „საკანონმდებლო ნორმები, რომელთა საფუძველზედაც ხორციელდება ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა და აღკვეთა, უნდა შეესაბამებოდეს ზომიერების პრინციპს“¹¹

თავისუფლების პრეზუმფციას ხაზს უსვამს მე-5 მუხლის იმპერატიულ მოთხოვნა, რომ თავისუფლების აღკვეთა იმაზე მეტხანს არ უნდა გრძელდებოდეს, რაც აბსოლუტურად აუცილებელია, და უნდა ექვემდებარებოდეს დაუყოვნებლივ აღდგენას, როდესაც იგი არ არის გამართლებული. მუხლში მოცემული დანარჩენი დებულებებიდან ნათლად ჩანს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება მათ, ვინც განახორციელა ადამიანის თავისუფლების აღკვეთა, მათ უნდა დაამტკიცონ არა მხოლოდ ის, რომ თავისუფლების აღკვეთისას გამოყენებული უფლებამოსილება შეესატყვისებოდა მე-5 მუხლში მოცემულ რომელიმე დებულებას, არამედ ისიც, რომ შეესაბამებოდა იმ ცალკეულ გარემოებებს, რომლებშიც გამოყენებული იქნა.

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადებს, მაგრამ ღუმს თავისუფლების აღკვეთის ვადების დაცვის მოთხოვნისაგან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავის მე-12, 152-ე, 162-ე მუხლებში იმეორებს კონსტიტუციის იგივე დებულებებს, მაგრამ არ ავსებს მის ხარვეზებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საერთოდ არაფერს არ ამბობს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს მოსამართლის ვალდებულებებზე. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია, რომ მოსამართლე ისმენს დაპატიმრებული ბრალდებულისა და მის დამცველის, აგრეთვე პროკურორისა და იმ გამომძიებელის განმარტებებს, რომელმაც მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ.

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ უთითებს ევროპული სამართლის მიერ გამონაკლის გარემოებებზე (მიმალვის საფრთხე, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, დანაშაულის აღკვეთის აუცილებლობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა), რომლებიც ამართლებს პირის პატიმრობაში შემდგომ ყოფნას, რომ მხოლოდ ამ გარემოებების არსებობისას საქმის მასალების გაცნობის ვადა არ ჩაითვალოს წინასწარი პატიმრობის კონსტიტუციურ ვადაში.“¹²

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს დაკავების ამომწურავ საფუძვლებს.¹³

ტერმინი დაკავება და დაპატიმრება მე-5 მუხლის თითქმის ყველა დებულებაში ურთიერთშენაცვლებით იხმარება და ამიტომაც ისინი განხილულ უნდა იქნეს არსებით კავშირში ნებისმიერ ღონისძიებასთან, რომლის შედეგიც პირის თავისუფლების აღკვეთაა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დაკავებას, აღკვეთის ღონისძიებებს და იძულების სხვა ღონისძიებებს რაც უკავშირდება თავისუფლების აღკვეთას.

საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლი დაკავებას განსაზღვრავს როგორც თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთას, რომელიც გამოიყენება, თუ არსებობს საკმაო საფუძველი, ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად.

¹¹ „ძირითადი უფლებები“ კ. კუბლაშვილი; თბილისი 2003, გვ 134

¹² "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება (გზამკვლევი)" **ევროპის საბჭო**, 2004 წლის ოქტომბერი, გვ.22

¹³ სსსკ 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

ვადებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კოდექსის 148-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პირს ეჭვმიტანილის მომენტიდან აღრიცხული დრო ბრალდებულის პატიმრობის ვადაში ითვლება.

აღნიშნული კოდექსის 166-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შინაპატიმრობასაც ითვალისწინებს, მაგრამ, მხოლოდ გარკვეული კატეგორიის პირებისათვის, რომელთა სრული იზოლაცია აუცილებელი არ არის, იზოლაციის არსებული ხარისხი და იძულების არსებობა სავსებით შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს მე-5 მუხლის ამოქმედებისათვის.

თავისუფლების აღკვეთის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირის სტატუსს. ეს ეხება პირებს, რომლებიც მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში და რომლებსაც დისციპლინური რეჟიმის საფუძველზე შეეზღუდათ თავისუფლება. საქმეში *ენგელი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel and others v. Netherlands, Judgments 6/8/1976)* დადგინდა, რომ მე-5 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება „დაკავების“ იმ ფორმაზე, რომელიც გულისხმობდა, რომ ჯარისკაცები, თუმცა თავიანთი ყოველდღიური მოვალეობის შესრულებას აგრძელებდნენ, არასამუშაო საათებში საგანგებოდ დაკავებისათვის განკუთვნილ, დაუკეტავ შენობაში იყვნენ განთავსებულნი. ჯარისკაცებს მე-5 მუხლის გამოყენების საშუალება მიეცათ მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფლების შეზღუდვა მათ მიმართ განხორციელდა უფრო მაკაცრი სახით, რომელიც გულისხმობდა საკანში მოთავსებას, რის შედეგადაც აღარ შეეძლოთ თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის შესრულება. ანუ აღნიშნულიდან გამომდინარე სამხედრო სამსახური თავისთავად თავისუფლების ნაკლებ ხარისხს გულისხმობს, შესაბამისად რიგით მოქალაქეების თავისუფლების შეზღუდვას უფრო მეტი ხარისხი უნდა ახასიათებდეს, რათა მე-5 მუხლის ზღვარს მიაღწიოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ბუნდოვანია თავისუფლებააღკვეთილი პირის სტატუსი მას შემდეგ, რაც წინასწარი გამოძიება დამთავრებულია და საქმე გადაცემულია სასამართლოსათვის, მაგრამ პირი ჯერ კიდევ არა არის სამართალში მიცემული.

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ პირის დაკავების მიზეზები უნდა ეცნობოს „დაუყოვნებლივ“ და არა „მაშინვე“. დაკავების მიზეზების სათანადოდ განმარტების მიუხედავად, როდესაც განმარტება შესაძლებელია, თავისთავად საკმარისი იქნება, რათა თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალოს თვითნებურად და, ამდენად, არამართლზომიერად მე-5 მუხლის მიზნებისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, „დაკავებულსა და დაპატიმრებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავებასა თუ დაპატიმრების მიზეზი, საფუძველი და დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ის ეჭვმიტანილია ან რომლის ჩადენაც მას ბრალად ედება“

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში გაერთიანებულია რიგი არსებითი გარანტიებისა, რათა თავისუფლების აღკვეთა იყოს გამონაკლისი თავისუფლების წესიდან და დაკავებასა და დაპატიმრებაზე სასამართლო ხელისუფლების ზედამხედველობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. სისხლის საპროცესო კოდექსი კონვენციასთან შესაბამისობაშია იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ პირი უნდა წარდგეს მოსამართლის წინაშე „სასწრაფოდ“, იმით, რომ ორივე მოკლე ვადებს ითვალისწინებს.

აღნიშნული პუნქტი ეხება მხოლოდ პატიმრობას მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აქვე გათვალისწინებულია გირაოს ინსტიტუტი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით “გირაო არის ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა(...) ბრალდებულის, განსასჯელის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში დროული გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე”.¹⁴ საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილით კი ხდება გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრა.¹⁵

¹⁴ ს.ს.ს.კ. მუხ.168(1)

¹⁵ „(. . .) გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით.“

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება ეხება ყველა შემთხვევას, პატიმრობის საფუძვლის მიუხედავად. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის მიმართვის საშუალება ყველა შემთხვევაში, მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, როდესაც თავისუფლების აღკვეთა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით არის გამართლებული.

დაკავებასთან მიმართებით კოდექსით არ არის დადგენილი არანაირი პროცედურა, რომლითაც დაკავებული პირი ან მისი დამცველი შეძლებდა დაუყოვნებლივ მოეთხოვა გათავისუფლება იმ საფუძველზე, რონ თავისუფლების აღკვეთა არამართლზომიერია. რაც შეეხება დაპატიმრებას, საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე, შეცვლასა თუ გაუქმებაზე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს მხარეთა, მათ შორის, დაცვის უფლებას, შეიტანონ შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის შესახებ ან აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შუამდგომლობით მიმართონ იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლის ბრძანების საფუძველზეც იქნა გამოყენებული აღკვეთის ეს ღონისძიება.¹⁶

კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი მოითხოვს, რომ ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს აღსრულებადი უფლება კომპენსაციასზე. „ასეთი უფლების არარსებობა უცილობლად გამოიწვევს პასუხისმგებლობას ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოებისას“.¹⁷

მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალება მხოლოდ მაშინ მოითხოვება, როდესაც შესაძლო მსხვერპლი მე-5 მუხლის 1-4 პუნქტების დებულებების საწინააღმდეგოდ იყო დაკავებული ან დაპატიმრებული.

კომპენსაციის მექანიზმი დეტალურადაა რეგლამენტირებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ნაწილით. კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს ზოგად ნორმას, რომლის თანახმადაც, უკანონოდ და დაუსაბუთებლად თავისუფლება შეზღუდულ პირს აქვს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

აღნიშნული უფლება გარანტირებულია ეჭვმიტანილებისათვისაც¹⁸ და ბრალდებულებისათვისაც¹⁹. უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით უნდა ანაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმის მიუხედავად, არის თუ არა დაკავებული მსჯავრდებული. და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ მე-5 მუხლის მოთხოვნათა ეფექტიანად განხორციელებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია კონვენციის ტექსტის განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ, რაც მიმართულია იმისკენ, რომ მიღწეულ იქნეს ევროპული კონვენციის მიზანი, რომელიც გულისხმობს, დაიცვას ადამიანის ნამდვილი უფლებები, რაც იმაში გამოხატება, რომ უფლებებს უნდა გააჩნდეს რეალური არსებითი შინაარსი და არ უნდა ანიჭებდეს ადამიანს დაცვის მხოლოდ ფორმალურ გარანტიას. შედეგად, თავისუფლების შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს როგორც გამოწვევისი და ნებადართული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამისათვის არსებობს დამაჯერებელი არგუმენტაცია.

¹⁶ სსსკ 140-ე მუხლის მე-17 ნაწილი

¹⁷ "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება (გზამკვლევი)" **ევროპის საბჭო**, 2004 წლის ოქტომბერი, გვ.202

¹⁸ ს.ს.ს.კ. 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი

¹⁹ ს.ს.ს.კ. მუხ.76 (2)

ადამიანის მოტაცებასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები

*ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს სისხლის
სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის
მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი*

ადამიანის მოტაცება უხსოვარი დროიდან მოსული დანაშაულია და თანამედროვე პირობებშიც როგორც წარსულის რუდიმენტი კვლავ იმეორებს მისთვის დამახასიათებელ თვისებებსა და ამავედროულად იძენს ახალ ისტორიულ ფორმას – ხდება ტრანსნაციონალური დანაშაული. ადამიანის მოტაცებაში რიგითი კრიმინალების გარდა ფარულად ჩართული არიან უცხო ქვეყნის ძალები. ხელყოფა ადამიანის სიცოცხლისა და მისი კონსტიტუციური უფლებების იმ პროცესების ხშირი შედეგია, რომლებიც სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შეჩერებისა და ხალხის ცხოვრების დესტაბილიზაციის შედეგად ვითარდებიან. ადამიანის მოტაცება, როგორც კრიმინოლოგიაში მართებულად აღინიშნება, ჩვეულებრივი რიგითი დანაშაული როდია, იგი თავისი არსით, გავრცელების მასშტაბით, შესრულების სისასტიკით, ამოუცნობი შედეგითა და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხით, ბევრად აღემატება „რიგით“ დანაშაულს, ამდენად განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე დანაშაულებრივ სისტემაში¹.

აღსანიშნავია, რომ ამ დანაშაულობამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში განსაკუთრებულად საშიში სახე XX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო. ამიტომაც მსოფლიოში ადამიანის მოტაცების გავრცელება სპეციალური განხილვის საგნად 1979 წელს გაეროს ასამბლეაზე იქცა, სადაც იგი ტრანსნაციონალურ დანაშაულად გამოცხადდა. ეს საკითხი კვლავ იქნა განხილული 2003 წელს. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. 55/25 რეზოლუციაში ასამბლეამ დასახა ძირითადი მიმართულებები, რომელიც რეკომენდირებულია ადამიანის მოტაცების წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა ამ დანაშაულობის თავიდან აცილების საკითხებზე².

ძველად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით – ადამიანის მოტაცების ისეთი ფორმაა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან. ამ საკითხს სპეციალურად მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XIII კონგრესი, რომელმაც აღნიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად აღწევს სახელმწიფო ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის შეიარაღებულ ძალებშიც. იგი ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესს, შლის ეთნიკურ ნორმებს და იჭრება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. ქრთამი, მოსყიდვა, პოლიტიკური კომპანიების დაფინანსება და ადამიანის მოტაცება ის ძირითადი ხერხებია, რომელთა საშუალებითაც დანაშაულებრივი ორგანიზაციები ისწრაფვიან მოიპოვონ პოლიტიკური გავლენა და თავიდან აიცილონ სასამართლო დევნა. კონგრესზე აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა პირდაპირ ემუქრება ნაციონალურ და საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და ფრონტალურ შეტევას ახორციელებს პოლიტიკურ და საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, რითაც საფრთხეს უქმნის თვით სახელმწიფოებრიობას; იგი არღვევს სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობას, კომპრომეტაციას უკეთებს მათ და საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესებისადმი ნდობის დაკარგვას უწყობს ხელს. იგი აფერხებს განვითარების პროცესს და აცამტვერებს მიღწეულ წარმატებებს. მას მსხვერპლის მდგომარეობაში ჰყავს მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობა და ადამიანთა დაუცველობას შემოსავლების მიღებისათვის იყენებს. ის თავისი გავლენის ქვეშ აქცევს და აკაბალებს საზოგადოების მთელ რიგ ფენებს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, ითრევს რა მათ სხვადასხვა და ერთმანეთთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში, კერძოდ, პროსტიტუციაში. კონგრესის მასალებში აღნიშნულია, რომ

¹ გ. ლლონტი, ადამიანის მოტაცება საქართველოში – კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა. თბ. .2003, გვ. 293.

² Международное сотрудничество в области предупреждения похищения людей, борьбы с ним и его искоренения и в области оказания помощи жертвам. – Резолюция 55/25 Генеральной Ассамблеи. 2003/ 28.

„ორგანიზებული დანაშაულობა“ წარმოადგენს უკანონობის ვერაგ ფორმას, რომლის დროსაც ცინიკურად ირღვევა ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები, რათა შემცირდეს დანაშაულის გამოაშკარავების რისკი და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნეს აუცილებელი შესაბამისი სასჯელი. ამგვარად, ორგანიზებული დანაშაულობა პირდაპირ, უშუალოდ და კონკრეტულად ზემოქმედებს მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაზე³.

ადამიანის მოტაცებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გაეროს კონგრესის მიერ დასახული პრევენციული ხასიათის ზომები.

უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია კონგრესის მიერ დანაშაულობასთან ბრძოლის ობიექტების კლასიფიკაცია. ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდებისას ხელყოფის უმთავრეს ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო (ორგანო ან თანამდებობის პირი). კონგრესი ამავსებულს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძირითადი საფრთხე შეიძლება გახდეს ქვეყნის კრიმინალური ფორმირების მიერ შექმნილი პარალელური არალეგალური (ზოგჯერ ლეგალიზებული) სახელისუფლებო სტრუქტურა, უკანონო შეიარაღებული ფორმირება, რომელიც კანონსაწინააღმდეგო ინტერესებს იცავს. ასეთი მიზნებისათვის კრიმინალური სამყაროს ელიტა ახორციელებს ისეთი ანტიკონსტიტუციური ქმედებების მომზადებას, ფინანსირებას და ორგანიზებას, როგორცაა ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივება, მასიური უწყესრიგობები, შეთქმულებები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად მძიმე სახელმწიფო დანაშაულობის – ტერორის, ბანდიტიზმის, კონტრაბანდის – სტიმულირება. ამის მაგალითია წარსულში არსებული „მხედრონი“ და დღესაც მოქმედი სეპარატისტული ორგანიზაციები.

სამართალდამცავი ორგანოების პროფილაქტიკური საქმიანობის უშუალო ინტერესს უნდა წარმოადგენდეს იმ პირობათა სფერო, რომელიც კვებავს ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდებას. ძირითადად პირობებს მიეკუთვნება სახელმწიფო ინსტიტუტების შევსება დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებით, კორუმპირებული ჩინოვნიკებით, სახელმწიფო საკუთრების დამტაცებლებით ე.წ. ცრუ მეწარმეებით, რომლებიც მზად არიან მოგების მიზნით აწარმოონ ყველანაირი სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობა და მჭიდრო კავშირი იქონიონ მაფიასთან. ამ პირობებს მიეკუთვნება აგრეთვე „ძალადობის სუბკულტურის“ ჩამოყალიბება. როგორც აღნიშნავს გ.დლონტი „დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობა საფრთხეს უქმნის საზოგადოების საფუძვლებს. დამნაშავეთა ჯგუფების სპეციალიზაციის მიუხედავად, უკვე თვით ფაქტი მათი საქმიანობის აღმოცენებისა და გაფართოების, სერიოზულ სამიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. ორგანიზებული დანაშაულობა ძირს უთხრის როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური ხასიათის ღირებულებებს, რომლებიც საზოგადოების ფუნდამენტის გამყარებას ემსახურება და ქმნის თავის საკუთარ „ანტიღირებულებებს“, „ანტიფასეულობებს“. ორგანიზებული დანაშაულობა საკუთარ თავის უქმნის იმიჯს ძალისას, რომელსაც შეუძლია საბუთო ადგილების და ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, აგრეთვე ძალაუფლების ფუნქციების აღება – მართვა, კანონმდებლობა და მართლწესრიგის დამყარება, რაც გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. მოზარდ თაობებში ხდება ქურდული ტრადიციების და განგსტერული ცხოვრების იდეალიზება, პრინციპის – „ფულს სუნი არ უღის“ – დამკვიდრება.⁴

მძევლად ხელში ჩაგდებას წინ უძღვის კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლების მოსყიდვის მცდელობა და დაშინება. ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია ადრინდელი პრევენციის ზომები, რადგან თავს იჩენს ისეთი ნეგატიური პროცესი, როდესაც ორგანიზებული დანაშაულობა ძირს უთხრის ადამიანების უფლებების დაცვის ინსტიტუტებს მათი ღირებულებების დისკრედიტაციისა და შესაბამისად ქმედითუნარიანობის შესუსტების ხარჯზე.

მძევლად ხელში ჩაგდების დროს დამნაშავეს მიზანია, სახელმწიფო ხელისუფლებას შეასრულებინოს ესა თუ ის მოქმედება ან თავი შეაკავებინოს ასეთი მოქმედებისაგან. ამასთანავე ეს მოქმედება

³ Доклад Всемирной сети за выживание. Вашингтон.1997,с.52.

⁴ ჯ.ვაბელია, ადამიანის მოტაცება საქართველოში – კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა. თბ. .2003, გვ.303

ტერორისტულ მიზანსაც ასრულებს მოსახლეობის დაშინებისა და ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედების კუთხით. დამნაშავე ხელთ იგდებს პიროვნებას და ამით გარკვეულწილად პარალიზებას უკეთებს საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმს. ადამიანის მოტაცების ამ ფორმასთან ბრძოლის წინაშე შესაძლოა არსებობდეს ძალადობის ორი სახეობა: 1. ძალადობა, რომელსაც თავისი ტერიტორიების და შემოსავლების დასაცავად მიმართავენ შესაბამისი ორგანიზაციები და 2. მოსახლეობის და ქონების წინააღმდეგ ძალადობა, რომელსაც ახორციელებენ ცალკეული პირები იმ მიზნით, რათა მიიღონ სახსრები უკანონო საქონლის და მომსახურების საზღაურად.

მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით ადამიანის მოტაცებასთან ბრძოლის სისტემაში წარმოადგენს სპეციალურ რეგიონალურ პრობლემატიკას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საზღვრებს მიმდებარე ტერიტორიების ნარკობიზნესისაგან დაუცველობის საკითხი. ტერორისტული მიზანზრახვა ადამიანის მოტაცებისას ხშირად ამ „ბიზნესის“ ზეგავლენით ხორციელდება. მართალია, საქართველო არ აწარმოებს არც ერთ ნარკოტიკს და არ არის მისი მკვეთრად გამოხატული მომხმარებელი, მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ის ტრანზიტულ ქვეყნად იქცა, რითაც ხდება მოსახლეობის ნაწილის მიზიდვა ნარკობიზნესთან დაკავშირებული კონტრაბანდის გადამუშავებისა და გამოყენების საქმეში. ასეთი მდგომარეობა მკვეთრად ამწვავებს რესპუბლიკაში საერთო კრიმინოლოგიურ ვითარებას, რადგანაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას ყოველთვის ძალადობა და ადამიანის მოტაცება მოჰყვება, რომელსაც შეკვეთით ჩადიან ფსიქოტროპული პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები. ადამიანის მიტაცებასთან და განსაკუთრებით მის ისეთ საშიშ ფორმასთან როგორცაა - მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით, ბრძოლის საფუძველს შარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება. ამაზე პირდაპირ მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XIII კონგრესი, რომელიც უპირველეს ყოვლისა მოითხოვს პოლიტიკური და საკანონმდებლო ხელისუფლების დამანგრეველი პროცესების შეჩერებას.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, თუ 90-იანი წლების დასაწყისში რა გავლენა მოახდინეს საზოგადოებაზე კრიმინალურმა ორგანიზაციებმა სახელმწიფოსა და მის წარმომადგენლებზე. როგორც ცნობილია, დანაშაულებრივი კლანები 1992-1995 წ.წ. თითქმის ლეგალურ საფუძველზე აკონტროლებდნენ რესპუბლიკის მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები არა მხოლოდ კომერციულ სტრუქტურებში, არამედ კურიერებდნენ საჭირო ხალხის დანიშნასაც საჭირო პოსტებზე ძალოვან სამინისტროებში. ამ მომენტში ნათლად ჩანს ადამიანის მოტაცების სოციალური ბუნება და ამასთან დაკავშირებით პრევენციული ზომების ობიექტი. მსხვერპლად გამოდის ის ვინც უპირისპირდება ორგანიზებულ დანაშაულს. საქართველოს უახლესმა ისტორიამ პრაქტიკულადაც დაადასტურა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა გარდაუვალად შედის კონფლიქტში ოფიციალურ ხელისუფლებასთან, ვინაიდან თითოეული დანაშაულებრივი ქსელი ძალოვანი მონოპოლიის დამყარებისა და მისი შენარჩუნებისაკენ ისწრაფვის. ამისათვის ის იყენებს დანაშაულებრივი ქმედების, სულ ცოტა ორ სახეობას: სახელმწიფო მოხელეთა და კერძო კომპანიების თანამშრომელთა კორუფციასა და ძალადობრივ ტერორისტულ ქმედებებს.

გაერთიანებული ერების არაერთმა კონგრესმა დაადასტურა, რომ კრიმინალური ორგანიზაციები არყევენ სამოქალაქო საზოგადოების საფუძველებს, აღვივებენ და ზრდიან დაძაბულობას ქვეყნის შიდა პოლიტიკაში და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო მმართველობის ნორმალურ ფუნქციონირებას, სამართლებრივი წესრიგის განხორციელებას. მათი საქმიანობა განსაკუთრებით ეფექტურია, თუ სახელმწიფო კონტროლი სუსტია ან არასტაბილური⁵. ამ არასტაბილურობას ისინი არამცთუ ხელს უწყობენ, არამედ მთელ თავიანთ ძალისხმევას სამართალდამცავი ღონისძიებების ნეიტრალიზაციიდან

⁵ Всемирный отчет о преступности и правосудии. Издание для ООН. Центр профилактики международной преступности, Под ред. Г.Ньюман. Владивосток, Изд-во ДВГУ, 2000, с. 273-285; Н.И. Костенко, Роль Организации Объединенных Наций в предупреждении транснациональной организованной преступности - Право и политика. 2003, № 9, с. 100-109 и т.п.

მთავრობაში ადგილების დაკავებისა და უმაღლესი ხელისუფლების ხელში ჩაგდებისაკენ მიმართავენ.

ადამიანის მოტაცება, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულობის შემაღვენი ნაწილი, საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ღირებულებების და პროგრესული საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარების.

ამიტომ გაერთიანებული ერების გადაწყვეტილებათა მიხედვით ადამიანის მოტაცებასთან ბრძოლის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი დემოკრატიული ფასეულობებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებას უკავია.

როგორც 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მომხდარი მოვლენები გვიჩვენებენ კრიმინალური კლანები იწყებენ სახელისუფლებო ორგანოებში შეღწევის სამართალმცავი ღონისძიებების ნეიტრალიზაციის მიზნით. თანამდებობის პირების შეშინებით და ზოგიერთის მოტაცებით ისინი ცდილობენ კანონრების დაცვის მოთხოვნის მიმართ დაამკვიდრონ სახელმწიფოს ნეიტრალური პოზიცია. ამ მიზნის მისაღწევი ერთ-ერთი გზა ფარულ შეთანხმებაში მდგომარეობს ძალადობის შეზღუდვის შესახებ მანამ, სანამ მთავრობა არ ჩაერევა მოცემული დაჯგუფებების ეკონომიკური საწარმოების ფუნქციონირებაში; მეორე გზას წარმოადგენდა იმ პირთა კორუმპირებულობა, რომელთაც შეეძლოთ დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობის პარალიზება, და ბოლოს, მესამე გზა, რომლის დროსაც მთავრობა და დანაშაულებრივი ორგანიზაცია ამყარებდნენ მჭიდრო ურთიერთკავშირს და პირდაპირ შედიოდნენ დანაშაულებრივ გარიგებაში; ასეთ პირობებში სამთავრობო სტრუქტურების როლი პრაქტიკულად დაიკარგებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის მფარველობამდე, რაც იმავდროულად მათ მაფიის მძევლებად აქცევდა. ფაქტიურად ადამიანის მოტაცებაში მონაწილეობას იღებდნენ პოლიციის თანამშრომლები.

ადამიანის მოტაცებასთან (სსკ-ის 329 მუხ.) ბრძოლის სისტემის განუყოფელ შემაღვენილობას იმ სფეროების პროგნოზული დადგენა წარმოადგენს, სადაც სავარაუდოა ამ დანაშაულის აღმოცენება. კრიმინოლოგთა გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ორგანიზებული დანაშაულობის ხელში ყოველთვის რჩება ყველაზე მომგებიანი დარგი⁷. ანალოგიური მდგომარეობა ფიქსირდება 90-იან საქართველოში, როდესაც ეკონომიკის განსაკუთრებით შემოსავლიანი სფეროები (სიგარეტისა და ალკოჰოლის ბიზნესი, ნავთობპროდუქტების და ენერგომატარებლების რეალიზაცია) მაფიოზების ხელში რჩებოდა და ერთდროულად წარმოადგენდა იმ ორგანოებისა და ორგანიზაციების სარისკო ზონას, რომლებიც უპირისპირდებოდნენ კრიმინალებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად ნეაპოლის 1994 წლის „მსოფლიოს კომფერენციაზე“ მიღებულმა დოკუმენტმა დაცვის ხერხად, პოლიტიკური ურთიერთობათა დაცვა აღიარა⁸.

ამით გამოყოფილი იქნა სფერო, სადაც სავარაუდოა მძევლად ხელში ჩაგდების ან ამ მოქმედების შესრულების მუქარის აღმოცენება. ასეთ სფეროს შეიძლება წარმოადგენდეს საარჩევნო სისტემა. როგორც ცნობილია, საქართველოში 90-იან წლებში საარჩევნო კომპანიების ფინანსური უზრუნველყოფის მეშვეობით ორგანიზებულმა დანაშაულობამ შეძლო წარმომადგენლობითი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოებში პოლიტიკური მოღვაწეების კორუმპირების გზით შეღწევა და ამ უკანასკნელთა მიერ კრიმინალური საქმიანობის მფარველობის უზრუნველყოფა. ორგანიზებული დანაშაულობა ახდენს რა მუქარის სახით ზეგავლენას არჩევნებზე ხელისუფლების სხვადასხვა

⁶ Овчинский В.С. XXI век против мафии. Криминальная глобализация и Конвенция ООН против транснациональной организованной преступности. М.: Инфра-М, 2001

⁷ Д.А.Ситников, Уголовно-правовая и криминологическая характеристика похищения человека. Автореферат диссертации.М.2001

⁸ Проблемы и опасности, которые создает организованная транснациональная преступность в различных регионах мира. Справочный документ Всемирной Конференции на уровне министров по организованной транснациональной преступности. Неаполь 21-23 ноября. 1994 E/ CONF 88/2 1994 Aug. 18, p.7

სტრუქტურებში და კანონმდებლობის პროცესებზე, ძირს უთხრის პოლიტიკურ სისტემას მთლიანად.

ადამიანის მოტაცება, როგორც ცნობილია, სპეციალურად იყო განხილული 1979 წელს გაეროს ასამბლეაზე, სადაც ეს დანაშაული გამოცხადდა ტრანსნაციონალურ დანაშაულად. ამ საკითხის განხილვას გაეროს გენერალური ასამბლეა კვლავ დაუბრუნდა 2000 და 2003 წლებში. თავის რეზოლუციებში გაერომ დასახა რეკომენდაციები ადამიანის მოტაცებასთან ბრძოლის განსაზღვრის შესახებ, სადაც სიტყვის თავისუფლების დაცვა პრიორიტეტულ მიმართულებად იყო განსაზღვრული.⁹ აღნიშნული იყო, რომ სიტყვის თავისუფლება ილახება იმის გამო, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციები ხელში იგდებენ კონტროლს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე გაზეთების, რადიო თუ ტელევიზორების შექმნის ან მათი გავლენიანი წარმომადგენლების მოსყიდვის გზით.

ამრიგად, თავისუფლების უკანონო აღკვეთის (ფართო გაგებით) წინააღმდეგ შექმნილი პროპაგანდისტული არეალი პროფილაქტიკური ღონისძიებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ძალადობის ანტიპროპაგანდა ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ჟურნალისტის თვალთახედვა შესაძლოა არც თუ ისე ობიექტური იყოს, ხოლო ინფორმაციის წყაროები, რომლებითაც ის სარგებლობს, ხშირად არ იმსახურებენ ნდობას. ამ ნაკლოვანებებს იყენებენ კრიმინალური კლანები. ინფორმაციის საშუალებების არაობიექტური გამოყენების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ასევე აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც ატარებს ფართო ანტიქართულ კამპანიას, რაშიც მათ დახმარებას რუსეთის კორუმპირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც უწევენ.

ადამიანის მოტაცებასთან ბრძოლის საკითხების განხილვისას გენერალური ასამბლეის მიერ იყო აღნიშნული, რომ ეს დანაშაული წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულობის ანტისახელმწიფოებრივი „პოლიტიკის“ გავრძელების მომენტს¹⁰.

კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე პირობებში ამ დანაშაულის საფუძველს წარმოადგენს ასევე დამნაშავე კლანების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში სეპარატისტული განწყობის გავრცელება და გამოყენება¹¹.

საქართველოს ტერიტორიაზე მაფიოზურ-კორუმპირებულმა ნაციონალ ექსტრემისტულმა კლანებმა დაარღვიეს საქართველოს სუვერენიტეტი, მისი ტერიტორიული მთლიანობა და ამ პროცესის შენარჩუნების მიზნით მიმართავენ ყველა ხერხს, მათ შორის ადამიანის მოტაცებას. ამ პირობებში პროფილაქტიკური საქმიანობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ქვეყნის რეფორმებთან, სუვერენიტეტის აღდგენის პროცესებთან.

ორგანიზებული დანაშაულობა ხელყოფს ასევე ეროვნულ ეკონომიკას. საერთაშორისო ორგანიზაციები ამ საკითხზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ, რადგან ორგანიზებული კლანების და კრიმინალების თარემის უშუალო შედეგია ბიზნესმენების განშირებული მოტაცების შემთხვევები. როგორც ადამიანის მოტაცების ბოლო ათწლეულის ისტორია გვიჩვენებს ამ დანაშაულის გავრცელების სფეროები ქვეყნის ენერგეტიკის ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, წარმოების, ბუნებრივი რესურსების, კრედიტებისა და ჰუმანიტარული დახმარების განაწილება ხდება. დანაშაულობასთან ბრძოლის სისტემისათვის გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში ნაციონალურ ეკონომიკას რე-

⁹ Международное сотрудничество в области предупреждения похищения людей, борьбы с ним и его искоренения и в области оказания помощи жертвам. – Резолюция 55/25 Генеральной Ассамблеи. 2003/ 28; Всемирный отчет о преступности и правосудии. Издание для ООН. Центр профилактики международной преступности (Под ред. Г.Ньюман). Владивосток. Изд-во ДВГУ. 2000, с. 273-285 და სხვ

¹⁰ Международное сотрудничество в области предупреждения похищения людей, борьбы с ним и его искоренения и в области оказания помощи жертвам. – Резолюция 55/25 Генеральной Ассамблеи. 2003/ 28;

¹¹ Р.М. Акутаев, Некоторые аспекты криминологической характеристики похищения граждан. - Государство и право.2001, № 2; Ю.Клишин, Похищение человека, незаконное лишение свободы и захват заложников – преступления разные. – Закон. 2002, № 6

ალური საფრთხე ექმნებოდა იმით, რომ საქართველოში რეგიონულ და დარგობრივ დონეებზე მიმდინარეობდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების მიერ მთელი საზოგადოების მატერიალური ფასეულობების ფლობის და განკარგვის უფლების ხელში ჩაგდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული მრავალმილიონიანი შემოსავლები ფულის ლეგალიზაციის კარგად დამუშავებული სისტემის პირობებში სულ უფრო ფართოდ ინვესტირდება კანონიერ საწარმოებში. ეს პროცესი რამდენიმე მიზანს ემსახურება, რომელთა შორის უფრო აშკარაა უკანონოდ შექმნილი ფულის „გათეთრებისკენ“ სწრაფვა, ამ მიმართულებით ადამიანის მოტაცების სავარაუდო შემთხვევების პროგნოზირების მოდელირებამ უნდა გაითვალისწინოს ისეთი კრიმინოგენური სიტუაციების არსებობა, როდესაც არაკანონიერად მიღებული სახსრების ჩადება ლეგალურ ეკონომიკაში უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენით მიღებული თანხების ეფექტურ ლეგალიზაციას. ამ პირობებში მძევლად ხელში ჩაგდება სახელმწიფო ფინანსური ორგანიზაციების იძულების მიზნით კრიმინოლოგების მიერ შეფასებულია როგორც სავარაუდო შედეგი და ა.შ.¹².

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ცალკეული ბანკების, ფულის „გათეთრების“ მიზნით აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებული საბანკო ოპერაციები, რაც პირველ რიგში, სერიოზულ საფრთხეს საქართველოს ეკონომიკას უქმნის

სამართალდამცავ პრაქტიკაში, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო პრაქტიკა, გასათვალისწინებელია კრიმინოგენური სიტუაცია, როდესაც ადამიანის მოტაცების მსხვერპლად გამოდის კრიმინალების მიერ შესყიდული საწარმოს წევრები, პირები, რომლებიც ზრუნავენ მიღებული შემოსავლების მოცულობაზე, გადასახადების გადახდაზე და სხვა. ორგანიზებული დანაშაულობის შეღწევის ლეგალურ ეკონომიკაში თითქმის გარდაუვალად მივყავართ საბაზრო ურთიერთობათა რღვევისაკენ, რომლის აღეკვამურ ხერხს ადამიანის მოტაცება წარმოადგენს.

¹² Э.А. Иванов, Отмывание денег и правовое регулирование борьбы с ним. М., 1999. стр.11

წამების ფაქტების სამართლებრივი გამოძიება

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად სახელმწიფოებმა სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ წამების გამოყენების ფაქტები. თუ შეტყობინებებში არსებული მტკიცებულებანი იმის საფუძველს იძლევა, სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც წამების გამოყენებაში ბრალდებული ამ აქტებთან კავშირის მქონე პირი უნდა გადასცეს საქმე საკუთარ კომპეტენტურ ორგანოებს დევნის მიზნით ეროვნული ან ადგილობრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად. წამების შემთხვევათა ნებისმიერი რეალური გამოძიების ფუძემდებელ პრინციპებს წარმოადგენს მისი კომპეტენტურობა, მიუკერძოებლობა, სისწრაფე და გონივრულობა. ეს ელემენტები ამა თუ იმ ფორმით ადაფტირებული იყოს ნებისმიერ სამართლებრივ სისტემასთან და გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პრინციპები წამების გამოყენების შესახებ მტკიცებულებებთან დაკავშირებული ყველა გამოძიების ჩატარების დროს.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების პროცედურები მითხოვენ არ აკმაყოფილებენ რესურსების ან გამოცდილების უკმარისობის, წინასწარ აკვიატებული გამოვლენის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სისტერატური შემთხვევების გამო ან რაიმე სხვა არსებითი მიზეზით, სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ გამოძიება დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიების მეშვეობით ან რომელიმე ანალოგიური პროცედურების ჩარჩოებში. ასეთი კომისიების შემადგენლობაში აირჩევიან ადამიანები, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი მიუკერძოებლობით, კომპეტენტურობით და დამოუკიდებლობით. კერძოდ, ისინი დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ ნებისმიერი დაწესებულების, უწყების ან პირის მიმართ, რომელთა ქმედებებზეც შეიძლება ტარდებოდეს გამოძიება.

გამოძიების მიზნები წამების შესაძლო გამოყენებისას. ჩასატარებელი გამოძიების ზოგადი მიზანი მდგომარეობს იმ ფაქტების დადგენაში, რომელიც ეხება წამების გამოყენების სავარაუდო შემთხვევებს, იმ პირთა გამოსავლენად, ვინც პასუხს აგებს ასეთ შემთხვევებში და სასამართლო დევნის ხელშესაწყობად ან სხვა ზომების ჩარჩოებში ასეთი ფაქტების გამიყენების ნიშნით, წამების მსხვერპლთა ინტერესებიდან გამომდინარე, მოცემულ ნაწილში წამოწეული პრობლემები შეიძლება წამების ფაქტების სხვა ფორმებსაც ეხებოდეს. ამ მიზნის მისაღწევად გამოძიების ჩატარებელმა პირებმა თავისი ძალისხმევა უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ განცხადება მიიღონ წამების გამოყენების სავარაუდო მსხვერპლთაგან; მოიძიონ და შეინახონ მტკიცებულებები სავარაუდო წამების თაობაზე, მათ შორის სამედიცინო მტკიცებულებანიც, რაც დაეხმარება მათ დამნაშავეს დევნის დროს; გამოავლინონ შესაძლო მოწმეები და მათგან ნმიიღონ წამების სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებული ჩვენებები; დაადგინონ თუ როგორ, როდის და სად ჰქონდა ადგილი წამების გამოყენების სავარაუდო შემთხვევებს, ისევე როგორც ნებისმიერ ტიპიურ გარემოებებს, რომლებსაც გამოიწვია წამების გამოყენება.

ბ. წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

- ა) ფაქტების გარკვევა და დაზარალებულთა და მათი ოჯახების წინაშე ინდივიდუალური და სახელმწიფო პასუხისმგებლობის დადგენა და აღიარება;
- ბ) რეციდივების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების განსაზღვრა;
- გ) იმ პირთა ხელშეწყობა სასამართლო დევნისათვის ან შესაბამის შემთხვევაში დისციპლინარული დასჯისათვის, რომელთა ბრალი დადგენილია გამოძიების მსვლელობაში, აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან სრული ანაზღაურებისა და კომპენსირების აუცილებლობის დასაბუთება, სამართლიანი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციისათვის საშუალებების გამოყოფის ჩათვლით.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი წამების ფაქტის საჩივრებისა და შეტყობინებების ეფექტური გამოძიება. პირდაპირ გამოხატული წამების ფაქტზე საჩივრის არსებობის დროსაც კი

უნდა ჩატარდეს გამოძიება. გამოძიების ჩამტარებელი პირი, რომლებიც დამოუკიდებელი უნდა იყვნენ სავარაუდო დამნაშავეებისა და იმ დაწესებულებებისაგან, სადაც ისინი მუშაობენ, კომპეტენტური და მიუკერძოებელი უნდა იყვნენ. მათ შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მიმართონ სამედიცინო და სხვა ობიექტურ ექსპერტებს, ან უფლება ჰქონდეთ მოიწვიონ ისინი გამოზიების ჩასატარებლად. ასეთი გამოძიების ჩატარებისას გამოყენებული მეთოდები უნდა აკმაყოფილებდეს ყველაზე მაღალ პროფესიულ მოთხოვნებს, ხოლო მათი დასკვნა საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

საგამოძიებო ორგანოს უფლება აქვს და ვალდებულია გამოძიების ჩასატარებლად მოითხოვოს აუცილებელი ინფორმაცია. გამოძიების ჩამტარებელ პირებს თავიანთ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ ყველა აუცილებელი საფინანსო და ტექნიკური საშუალება გამოძიების ეფექტურად ჩასატარებლად. ისინი უფლებამოსილი უნდა იყვნენ დაავალდებულონ ოფიციალური სახით მოქმედი და წამების გამოყენებასთან სავარაუდო კავშირის მქონე პირები, რომ ისინი გამოცხადდნენ ჩვენებების მისაცემად. იგივე ეხება სხვა ნებისმიერ მოწმესაც. მოითხოვს მათგან მტკიცებულებათა წარდგენა. წამების სავარაუდო მსხვერპლები, მოწმეები, გამოძიების ჩამტარებელი პირები და მათი ოჯახები დაცული უნდა იყვნენ ძალადობისაგან, ძალადობის გამოყენების მუქარებისაგან ან ღმინების სხვა სახეებისაგან, რომელიც შესაძლებელია გამოძიებასთან დაკავშირებით. პირები, რომლებსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეთ წამებასთან ან სასტიკ მოპყრობასთან, მოცილებული უნდა იქნენ ნებისმიერ თანამდებობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უზრუნველყოფს კონტროლს ან ძალაუფლების მოსარჩლეების, მოწმეებისა და მათი ოჯახების, აგრეთვე გამოძიების ჩამტარებელ პირთა მიმართებაში.

წამების სავარაუდო მსხვერპლებს და მათ წარმომადგენლებს უნდა ეცნობოს გამოძიებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოსმენისა და ინფორმაციის შასახებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების დადგენილი პროცედურები არ აკმაყოფილებს შესაბამისი ორგანოების კომპეტენტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სისტემატური შემთხვევების არსებობის გამო, ან სხვა არსებითი მიზეზით, სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ გამოძიება დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის საშუალებით ან რომელიმე ანალოგიური პროცედურის ჩარცოებში. ასეთი კომისიის შემადგენლობაში აირჩვიან ადამიანები, რომლებიც ცნობილი არიან მიუკერძოებლობით, კომპეტენტურობითა და დამოუკიდებლობით. კერძოდ, ისინი დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ ნებისმიერი დამნაშავე პირის, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, სადაც ისინი შეიძლება მუშაობდნენ. კომისია უფლებამოსილი უნდა იყოს გამოძიების ჩასატარებლად მოითხოვოს აუცილებელი ინფორმაცია და ჩაიტაროს გამოძიება მოცემული პრინციპების შესაბამისად, გონივრული ვადის განმავლობაში მოამზადოს წერილობითი მოხსენება ჩატარებული გამოძიების შესახებ, სადაც მიუთითოს პაქტობრივ მდგომარეობაზე და იმ საკითხებზე, რომლებიც ექვემდებარება გამოძიებას. მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, წარმოადგინოს საჭირო დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები საქმესთან დაკავშირებით.

ინფორმაციის გავრცელება წამების აკრძალვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი დამატებითი პოლიტიკური ვალდებულება, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლში მოიაზრება და თავისებურებას წარმოადგენს, არის წამების აკრძალვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება, რომელიც აკისრიათ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი მოხსენების თანახმად, კომიტეტი ინფორმირებული უნდა იყოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავრცელებენ სახელმწიფო მხარეები მოსახლეობის ფართო მასებში შესაბამის ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია წამებისა და საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით დავმობილი სხვა ქმედებების აკრძალვასთან. სასჯელალსრულების დაწესებულებების პირადი შემადგენლობა, სამედიცინო პერსონალი, პოლიციის ოფიცრები და ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც შეეხება აქვს საპყრობილებთან ან ციხესთან, ან იმ ადამიანებთან მიმართებაში განხორციელებულ ქმედებებთან, რომლებიც რაიმე ფორმით ექვემდებარებიან დაკავებას, წინასწარ პატიმრობას ან პატიმრობას, უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები. სახელმწიფო მხარეებმა უნდა შეატყობინონ კომიტეტს, თუ რა ინსტრუქციები თუ ტრენინგები იქნა გამოცემული ან განხორციელებული იმისათვის, რათა მე-7 მუხლით

დაგმობილი ქმედებების აკრძალვა მტკიცედ და განუხრელად იქნეს დაცული ასეთი პირების მიერ. ანალოგიურ პოზიტიურ ვალდებულებას ითვალისწინებს ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-10 მუხლი.

პოზიტიური ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს პატიმრის სრული იზოლაციის თავიდან არიდებას. ზოგადი მოხსენების მე-11 პუნქტში, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ დაკავებული ან დაპატიმრებული პირის სრული იზოლაციაში მოთავსება, როდესაც მას საშუალება არ აქვს შეხვდეს თავის ადვოკატს, მისი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელს, ოჯახის წევრებს, სამედიცინო პერსონალს, უნდა იქნეს აკრძალული, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საწინააღმდეგო კონვენციის 1-ლი მუხლით აკრძალული არასათანადო მოპყრობა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიც კრძალავს პატიმრის სრულ იზოლაციას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, რომელიც დაკავშირებულია კონვენციის მე-3 მუხლთან, იგმობა მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი პირის სრულ იზოლაციაში მოთავსებახანგრძლივი დროის განმავლობაში, როდესაც პირს არა აქვს რაიმე სოციალური კონტაქტი გარე სამყაროსთან და რამაც მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგი გამოიწვია მის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაში. საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კი ამ ვალდებულებას ითვალისწინებს იმ მოტივით, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელების საფრთხე.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის თანახმად,

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. კერძოდ არავინ შეიძლება დაექვემდებაროს მისი თანხმობის გარეშე სამედიცინო ან სამეცნიერო გამოკვლევებს მისი თანხმობის გარეშე“.

საერთაშორისო პაქტი არ მოიცავს მე-7 მუხლით მოცული ტერმინების განმარტებას. ტერმინთა განმარტება არ გვხვდება არც საერთაშორისო პაქტის საზედამხედველო ორგანოს, ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ოურისპუდენციაში. განსხვავებები ტერმინებს შორის დამოკიდებულია გამოყენებულ ქმედების ხასიათზე, მიზანსა და სიძლიერეზე. აღნიშნული მკვეთრად განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკისაგან, რომელშიც სტრასბურგის სასამართლო მე-3 მუხლთან დაკავშირებულ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განმარტავს, თუ მე-3 მუხლით დაცული რომელი დებულების დარღვევას ჰქონდა ადგილი. ადამიანის უფლებათა კომიტეტი კი მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს და აფიქსირებს მე-7 მუხლის დარღვევას და არ უთითებს ხსენებული მუხლითმოცული რომელი კონკრეტული დებულების დარღვევას ჰქონდა ცალკეულ შემთხვევაში. ზოგად მოხსენებაში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გააკეთა ზოგადი განცხადება საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებებთან დაკავშირებით.

„სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დებულებათა მიზანს წარმოადგენს დაცვა როგორც ინდივიდის დაცვისა, ასევე მისი ფიზიკური და სულიერი ხელშეუხებლობისა. სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს, უზრუნველყოს ყოველი პირის დაცვა საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებათა საშუალებით, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი იყოს მე-7 მუხლით აკრძალული იმ ქმედებების აღმოსაფხვრელად და საწინააღმდეგოდ, რომლებიც განხორციელებულ იქნა როგორც თანამდებობის პირების მიერ, ასევე იმ პირების მიერ, რომლებიც არ ასრულებენ თანამდებობრივ მოვალეობებს და ასევე კერძო პირების მიერ. მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა ასევე გამყარებულია პაქტის მე-10 მუხლში წარმოდგენილი პოზიტიური მოთხოვნებით, რომელთა თანახმადაც, „ყველა პირს, ვისაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, უნდა მოეპყრან ადამიანურად და ადამიანისათვის შესაფერისი ღირსებით“.

ადამიანის უფლებათა ზოგადი მოხსენების თანახმად, მე-7 მუხლი არ უშვებს რაიმე სახის გამონაკლისს არც ერთ შემთხვევაში. კომიტეტის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ისეთ სიტუა-

ციებშიც კი, როგორცაა საგანგებო მდგომარეობა ან საომარი მოქმედებები არანაირი სახის გადახვევა არ არის ნებადართული მე-7 მუხლის დებულებებიდან. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ დაუშვებელია მე-7 მუხლის დებულებათა დარღვევის გამართლება ისეთი მიზეზითაც კი, როგორც არის ზემდგომი თანამდებობის პირის ან ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ მიღებული ბრძანება.

ანალოგიური დებულებები გვხვდება წამების საწინააღმდეგო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-2 მუხლშიც, რომლის თანახმადაც: „არანაირი სახის გამონაკლისი გარემოებები, თუნდაც ეს იყოს საომარი მდგომარეობა ან ომის საშიშროება, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო მდგომარეობა, შეიძლება იქნეს მოყვანილი წამების გასამართლებლად“.

ზემოხსენებულიდან ნათლად ჩანს, რომ არანაირი სახის პროპორციულობაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, როდესაც ვსაუბრობთ პაქტის მე-7 მუხლზე და წამების საწინააღმდეგო კონვენციაზე. მაგრამ მსოფლიო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი პრაქტიკა, რომელიც არათუ დაშვებულია სახელმწიფოში, არამედ საკანონმდებლო დონეზეც კი არის გამართლებული კონკრეტულ შემთხვევებში. მაგალითად, ისრაელში კანონმდებლობა ნებას რთავს ხელისუფლების წარმომადგენლებს გამოიყენონ „თანამედროვე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა“ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკითხვის პროცესში. 1997 წელს ისრაელმა განაცხადა, რომ ხსენებული მეთოდების გამოყენების შედეგად თავიდან იქნა აუცილებელი დაახლოებით 90-მდე ტერორისტული აქტი, რის შედეგადაც გადარჩენილი იქნა უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. მიუხედავად ხსენებული სტატისტიკისა და ისრაელის მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციისა, წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა მაინც დააკვალიფიცირა ზოგიერთი დაკითხვის მეთოდი, როგორც წამება და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. დაკითხვის მეთოდები მიჩნეულ იქნა წამებად მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიმართული იყო მოსახლეობის დასაცავად სასიკვდილო ტერორისტული აქტებისაგან. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის განცხადების თანახმად:

„კომიტეტი აღიარებს და ითვალისწინებს იმ საშინელ დილემას, რომელსაც ისრაელი აწყდება ტერორისტული აქტების საშიშროებასთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც კონვენციის ხელშემკერეელ სახელმწიფო მხარეს, ისრაელს არ შეუძლია კომიტეტის წინაშე თავი იმართლოს განსაკუთრებული გარემოებებით და განაცხადოს, რომ ეს გარემოებები ამართლებს კონვენციის 1-ლი მუხლით აკრძალულ ქმედებებს. აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად და ნათლად არის დაგმობილი კონვენციის მე-2 მუხლით“.

რაც არ უნდა სამწუხარო იყოს დაკითხვის ისეთი მეთოდები, რომელთა კომბინაციაც ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით წარმოადგენენ წამებას არა მხოლოდ სხვა ქვეყნებში, არამედ საქართველოშიც მრავლად გვხვდება. თუმცა, I ისრაელის მაგალითისაგან განსხვავებით აღნიშნული მეთოდების გამოყენება ერთმნიშვნელოვნად არის აკრძალული როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს წინარმდეგ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი პირველივე განაცხადი *Domukovsky et al v. Georgia*, რომელიც კომიტეტმა არსებით გაამხილა და დაუშვა და განიხილა, უმთავრესად სწორედ ეხებოდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დარღვევას საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნულ განაცხადში განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ისინი დაექვემდებარნენ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, მათ შორის სასტიკ ცემას, ფიზიკურ და მორალურ ზეწოლას, რომელმაც ბ-ნ დომუხოვსკის შემთხვევაში გამოიწვია კანტუზია, ბ-ნ წიკლაურის შემთხვევაში – კანტუზია, ძვლების მოტეხილობა, მრავალი ჭრილობები და დამწვრობითი ხასიათის იარები, ბ-ნ გელბახიანის შემთხვევაში – შრამები, ხოლო ბ-ნ დოკვაძის შემთხვევაში განხორციელებული ქმედებები მიაკვავდა როგორც წამებას, ასევე მუქარებს მისი ოჯახის მიმართ. საქართველოს მთავრობამ ვერ წარუდგინა ადამიანის უფლებათა კომიტეტს რაიმე სახის დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც გააქარწყლებდა განმცხადებლების მიერ წარდგენილ ფაქტებს. შესაბამისად „ხსენებულ გარემოებებ-

ში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ჩათვალა, რომ განმცხადებლების მიერ კომიტეტის წინაშე წარდგენილი ფაქტებიდან გამომდინარე, განმცხადებლები დაექვემდებარნენ წამებასა და სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც არღვევს საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლსა და მე-10 მუხლის 1-ელ პუნქტს“.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებულ განაცხადებთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა კომიტეტი ანალოგიურ მიდგომებს ახორციელებს, როგორც ეს ხდება სტრასბურგის სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებულ განაცხადებთან მიმართებაში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ძალიან საინტერესოა ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული განაცხადები, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დამაბოლოებელი დებულების – „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს მისი თანხმობის გარეშე სამედიცინო ან სამეცნიერო გამოკვლევებს“ – სავარაუდო დარღვევას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკაში ძალიან მწირია ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები. უფრო მეტიც, სტრასბურგის სასამართლოს არ აქვს გამოტანილი არც ერთი სერიოზული გადაწყვეტილება ადამიანთან მიმართებაში სამედიცინო ექსპერიმენტის განხორციელების ან სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებით, როდესაც ეს აუცილებელი არ არის პირის ჯანმრთელობისათვის და მისი თანხმობის გარეშე იქნა განხორციელებული. ამიტომაც ძალიან საინტერესოა ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გამოძღვანებული მიდგომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მე-7 მუხლის დამაბოლოებელი დებულების განსაზღვრის მიზანს წარმოადგენდა პასუხის გაცემა იმ საშინელებებზე რასაც ჩადიდნენ გერმანელი ნაცისტები ექიმები საკონცენტრაციო ბანაკებში მე-2 მსოფლიო ომის დროს. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ მე-20 ზოგად მოხსენებაში ასახული განმარტების თანახმად:

„მე-7 მუხლი ნათლად კრძალავს სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტებს შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე. კომიტეტი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული დაცვა უნდა არსებობდეს ასეთი ექსპერიმენტებისაგან იმ პირებთან მიმართებაში, რომლებსაც არ შეუძლიათ თავისი ნებით გამოხატონ თანხმობა და, განსაკუთრებით იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც იმყოფებიან რაიმე ფორმით პატიმრობაში ან დაკავების ქვეშ. ასეთი პირები არ უნდა დაექვემდებარონ არც ერთ შემთხვევაში სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტებს, რომელთაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას“.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებულ დასკვნით კომენტარებში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ კომიტეტი შემფოთებულია იმით, რომ ზოგიერთ შტატში არა თერაპიული კვლევები შესაძლებელია წარმოებდეს მცირეწლოვანებთან ან სულიერად დაავადებულ პირებთან მიმართებაში მათ მაგიერ სხვა ადამიანის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლს“.

სამედიცინო ექსპერიმენტის აკრძალვა უფრო ვიწრო გაგებით არის წარმოდგენილი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლში, ვიდრე სამედიცინო მოპყრობის აკრძალვა. არასაექსპერიმენტო სამედიცინო ჩარევამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი განხორციელებულია შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე, უნდა მიღწიოს სისასტიკის კონკრეტულ ზღვარს იმისათვის, რათა ადგილი ჰქონდეს საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის გარღვევას. ერთ-ერთი სახის სამედიცინო ჩარევა, როგორცაა ქალის სტერილიზაცია მისი თანხმობის გარეშე ერთმნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დარღვევად. აღნიშნული გადაწყვეტილება კომიტეტმა დააფიქსირა დასკვნით კომენტარებში იაპონიასთან, პერუსა და სლოვაკეთთან მიმართებაში.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია და კომიტეტი.

80-იანი წლების დასასრულს ადამიანის უფლებათა დაცვის მზარდმა სტანდარტებმა ხაზგასმით წარმოაჩინა ადამიანის განსაკუთრებით მნიშვნელოვან უფლებათა დარღვევის აღმოფხვრის საჭიროება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლმა, რომელიც კრძალავს წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და სასჯელს დასაბამი მისცა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ 1987 წლის კონვენციის პროექტის შემუშავებას.

აღნიშნული კონვენცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT), ხელმოსაწერად გახდა 1987 წლის 26 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1989 წლის 1 თებერვალს. დღეისათვის ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო მიერთებულია კონვენციას.

წამების აღკვეთის ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 1 მარტს, უფლებამოსილებას ანიჭებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომ მოიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი ნებისმიერი სახელმწიფო კონვენციაზე მისაერთებლად.

დამოუკიდებელი ექსპერტები და ვიზიტები

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) წევრებს წარმოადგენენ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტები. ისინი სხვადასხვა პროფესიების მქონე პირები არიან, როგორცაა იურისტები, ექიმები და ექსპერტები. ისინი ირჩევიან მინისტრთა კომიტეტის მიერ 4 წლის ვადით და ხელახლა შესაძლოა არჩეულ იქნენ მხოლოდ ორჯერადი ვადით. თითოეული სახელმწიფოდან მხოლოდ ერთი წევრი ირჩევა. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ვიზიტებს აწარმოებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში (მაგალითად, ციხეებსა და არასრულწლოვანთა პატიმრობის ცენტრებში, პოლიციის დაწესებულებებში, საიმიგრაციო მიზნით დაკავებულთა ცენტრებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში), რათა მონახულოს თუ როგორ ეპყრობიან იქ თავისუფლებააღკვეთილ პირებს და სათანადო რეკომენდაციები წარუდგინოს მოგვიანებით პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ვიზიტები ზოგადად ხორციელდება დელეგაციების მიერ, რომლებშიც შედის 2 ან მეტი კომიტეტის წევრი. მათ თან ახლავთ კომიტეტის სამდივნოს წარმომადგენლები, ექსპერტები და თარჯიმნები. კომიტეტის წევრი, რომელიც არჩეულია შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მხრივ მონაწილეობას არ იღებს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ვიზიტებში.

კომიტეტის დელეგაციები ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ვიზიტებს ახორციელებენ პერიოდულად, მაგრამ შესაძლებელია ე.წ. ad hoc (სპეციალური) ვიზიტების განხორციელებაც, თუკი ეს აუცილებელია. კომიტეტმა უნდა აცნობოს შესაბამის სახელმწიფოს ვიზიტის შესახებ, მაგრამ კომიტეტი არ არის ვალდებული დააკონკრეტოს პერიოდი შეტყობინებასა და ვიზიტს შორის, რომელიც გამოწვევების გარემოების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელებულ იქნას დაუყოვნებლივ შეტყობინების გაგზავნის შემდგომ. მთავრობის პრეტენზიები ვიზიტის დროსა და ადგილთან დაკავშირებით, შესაძლებელია გამართლებულ იქნეს მხოლოდ ისეთ საფუძველზე, როგორცაა ეროვნული თავდაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სერიოზული არეულობა, პირის სამედიცინო მდგომარეობა ან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გამოძიება, რომელიც მიმდინარეობს კონკრეტული პირის მიმართ. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ყველა შესაძლებელი ღონისძიება, რათა მაქსიმალურად შესაძლებელ ვადებში მოხერხდეს კომიტეტის წევრების ვიზიტის განხორციელება.

შეუზღუდავი დაშვება

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის კონვენციის თანახმად, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციებს გააჩნიათ შეუზღუდავი ნებართვა და დაშვება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და ასეთ ადგილებში გადაადგილებაზე. ისინი ყოველგვარი მოწმებისა და მეთვალყურეობის გარეშე აწარმოებენ პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა მონახულებას და მათთან გასაუბრებას.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის კომიტეტი არ არის მართლმსაჯულების ორგანო, რაც მას არსებითად განასხვავებს ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის საბჭოს სხვა სახელმწიფოებო ორგანოსაგან, როგორც გვევლინება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

ევროპული სასამართლოსაგან განსხვავებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტს არ გააჩნია უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს სამართლებრივი დავები, რომლებიც ეხება შესაბამისი ხელშეკრული სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების სავარაუდო დარღვევას, ანუ post factum საჩივრების განხილვის უფლებამოსილებას.

უწინარეს ყოვლისა წამების საწინააღმდეგო კომიტეტი წარმოადგენს მექანიზმს, რომლის მთავარ დანიშნულებას შეადგენს არასათანადო მოპყრობის განხორციელების ხელის შეშლა, თუმცა, კომიტეტს უფლება აქვს ჩაერთოს ასეთი ფაქტის მოხდენის შემდგომაც.

შესაბამისად, მაშინ როდესაც სასამართლოს ქმედებები მიმართული „კომფლიქტის სამართლებრივ დონეზე რეგულირებისაკენ“, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ქმედებები მიმართულია „კომფლიქტის თავიდან აცილებისაკენ“ პრაქტიკულ დონეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს „მაქსიმალური დაცვა გაავრცელოს ადამიანის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელებაზე იქნება ეს ფიზიკური თუ სულიერი ხასიათის.“

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) ქმედებები ეფუძნება თანამშრომლობის კონცეფციას. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ამოცანას არ წარმოადგენს სახელმწიფოების საჯაროდ გაკიცხვა, არამედ სახელმწიფოებისათვის დახმარების აღმოჩენა, რათა მათ აღმართონ და გააძლიერონ ის გამოყოფი კედელი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს და ყოფს დასაშვებ და დაუშვებელ მოპყრობას ან ქმედებას. ხსენებული ამოცანის განხორციელებისას წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით.:

1. თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის აკრძალვა აბსოლუტურ ხასიათს ატარებს;
2. არასათანადო მოპყრობა ეწინააღმდეგება ცივილიზებულ ქმედებათა კოდექსს, თუნდაც იგი განხორციელებულ იქნეს შედარებით მსუბუქი ფორმით;
3. არასათანადო მოპყრობა ზიანს აყენებს არა მარტო მსხვერპლს, არამედ დამადცირებელია თვით ხელისუფლების ორგანოს იმ წარმომადგენლისათვის, რომელიც მას ახორციელებს ან ნებართვას გასცემს მის განხორციელებაზე და ზიანს აყენებს ასევე ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს ზოგადად;

პირველ რიგში, CPT იკვლევს და აფასებს ფაქტობრივ სიტუაციას იმ ქვეყნებში, რომლებშიც იგი ახორციელებს ვიზიტებს. კერძოდ, CPT:

1. ახილავს ზოგად სიტუაციას იმ დაწესებულებაში, რომლებიც მან მოინახულა;
2. თვალყურს ადევნებს სასჯელალსრულებითი დაწესებულებების წარმომადგენელთა მიდგომებს თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებაში;
3. აწარმოებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა გამოკითხვას მათ ყოფასთან დაკავშირებით და ისმენს საჩივრებს, რომლებიც მათ შესაძლოა ჰქონდეთ;
4. იხილავს სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საფუძვლებს, რაზეც დაფუძნებულია თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნულის შემდგომ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მიხსენებს წარუდგენს შესაბამის სახელმწიფოს, რომელშიც შეფასებას აძლევს შეგროვებულ ინფორმაციას და თან ურთავს კომენტარებს. ხსენებულთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ CPT-ს არ გააჩნია უფლებამოსილება ფიცის

ქვეშ მოიპოვოს გარკვეული მტკიცებულებები ან წინააღმდეგობა გაუწიოს იმ პირებს, რომლებიც გამოხატავენ საწინააღმდეგო აზრს. აუცილებლობის შემთხვევაში კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა ისეთი ღონისძიებების გატარებაზე, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენს ისეთ მოპყრობათა აღკვეთა და აკრძალვა, რომლებიც წინააღმდეგონაში მოდის თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებაში განხორციელებულ ქმედებათა დასაშვებ სტანდარტებთან.

თავისი ფუნქციების განხორციელებისას CPT უფლებამოსილია დაეყრდნოს არამართო იმ სამართლებრივ სტანდარტებს, რომლებიც მოცულია არამართო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, არამედ ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი სხვა შესაბამისი აქტებითაც, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ორგანოების მიერ ამ უფლებებთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. მაგრამ კომიტეტი არ არის შეზღუდული და შემოფარგლული მართლმსაჯულების ან კვაზი სასამართლო ორგანოების მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლით ადამიანის უფლებაზე სფეროში არამედ მას შეუძლია ამ პრეცედენტულ სამართალზე ან გამომჟღავნებულ მიდგომებზე დაყრდნობა, როდესაც აფასებს თავისუფლებააღკვეთილი პირების მოპყრობას კონკრეტულ ქვეყანაში.

მოკლედ რომ შევაჯამოთ განსხვავებები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და CPT-ს შორის შემდგომში მდგომარეობს:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გამოკვლევა ადგილი ჰქონდა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა დარღვევას. საპირისპიროდ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ამოცანას კი წარმოადგენს პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის, იქნება ეს ფიზიკური თუ სულიერი ხასიათის აღკვეთა, აღმოფხვრა, ანუ კომიტეტის მოქმედებები უფრო გათვლილია მომავალზე, ვიდრე წარსულზე;
2. ევროპულ სასამართლოს გააჩნია ხელშეკრულებების დებულებები, რომლებსაც იგი იყენებს და განმარტავს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი შეზღუდული არ არის ხელშეკრულებათა არსებითი დებულებები, თუმცა მას შეუძლია დაეყრდნოს მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას, საერთაშორისო აქტებსა და საზედამხედველო ორგანოების მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალს.
3. მის წინაშე დასახული ამოცანების ხასიათიდან გამომდინარე ევროპული სასამართლო შედგება ადამიანის უფლებათა სფეროში მიღვაწე იურისტებისაგან. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი კი შედგება არა მარტო ასეთი იურისტებისაგან, არამედ სამედიცინო პერსონალისაგან, პენიტენციალურ სფეროში მოღვაწე ექსპერტებისაგან, კრიმინოლოგიის დარგში მოღვაწე სპეციალისტებისაგან და სხვა.
4. საკითხის გადაჭრაში ევროპული სასამართლო მხოლოდ მაშინ ერთვება, როდესაც მას წარედგინება განაცხადი ინდივიდუალური პირისაგან თუ სახელმწიფოსაგან. CPT კი ex officio ახორციელებს თავის პერიოდულ ვიზიტებს.
5. სასამართლოს ქმედებები და კონკრეტულ განაცხადთან დაკავშირებული მისი საქმიანობა სრულდება სამართლებრივ საცალდებულო გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც ნატელი ხდება, დაარღვია თუ არა სახელმწიფომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი კი ამზადებს მოხსენებას და თუ ეს აუცილებელია, რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია შემდგომი მოლაპარაკების განვითარება. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ ასრულებს კომიტეტის რეკომენდაციებს, კომიტეტს შეუძლია გამოსცეს საჯარო განცხადება ამასთან დაკავშირებით.

CPT თავის მოხსენებას კონკრეტულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით აქვეყნებს მხოლოდ ამ სახელმწიფოს მიერ თანხმობის გამოთქმის შემთხვევაში, მაგრამ კომიტეტი ყოველწლიურად იღებს ზოგად მოხსენებას გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელშიც ზოგადად აისახება განვლილი წლის განმავლობაში კომიტეტის მიერ განხორციელებული ვიზიტები კონკრეტულ სახელმწიფოებში.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT) და საქართველო.

წამების და არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დალეგაცია ეწვია საქართველოს 2001 წლის 6-18 მაისს. ეს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) პირველი ვიზიტი იყო საქართველოში, რომელიც განხორციელდა კომიტეტის 2001 წლის პერიოდული ვიზიტების პროგრამის ფარგლებში.

ვიზიტის დროს დალეგაციამ მოისმინა მრავალი განცხადება პოლიციის მიერ დანაშაულში ეჭვმიტანილების ფიზიკური შეურაწმყოფის შესახებ. ზოგიერთი განცხადებით ფიზიკური შეურაცხყოფა იმდენად მძიმე იყო, რომ კომიტეტის აზრით, ისინი წამების ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს. თითქმის ყველა ეს განცხადება გაკეთდა იმ პირების მიერ, რომლებსაც დალეგაცია ესაუბრა სასჯელსრულების დაწესებულებებში ან რომლებიც ცოტა ხნით ადრე პოკიციაში იყვნენ დაკავებული. კომიტეტმა აღნიშნა რომ მონახულებულ პოლიციის დაწესებულებებში მხოლოდ რამდენიმე ეჭვმიტანილი იყო დაკავებული (24 ადამიანი 19 მონახულებულ პოლიციის დაწესებულებაში. რამდენიმე მათგანს აშკარად ეტყობოდა ფიზიკური ძალადობის ნიშნები, თუმცა ცხადი იყო, რომ შიშის გამო ისინი თავის არიდებდნენ ამის შესახებ დალეგაციასთან საუბარს და ასევე დალეგაციის შემადგენლობაში მყოფ ექიმების მიერ მათ გასინჯვას.

კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთის აზრით, მათ მიმართ უხეშ ფიზიკურ მოპყრობას არ ჰქონია ადგილი მხოლოდ იმის გამო, რომ მათ თავიდანვე აღიარეს დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ისინი იყვნენ ეჭვმიტანილი. კომიტეტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ფიზიკურ ძალადობას ადგილი ჰქონდა როგორც პოლიციის მიერ მათი დაკავების, ასევე პოლიციის თანამშრომლების მიერ მათი შემდგომი დაკითხვის დროს და ძირითადად ვლინდებოდა სახეში გარტყმის, მუშტით ცემის, წიხლების, პოლიციის ხელკეტების, იარაღის კონდახის და სხვა მაგარი საგნების გამოყენების ფაქტებში. ყველაზე მძიმე შემთხვევაში განცხადებები ეხებოდა ელექტროშოკის, აირწინალების, ფეხის გულელებზე ცემასა და თავდაყირა მდგომარეობაში დაკავებულის იძულებით გაჩერებას.

თითქმის ყველა ინფორმაცია ეხებოდა ფიზიკური შეურაწმყოფის ფაქტებს თავდაპირველ საგამოძიებო მოქმედებაზე პასუხისმგებელ პოლიციის ოპერატიულმუშაკებს (მოკვლევის ორგანოს). დალეგაციამ ასევე მოისმინა რამდენიმე განცხადება გამომძიებლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. თითქმის არ ყოფილა განცხადებები დროებითი დაკავების იზოლატორში მომუშავე პერსონალის მხრიდან ფიზიკური შეურაწმყოფის თაობაზე.

დალეგაციაში შემავალმა ექიმებმა გასინჯეს ზოგიერთი იმ პირთაგანი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას და გამოავლინეს რომ მათ აღენიშნებოდათ ამგვარი ზემოქმედების რეალური ფიზიკური ნიშნები. დალეგაციის წევრებმა მიუთითეს შემდეგ კონკრეტულ მაგალითებზე:

- ერთ-ერთმა პირმა, რომელსაც დალეგაცია ესაუბრა თბილისის 5 საპყრობილეში განაცხადა, რომ დალეგაციის ვიზიტამდე ექვსი დღის წინ, იგი დააკავეს და მიიყვანეს პოლიციის რაიონულ განყოფილებაში, სადაც პოლიციელთა ჯგუფში იგი მუშტით სცემა და ხელკეტები ურტყა მთელ სხეულში და თავში. სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა, რომ ზურგზე მხრის მიდამოში მას აღენიშნებოდა მოიისფრო-მწვანე ფერის 6X5 სმ ჰემატომა; მარჯვენა მხარეს ილღის ქვეშ 7X8სმ და 3X4 სმ სისხლჩაქცევები; მარჯვენა ზედა მხარის არეში 2X1 სმ ჰემატომა; მარჯვენა მხარის უკან 2X1სმ მოიისფრო-მწვანე ფერის ჰემატომა;
- მეორე პატიმარმა, რომელსაც დალეგაცია ესაუბრა თბილისის 5 საპყრობილეში, განაცხადა რომ ექვსი დღის წინ, იგი დააკავეს და მიიყვანეს პოლიციის რაიონულ განყოფილებაში, სადაც სცემეს და აწამეს ელექტროშოკით ძველებური ტელეფონის მსგავსი აპარატით. მეორე დღეს იგი გადაიყვანეს პოლიციის სხვა განყოფილებაში სადაც მისი განცხადებით, იგი კვლავ სცემეს, სახეზე გაუკეთეს აირწინალი და ცერი თითი კარებში მოაყოლეს. სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა რომ მას სამ ადგილას ორივე ფეხის წინა არეში აღენიშნებოდა 2X1სმ მოყავისფრო

გამხმარი ნაიარევი; მარცხენა ცერის ფრჩხილის ძირში ახალი სისხლჩაქცევა, რომელიც ფრჩხილის ზედაპირის ნახევარს ფარავდა;

- მესამე პირმა, რომელსაც გელეგაცია ესაუბრა თბილისის 5 საპრობილეში, განაცხადა რომ დაახლოებით 9 თვის წინ იგი დააკავეს და დაკითხეს ტრანსპორტის პოლიციის დეპარტამენტში. დაკითხვის დროს მას გამუდმებით სცემდნენ ხელკეტებით მთელ სხეულზე და განსაკუთრებით ფეხის გულებზე. მან ასევე განაცხადა რომ იგი აწამეს ელექტროშოკით, სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა, რომ მარჯვენა ცერის ძირში ჰქონდა დაახლოებით 2სმ სიგრძის მოვარდისფრო-ყავისფერი გრძივი ჭრილობა;
- ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელსაც დელეგაცია შეხვდა ქუთაისის 2 საპრობილეში განაცხადა, რომ სამი კვირის წინ, იგი პოლიციამ დააკავა, გონების დაკარგვამდე სცემა და მხოლოდ დროებითი დაკავების იზოლატორში მოვიდა დონზე. სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა შუბლის მარცხენა არეში 1X0,5სმ ჭრილობა; მარცხენა პარიეტალურ არეში 1,5სმ გრძივი ჭრილობა; კეფის არეში 1,5სმ ჭრილობა; მარცხენა ფეხის წვივის ქვედა ნაწილში 2სმ ჭრილობა; ყველა ეს ჭრილობა იყო დაახლოებით სამი-ოთხი კვირის და მოვარდისფრო-რუხი ფერი ჰქონდა.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ეჭვმიტანილ პირებს პოლიციის მიერ დაკავებისას და/ან პოლიციაში მათი ყოფნის პერიოდში (განსაკუთრებით დაკითხვის დროს) ემუქრებათ სერიოზული საფრთხე იმისა, მათ მიმართ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არასათანადო მოპყრობას და ზოგიერთ შემთხვევაში უხეშ ფიზიკურ მოპყრობას/ წამებასაც კი.

კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ სამართლებრივი გარანტიები, მიუხედავად მათი უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, საკმარისი არ არის; ფიზიკური შეურაცხყოფის აღკვეთის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს ერთმნიშვნელოვნად უარის თქმა მის გამოყენებაზე თვით პოლიციის თანამშრომელთა მიერ. ეს გულისხმობს სამუშაოზე მიღების დროს შერჩევის მკაცრი კრიტერიუმების გამოყენებას და სათანადო პროფესიულ მომზადებას. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლება უნდა ისწრაფოდეს პოლიციელთა პრაქტიკული პროფესიული მომზადება წარმართოს ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიციელთა სათანადო ქცევა მაღალი რისკის მქონე სიტუაციებში, როგორცაა ეჭვმიტანილთა დაკავება და დაკითხვა.

ტექნიკური რედაქტორი გივი სიღამონიძე
კორექტორები: ლევან გიორგაძე
გიული კალატოზიშვილი